



**ციბეხანი**

№ 31 / 17 - 23 მაისი / 2010

- დროებით შეჩერებული აგრესია **33. 8**
- ინტერვიუ მამა გიორგი ჩაჩავასთან **33. 17**
- NDI-ს კვლევა: ამომრჩევლების პრიორიტატი **33. 19**
- ორპროცენტის კანდიდატი **33. 22**
- უმრავლესობის კონსტიტუცია **33. 25**
- სტუდენტური აქტივიზმი საქართველოში **33. 27**
- ჟურნალისტური გამოქიზა: ინტერესთა კონფლიქტი **33. 29**
- კონტროლის პალატა VS მთავრობა **33. 21**
- მედვედვის ორი წელი **33. 35**

ფასი 2 ლარი

ISSN 1987-7528



9 771987 752008

**33. 14**

**ბიბნანეთის აჩვენებები  
და სანახიოვანო**



ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე,  
 რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში  
 საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ  
 „დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად  
**10-14 მაისის კვირის რეჟიუმი**



„ის, რაც დღეს კავკასიაში ხდება და რა პოლიტიკასაც რუსეთის ხელისუფლება ატარებს, ქმნის მოვლენების განვითარების რამდენიმე შესაძლო სცენარს. ერთერთი სცენარით შედეგები ძალიან მძიმე იქნება რუსეთისთვის. ჩვენ კი თვითონვე არ უნდა დავიმხოთ თავზე ყველაფერი“.

ორშაბათი. 10 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
 მიხეილ მაჭავარიანი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი



„თინა ხიდაშელს და რესპუბლიკურ პარტიას ნამდვილად არ აქვს იმის უფლება, რომ აკრიტიკოს ვინმეს სლოგანი, რადგან ჩვენ საქმე გვაქვს პოლიტიკურ ძალასთან, რომელსაც არაფრით შეუძლია დაიკვებნოს საზოგადოების წინაშე გაკეთებული საქმეებით. განსაკუთრებით, როდესაც ესაუბრობთ გია ქანტურიაზე, რომლის სახელი ასოცირდებოდა წარმატებასთან, წარმატებულ პროექტებთან მაშინ, როდესაც ამ ქვეყანაში სიტყვა წარმატება ლექსიკონიდან იყო ამოღებული“.

სამშაბათი. 11 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
 ზაზა გაბუნია, ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრი



„ყველაზე მეტ საყვედურს ვაკის მაცხოვრებლები იმის გამო მუზუნებიან, რომ 2008 წლის 20 იანვარს და 2009 წლის 26 მაისს ჩვენ არ დავძარიტ დემონსტრანტები რუსთაველის გამზირისკენ. ჩვენ მიმართ ეს საყვედურები ლოგიკურია, მაგრამ ძალიან არალოგიკურია ჩვენი დადანაშაულება იმაში, რომ რევოლუციით ვართ დაინტერესებული“.

ოთხშაბათი. 12 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
 კახა კუკავა, კონსერვატიული პარტიის ერთერთი ლიდერი



„ირკვევა, რომ საარჩევნო კოდექსი ერთი პარტიისთვის - ნაციონალური მოძრაობისთვის არის შექმნილი და კოდექსში პერსონიფიცირებული მუხლებია“.

ხუთშაბათი. 13 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
 შალვა ხაჭაპურიძე, ადვოკატი



„ლავროვი ამბობს, რუსულმა ტანკებმა გააკეთეს თავისი საქმე, დანარჩენს ქართველი ხალხი გააგრძელებსო. მოვლენების სწორედ ასეთ გაგრძელებას ცდილობენ ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ნოლაიდელი“.

პარასკევი. 14 მაისი. რადიოქალაქი FM 101.9  
 ნუგზარ ნიკლაური, პარლამენტის წევრი

რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977





ფოტო: იმედი პარკინგ/საქმედი

**ნომერში:**

- 02 რედაქტორი
- 04 მოკლედ
- 06 ფოტორეპორტაჟი
- 07 ვრცლად
- 10 **მედამონიტორინგი**  
როგორ ირჩევ მერს
- 12 **ორი აზრი**  
ამართლებთ თუ არა რადიკალური რელიგიური ორგანიზაციების ბრძოლის მეთოდებს?
- 14 **თვალსაზრისი**  
ბრიტანეთის არჩევნები და საქართველო მარკ მალენი
- 16 **მიმოხილვა**  
მოქალაქის ხმა, 50 ლარის სანაცვლოდ
- 17 **ინტერვიუ**  
უნდა ვეცადოთ, არ გავხლიჩოთ საზოგადოება მამა გიორგი ჩაჩავა

- პოლიტიკა**
- 19 ამომრჩევლების პრიორიტეტი
- 22 **თბილისის მერობის კანდიდატი**  
ორპროცენტიანი კანდიდატი
- 24 **თვითმმართველობის არჩევნები**  
არჩევანი სახლიდან გაუსვლელად
- 25 **საკონსტიტუციო ცვლილებები**  
უმრავლესობის კონსტიტუცია



- საუბრები ლიბერალიზმზე**
- 27 სტუდენტური აქტივიზმი საქართველოში

- ყურნალისტური გამოძიება**
- 29 ინტერესთა კონფლიქტი **ეკონომიკა**
- 32 კონტროლის პალატა VS მთაერობა **კონფლიქტები**
- 34 აღიარების პროცესი ჩიხშია **მეზობლები**
- 35 მედედევის ორი ნული
- 37 **აზერბაიჯანი**  
ალიევის „სინდისის პატიმარი“ **საზოგადოება**
- 39 წინასაარჩევნოდ დაინყებული პრობლემა
- 42 **თვალსაზრისი**  
აიდაპო, როგორც სულიერი მდგომარეობა **სპორტი**
- 43 მთხვევა და სია **ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 44 მე ამისგან გავაკეთებ...

**ბარეკანზე:**

ბრიტანეთის არჩევნები და საქართველო



ყურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ლია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ლია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.



ორ კვირაში არჩევნებია. პოლიტიკოსებისგან განსხვავებით, არ მგონია, რომ ამ არჩევნებზე საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. გულის-გულში მათაც არ სჯერათ ამის, მაგრამ მაინც ასე ამბობენ. პოლიტიკოსები არიან, არჩევნების წინ ასე უნდა თქვან. არც არის გასაკვირი.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ გავუნბილებივარ, მაინც ვფიქრობ, რომ ქართველები ისეთ არჩევანს არ გააკეთებენ, რომ ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დადგეს. ცოტა დაბნეული კი ვარ – ჯერ ბოლომდე ისიც კი არ გადაამინყვებია, თბილისის მერის თანამდებობაზე რომელ კანდიდატურას დაუჭერ მხარს, მაგრამ არჩევნებზე აუცილებლად წავალ: მჯერა, ჩემი ხმა რაღაცას შეცვლის. ასევე სჯერა საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილსაც და ამიტომაც, სავარაუდოდ, საარჩევნო ყუთებთან ბევრი ხალხი იქნება.

წინა კვირაში NDI-ს მიერ განხორციელებული კვლევა „საზოგადოების დამოკიდებულება არჩევნების მიმართ საქართველოში“ ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას ყველაზე დიდ პრობლემად უმუშევრობა მიაჩნია. უმეტესობა გამარჯვებული პარტიისგან სწორედ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას მოელის. ძალიან მინდა, ქართველებს ეს იმედი არ გაუცროვდეთ. რეალიზებული, მშრომელი და ეკონომიკურად ასე თუ ისე ფეხზე მდგარი მოქალაქე იმის გარანტიანია, რომ ქვეყანაში დემოკრატია და დემოკრატიული ღირებულებები განვითარდეს.

დემოკრატია ბევრნაირად შეიძლება განიმარტოს, მაგრამ ჩემთვის ის უპირველესად არჩევანის თავისუფლებას ნიშნავს. ეს, ცხადია, მხოლოდ პოლიტიკურ უფლებას არ ეხება, არამედ – ყველანაირი არჩევანის თავისუფლებას. ქრისტიანობაც არჩევანის თავისუფლებაზე დგას, ოღონდ – პიროვნული არჩევანის თავისუფლების პრინციპზე. შეიძლება, ამიტომაც მოხდა ასე – თანამედროვე დემოკრატია სწორედ ქრისტიანული კულტურის ნიაღში ჩაეყარა საფუძველი და მიუხედავად იმისა, რომ დაგვაგვიანდა, ქართველებს მაინც გვაქვს შანსი, თანამედროვე დემოკრატია ვიქცეთ. მით უმეტეს, რომ დემოკრატია გამოკითხულთა უმრავლესობა სწორედ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებად (58%) ან, უბრალოდ, თავისუფლებად (51%) აფასებს.

NDI-ს კვლევა ოპტიმიზმის საფუძველს ბევრი მიზეზის გამო იძლევა. ქართველები საკმაოდ ინფორმირებულები არიან და სიტუაციასაც ადეკვატურად აფასებენ. „ლიბერალთან“ ინტერვიუში კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლუის ნავარო ამბობს: „დავინახეთ, რომ ქართველი მოქალაქეები ინტერვიუებისას აბსოლუტურად იხსნებიან. შეუძლიათ, თავისუფლად ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებთან ამის შანსი ხშირად არ ეძლევათ. საქართველო საოცრად დინამიკური ქვეყანაა. ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. კიდევ ერთი წლის შემდეგ ეს ტემპი უფრო გაიზრდება“.

NDI-ს კვლევა ოპტიმიზმის საფუძველს ბევრი მიზეზის გამო იძლევა. ქართველები საკმაოდ ინფორმირებულები არიან და სიტუაციასაც ადეკვატურად აფასებენ. „ლიბერალთან“ ინტერვიუში კვლევის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლუის ნავარო ამბობს: „დავინახეთ, რომ ქართველი მოქალაქეები ინტერვიუებისას აბსოლუტურად იხსნებიან. შეუძლიათ, თავისუფლად ისაუბრონ თავიანთ პრობლემებზე. სამწუხაროდ, პოლიტიკოსებთან ამის შანსი ხშირად არ ეძლევათ. საქართველო საოცრად დინამიკური ქვეყანაა. ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. კიდევ ერთი წლის შემდეგ ეს ტემპი უფრო გაიზრდება“.

**ნინო ბექიშვილი**  
**ადამიანის უფლებების და სამართლის**  
**განყოფილების რედაქტორი**

რედაქტორი: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდიაშვილი** / აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფარიშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ქაჯავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ზუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ასალაშვილი**  
რედაქტორი: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**  
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა მუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელა**  
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge  
სხვა გამომცემელი: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.  
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.  
ფურცელში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.  
ბმძღვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. [www.phfavorite.ge](http://www.phfavorite.ge)  
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.  
[www.liberali.ge](http://www.liberali.ge)



პროექტი დაფინანსებულია  
ევროკავშირის მიერ



პროექტს ახორციელებს  
ლტოლვილთა დანიის საბჭო

ერთობლივი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი გადაწყვეტილებებისა – საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გადაწყვეტისკენ გადადგმული ნაბიჯები

## ჟურნალისტთა და ფოტოგრაფთა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) თემაზე

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ერთობლივი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი გადაწყვეტილებებისა – საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გადაწყვეტისკენ გადადგმული ნაბიჯები“ – ფარგლებში, ლტოლვილთა დანიის საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფებისთვის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) დაკავშირებული საკითხების შესახებ.

საქართველოს მთავრობის „იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს დევნილთა პრობლემების გრძელვადიან მოგვარებას. სახელმწიფო სტრატეგია გულისხმობს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმის მთავარი ამოცანაა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა, რათა ისინი სულ უფრო ნაკლებად იყვნენ სახელმწიფოზე დამოკიდებულნი, რათა გამჭვირვალე შერჩევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდეს მსურველთა ინტეგრაცია სახელმწიფოს სოციალური დახმარების პროგრამებში. ეს კონკურსი არის იმ საინფორმაციო კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს როგორც დევნილთა, ასევე ზოგადად საზოგადოების ინფორმირებას დევნილებთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

### მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ჟურნალისტებისთვის:

ჟურნალისტების მონაწილეობის პირობაა სტატიის დაწერა და ცენტრალურ/რაიონულ გაზეთში, ჟურნალსა თუ ინტერნეტ პრესაში გამოქვეყნება 2010 წლის 15 მაისიდან – 15 ივნისამდე პერიოდში. პუბლიკაცია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმის ერთ ან რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ, თუ რა გავლენა იქონია სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრებაზე, რა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს სამოქმედო გეგმა მათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. სტატია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 300 სიტყვისაგან, ის შეიძლება იყოს წარმოდგენილი რეპორტაჟის ან ისტორიის სახით ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: <http://www.mra.gov.ge/>

### მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ფოტოგრაფებისთვის:

ფოტოგრაფებმა ერთი ან რამდენიმე ფოტო, ან ფოტორეპორტაჟი უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნულ თემატიკაზე. ლტოლვილთა დანიის საბჭო ფოტოებს A2 ფორმატით, 300 DPI რეზოლუციით დაბეჭდავს. წარმოდგენილ ფოტოებზე ლტოლვილთა დანიის საბჭო, ამ პროექტის ფარგლებში მისი დონორები და პარტნიორები იძენენ მათი ბეჭდურ თუ ელექტრონულ პუბლიკაციებში გამოყენების უფლებას. წარმოდგენილი ნამუშევრები არ უნდა იყოს მანამდე გამოქვეყნებული. დაცული უნდა იქნას პიროვნების ღირსებისა და პირადულობის ეთიკური ნორმები, მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: <http://www.mra.gov.ge/>

### ბანასხადის წარდგინის წესები:

სტატიები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: [drc@drc.ge](mailto:drc@drc.ge); ამასთან, აუცილებელი მოთხოვნაა ნაბეჭდი პრესის დასკანერებული ვარიანტი ან ელექტრონული გამოცემის ბმულის გაგზავნა, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა. ფოტოსურათები უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: [drc@drc.ge](mailto:drc@drc.ge); JPEG ფორმატის დაცვით, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა. ნაბეჭდ ვერსიას აუცილებლად უნდა ახლდეს თან მისი ელექტრონული ვერსია. აპლიკანტებმა უნდა მიუთითონ საკუთარი ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოს შემთხვევაში მისი მოკლე აღწერა, სტატიის შემთხვევაში მოკლე რეზიუმე.

### ქიურის შვამდგანლობა:

ჟიური შედგება პროფესიონალ ფოტოგრაფთა და ჟურნალისტთაგან, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან.

### ჯილდო ჟურნალისტებისთვის:

პირველი პრიზის მფლობელს წილად ერგება კომპიუტერი „NetBook“; მეორე ადგილზე გასული საჩუქრად მიიღებს დიქციონარს.

### ჯილდო ფოტოგრაფებისთვის:

პირველი ადგილის მფლობელს წილად ერგება მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 300 ევროს ეკვივალენტი სასაჩუქრე ბარათი. მეორე ადგილზე გასული მონაწილე საჩუქრად მიიღებს მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 150 ევროს ეკვივალენტ სასაჩუქრე ბარათს.



## ახელობა ყიხბიოხეთში

ყირგიზეთში ისევ არეულობაა. ექს-პრეზიდენტ ბაკიევის მომხრეების გამოსვლებს ქვეყნის სამხრეთით მდებარე სამ ქალაქში – ოშში, ჯალალ-აბადსა და ბატკენსკში, ადმინისტრაციული შენობების დაკავება მოჰყვა. რეგიონში სპეციალური დანიშნულების რაზმიც ჩავიდა. შეტაკებებს მსხვერპლიც მოჰყვა. ბაკიევის მომხრეებმა მოგვიანებით სამივე შენობა დატოვეს.

პარასკევს ჯალალ-აბადში დროებითი მთავრობის მომხრე „ატა-მეკენის“ პარ-

ტიის წევრებსა და ბაკიევის მხარდამჭერებს შორის კიდევ მოხდა მწვავე შეტაკება. დაპირისპირებულები ერთმანეთს ქვებითა და ჯოხებით დაერივნენ. შეიარაღებულმა პირებმა ცეცხლი წაუკიდეს ბაკიევისა და მისი ნათესავების სახლებს.

გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარე როზა ოტუმბაევა აცხადებს, რომ დამხობილ ხელისუფლებას „რევანშის ალების“ უფლებას არ მისცემს. მისი თქმით, ბაკიევის მომხრეები მოსკოვიდან იმართებიან.


## ბაღდადიანი შეთანხმება

„ევროკავშირსა და საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების შეთანხმების ხელმოწერა გადაიდო“, – აცხადებს ევროკავშირის წარმომადგენელი საქართველოში პერ ეკლუნდი. მისი თქმით, ხელმოწერა ზაფხულამდე უნდა მომხდარიყო, თუმცა, შეთანხმება გადაიდო. ამის მიზეზად ეკლუნდი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების თანხმობის აუცილებლობას ასახელებს.

ევროკომისარმა შტეფან ფულემ კი ბრიუსელში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საქართველოს ულტრალიბერალური იდეები ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას სრულად არ ესადაგება. ამის მიუხედავად, ფულემ იმედი გამოთქვა, რომ „თბილისი ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კურსზე დარჩება“.

## ხუსეთი და თუხეთი

რუსეთის პრეზიდენტი აღმოსავლეთში, სამდღიანი ტურის ფარგლებში, სირიიდან თურქეთში ჩავიდა. ამ ვიზიტისას ორ ქვეყანას შორის რამდენიმე მნიშვნელოვან დოკუმენტს მოეწერა ხელი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ორ ქვეყანას შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებისა და თურქეთის სამხრეთ სანაპიროზე ატომური ელექტროსადგურის რუსული ფულით აშენების საკითხებზე შეთანხმება. პროექტი 20 მილიარდი დოლარი დაჯდება. მოსკოვი და ანკარა მთიანი ყარაბაღის პრობლემებთან დაკავშირებით თანამშრომლობაზეც შეთანხმდნენ. თურქეთის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ მედვედევმა განაცხადა, რომ იმედი აქვს, მომავალში ორ ქვეყანას შორის ტვირთბრუნვა გასამშავდება.



## საქართველო და ზიბაქ-დანაშაული

თბილისში კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე რეგიონული კონფერენცია გაიმართა. ქართველ ექსპერტებს, საჯარო მოხელეებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა ამ სფეროში მიღებული გამოცდილება გაუზიარეს. საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ევროკავშირი და ევროსაბჭო ეხმარება, რომ ქვეყანაში კიბერ-დანაშაულთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა დაიხვეწოს და ამ ტიპის კრიმინალისგან თავის დასაცავად ეფექტური მექანიზმები ამოქმედდეს. კიბერ-დანაშაული არის დანაშაული, რომელიც ჩაიდინება კომპიუტერული სისტემის მეშვეობით (ნებისმიერი სისტემა, რომელიც ამუშავებს მონაცემებს; თუნდაც, მობილური ტელეფონი) – ასეთია განმარტება. იუსტიციის სამინისტროს კვლევისა და ანალიზის განყოფილების უფროსის რუსუდან მიხელიძის თქმით, კიბერ-დანაშაულის საკითხებზე მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსში შევა; ასევე მზადაა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონპროექტიც. პროექტის ავტორები აცხადებენ, რომ „კიბერ-დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური მექანიზმების გატარება მოქალაქეთა რაიმე უფლების ხელყოფას არ ნიშნავს“. მათივე თქმით, ეს პროექტები ევროსაბჭოს ექსპერტების მიერაა გადამოწმებული.

## აშშ აიზაი-შახაჯების წინააღმდეგ

პენტაგონმა, შესაძლოა, კიბერ-შეტევებს შეიარაღებული პასუხი გაცეს, – აცხადებს აშშ-ს თავდაცვის უწყების მაღალჩინოსანი ჯეიმს მილერი. მილერი ამბობს, რომ კიბერ-შეტევის საფრთხე მუდმივად იზრდება, რის გამოც, პენტაგონმა „აუცილებლად უნდა იფიქროს შესაძლო პასუხებზე, რომლებიც მხოლოდ კიბერ-სივრცით არ შემოიფარგლება“. მილერი ამბობს, რომ აუცილებელია, ჰაკერულ თავდასხმებს აშშ-ს წინააღმდეგ საომარი აქტის შეფასება მიეცეს. მანამდე პენტაგონში განაცხადეს, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში აშშ-ს თავდაცვის სამინისტრომ ჰაკერებისგან საკუთარი კომპიუტერების დაცვაზე 100 მილიონი დოლარი დახარჯა. CNN-ის ინფორმაციით, რომელიც კონგრესისადმი პენტაგონის მოხსენებას ეყრდნობა, ამერიკელი სამხედროების განსაკუთრებულ შემოფოთებას იწვევს ჩინეთის ქმედებები, რომელიც „მტრული“ კომპიუტერების წინააღმდეგ ვირუსებს ამზადებს.

## აფეთქება მაღალი

რუსეთში, „რასპადსკის“ მაღაროში მომხდარი აფეთქების შედეგად გარდაცვლილთა საბოლოო რაოდენობა ჯერ კიდევ არ არის დადგენილი. აფეთქების მომენტში მაღაროში 100-მდე მუშახტე იმყოფებოდა. სამაშველო და განმენდის სამუშაოები მაღაროში დაგროვილი აირის გამო შეჩერებულია. თუმცა, მაღაროში მყოფი მუშახტეების გადარჩენის იმედი უკვე აღარ არსებობს. კემეროვის მხარის გუბერნატორის თქმით, მაღაროს ალდგენითი სამუშაოებისთვის რამდენიმე წელიწადი იქნება საჭირო. ამ აფეთქების გამო, „რასპადსკის“ აქციები თითქმის 24 პროცენტით გაუფასურდა. მატერიალურმა ზარალმა კი, შესაძლოა, 200 მილიონ აშშ დოლარს მიაღწიოს. არც მაღარო და არც მისი მონყობილობა დაზღვეული არ იყო.



## ჩისხეები

**1** -ლ ადგილზე საქართველო პროგრამული უზრუნველყოფის მეკობრეობის კუთხით.

**51** პროცენტითაა შემცირებული წელს სოფლის მეურნეობის ბიუჯეტი, შარშანდელთან შედარებით.

**12,5** მილიონი ლარი დაჯდა „მშვიდობის ხიდის“ მშენებლობა.

**43** მილიონი ლარია გამოყოფილი წლევიანდელი ბიუჯეტიდან თბილისის დასუფთავებისთვის.

## სიტყვები



„ჩვენ გვესმის, რომ შეუძლებელია 50/50-ზე გაყოფა, ამიტომ „გაზპრომი“ ამას არასოდეს დაეთანხმება. ეს რალაც თავისებური ხუმრობაა. სხვა ნებისმიერი პირობით გაერთიანება [„გაზპრომისა“ და „უკრაინის ნეფტოგაზის“] კი შეუძლებელია“.

**ვიქტორ იანუკოვიჩი**  
**14 მაისი, „ბი ბი სი“**

„ის [საკაშვილი] ევროპაში ხშირად ჩადის, როგორც ტურისტის და უშვებენ, რადგან კარგად იხდის, მაგრამ არც ერთი სახელმწიფო ლიდერი სააკაშვილს არ ხედება“.

**ლევან პირველი**  
**14 მაისი, მოსკოვი**

„ვილაც იგებს რეიტინგებს, მაგრამ მე მოვიგებ არჩევნებს“.

**ირაკლი ალასანია**  
**11 მაისი, თბილისი**

„როცა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი აღარ იქნება, ქართული ჯარი მოსკოვში 9 მაისის აღლუმში მიიღებს მონაწილეობას“.

**ზურაბ ნოლაიდელი**  
**11 მაისი**

„საჭიროა, რომ საქართველომ კვლავ განაგრძოს დემოკრატიული რეფორმები და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება, განსაკუთრებით პოლიტიკური პლურალიზმის და მედიის თავისუფლების კუთხით“.

**ევროკავშირის ანგარიში საქართველოს მიერ სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ**  
**12 მაისი**



ფოტოგრაფი ილია ბარბაქაძე

## იბუჩიის ნაბსუჩიუბი

ოცი წელი გავიდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ მას დასავლეთში „ბოროტების იმპერიას“ უწოდებდნენ და ტოტალიტარულ სახელმწიფოდ მიიჩნევდნენ, ბევრი საბჭოთა ადამიანისთვის ის საზოგადოებრივი წყობის იდეალს წარმოადგენდა. ზოგი დღემდე ფიქრობს, რომ სტალინის მმართველობა, წესრიგის და პროგრესის მხრივ, ყველაზე წარმატებული იყო. საბჭოთა იდეოლოგიის მიმდევრების რიცხვი წელ-წელა მცირდება. თუმცა, საქართველოში ჯერაც ხშირად გვხვდება საბჭოთა სიმბოლიკიანი ნივთები, შენობები, მონუმენტები. ზოგ ასეთ ნივთს კი ადამიანები ოჯახშიც ინახავენ.



# ხანა შუაპირის ექსპონენტი პირადობის მონომობა?

ელექტრონული პირადობის მონომობები არსებითად შეცვლის სახელმწიფო და კერძო სექტორის ურთიერთობას მოქალაქეებთან. ამასთან, საბოლოოდ გამოორიცხავს საარჩევნო სიების უზუსტობის საკითხს.

## ნინო ნატროშვილი

სამგზავრო პასპორტების შემდეგ ცვლილებები პირადობის დამადასტურებელ მონომობებს შეეხება. ახალი ტიპის მონომობა პლასტიკური ბარათი იქნება, რომელზეც, მფლობელის ჩვეულებრივი ხელმოწერის ნაცვლად, ელექტრონული ხელმოწერა განთავსდება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ვარაუდობს, რომ ქვეყანაში ელექტრონული ხელმოწერის ამოქმედებით დროთა განმავლობაში ქალაქადიტი საქმისწარმოებას მთლიანად ელექტრონული დოკუმენტბრუნვა ჩაანაცვლებს. ამასთან, პროექტი სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობას გაცილებით მარტივად და მოსახერხებელს გახდის. მაგალითად, თუკი დღეს რომელიმე სახელმწიფო უწყებაში განაცხადის შეტანა გსურთ, აუცილებლად უნდა მიხვიდეთ შესაბამის ორგანიზაციაში, ქალაქადიტი შევსებულ განაცხადს ხელი მოაწეროთ და კანცელარიაში გააგზავნოთ. ახალი პირადობის მონომობის შემოღების შემდეგ კი ამ განაცხადს სახლიდან გაუსვლელად შეავსებთ, პლასტიკურ ბარათზე დატანილი ელექტრონული ხელმოწერით დაამონებთ და ნებისმიერ სახელმწიფო უწყებაში ელექტრონული ფოსტით გააგზავნით.

ელექტრონულ ხელმოწერას აქვს იურიდიული ძალა და მისი მეშვეობით დოკუმენტის დამონების შემდეგ ამ დოკუმენტში რაიმე სახის ცვლილების შეტანა შეუძლებელია.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში ვარაუდობენ, რომ ელექტრონული ხელმოწერის რეალიზება მთლიანად შეცვლის მოქალაქისა და კერძო სექტორის ურთიერთობასაც. კერძოდ,

ბიზნეს-პროცესები წარმართება აბსოლუტურად განსხვავებულად და ყველა იმ სერვისის მიწოდება, რომელსაც ესა თუ ის უწყება მოქალაქეებს სთავაზობს, ონლაინ-სივრცეში მოხდება. პიროვნებას იდენტიფიცირებისთვის ამა თუ იმ ორგანიზაციაში მისვლა აღარ მოუწევს, ყველა ოპერაცია დისტანციურად შესრულდება, პირის იდენტიფიკაცია კი სწორედ პირადობის მონომობაზე განთავსებული ელექტრონული ხელმოწერით გახდება შესაძლებელი. სხვათა შორის, დღეს სახელმწიფო სერვისების დიდი ნაწილი უკვე მზადაა ამისთვის, თუმცა ერთადერთ შემთავრებულ ფაქტორს პიროვნების იდენტიფიკაცია წარმოადგენს. იგივე სამოქალაქო რეესტრის სააგენტო პირის მისვლის გარეშე ვერც ერთ ოპერაციას ვერ ახორციელებს, ელექტრონული ხელმოწერა კი ამ ბარიერს მოხსნის.

ახალი ტიპის პირადობის მონომობაზე ელექტრონულ ხელმოწერასთან ერთად დატანილი იქნება მეორე ელექტრონული მატარებელიც. დამატებითი ჩიპი განკუთვნილია ყველა იმ მასობრივი სერვისისთვის, რასაც მოქალაქეები ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებენ. ამ ჩიპზე შესაბამისი ინფორმაციის ჩაწერა კი ნებისმიერ კერძო კომპანიას შეეძლება. მაგალითად, თუკი გსურთ, შეიძინოთ გუდაურში საბაგროს აბონემენტი, ამისთვის აღარ მოგიწევთ ცალკე ბარათის აღება: შესაბამის აპლიკაციას ჩაწერთ პირდაპირ ჩიპზე და საბაგროზე პირადობის მონომობით ისარგებლებთ. ან თუ ავტობუსით მგზავრობის ბარათი გაქვთ, იგივე

ინფორმაციას პირადობის მონომობაზე ჩაწერთ და მას სამგზავრო ბარათის ნაცვლადაც გამოიყენებთ.

ახალი ტიპის პირადობის მონომობაზე ავტომატურად მოხდება მფლობელის ყველა მონაცემის მიბმა: აქვს თუ არა მას მართვის მონომობა, დააჯარიმა თუ არა იგი პატრულმა, როგორია მისი ჯანდაცვის ისტორია და ასე შემდეგ. თავად მონაცემები პირადობაზე არ ჩაიწერება, მისი დახმარებით, მხოლოდ ამ ინფორმაციის ონლაინ-სისტემაში ნახვა იქნება შესაძლებელი. მაგალითად, თუკი პენსიის დანიშვნა მოგიწევთ, მიხვალთ შესაბამის უწყებაში, ჩადებთ ბარათს ოპერატორთან და იგი ავტომატურად მოახდენს მთელი ინფორმაციის იდენტიფიკაციას – ჯანმრთელობის ისტორიას, მკურნალობის ისტორიას და ასე შემდეგ. იგივე ბარათით ნებისმიერი მოქალაქე შეძლებს ინტერნეტით ნახოს, თუ რა მონაცემები აქვს დაბადებიდან სახელმწიფოს სხვადასხვა უწყებას მის შესახებ, ანუ რა ინფორმაციაა მის შესახებ დაცული სამოქალაქო და საჯარო რეესტრებში, ფინანსთა სამინისტროში და ასე შემდეგ. თუმცა, მონაცემების მიღება შეეძლება მხოლოდ და მხოლოდ ბარათის მფლობელს და მას, ვისაც მფლობელი შესაბამის უფლებას მისცემს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტო ახალი პირადობის მონომობების გაცემის დაწყებას მომავალი წლიდან გეგმავს. თუმცა, ეს გარკვეულწილად დამოკიდებულია ფინანსურ რესურსებზე. სააგენტო დაფინანსებასთან დაკავშირებით პასუხს ევროკავშირისგან და სხვა დონორი ორგანი-

ზაციებისგან ელოდება. გარკვეული თანხის გამოყოფა უნდა მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც. ცნობილია, რომ ბარათის გამოსვლისთანავე მისი დახმარებით მინიმუმ 5 სერვისით სარგებლობა უკვე იქნება შესაძლებელი. ამისთვის იუსტიციის სამინისტროში მომზადდება ერთიანი პორტალი, სადაც სამომავლოდ ყველა ის მომსახურება განთავსდება, რომელსაც დღეს მოქალაქეს სახელმწიფო სთავაზობს. პირველ ეტაპზე კი მოქალაქეს ინტერნეტით მისამართის შეცვლა, ქონების რეგისტრაცია, ელექტრონული დეკლარირება, გვარის შეცვლა, დაბადება და გარდაცვალება. ანუ მოქალაქეებს ამ სერვისების მისაღებად შესაბამის უწყებებში მისვლა აღარ მოუწევთ. მომსახურებას ისინი ონლაინ-რეჟიმში განახორციელებენ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი საარჩევნო პროცესს უკავშირდება. ახალი ბარათების შემოღების შემდეგ ყველა მოქალაქე დროთა განმავლობაში იძულებული იქნება, აიღოს პლასტიკური ბარათი ელექტრონული ხელმოწერით და, როგორც სამოქალაქო რეესტრში აცხადებენ, ელექტრონული პირადობის მონმობა იქნება საარჩევნო სიების 100%-იანი სიზუსტის გარანტია. შესაბამისად, 2013 წლის არჩევნებისთვის ეს საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს. ამას გარდა, თუკი საქართველოში დადგება ის დრო, როდესაც ქვეყანა მზად იქნება ელექტრონული არჩევნების ჩასატარებლად, ამომრჩეველი ხმის მიცემას საარჩევნო უბანზე მიუსვლელებად, კომპიუტერისა და ელექტრონული პირადობის მონმობის დახმარებით შეძლებს.

ახალი პირადობის მონმობის აღება თავდაპირველად სავალდებულო არ იქნება. სამოქალაქო რეესტრში ვარაუდობენ, რომ პირველი წლის მანძილზე დაახლოებით 700-800 ათასი მოქალაქე თავისთავად გამოცვლის ძველ მონმობას. შემდგომში ძველი პირადობის გამოყენება თანდათან შეიზღუდება და საბოლოოდ ყველა ახალი თაობის პირადობის მონმობის გამოყენებაზე გადავა. **■**

# დიოხით შეჩეხებული ახესია

ერეკლე დეისაძის ნიგნის გარშემო დაწყებული დაპირისპირების ყველა მხარე თავს დაზარალებულად მიიჩნევს.

## ანიტა თვაური



ექცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, 4 მაისი 2010

„ბრალდებულები სასამართლო სხდომაზე ცინიზმითა და აგრესიით მოიხსენიებდნენ საქმეზე მონმის და დაზარალებულის სახით დაკითხულ და დასაკითხ პირებს, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულები, თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, ზემოქმედებას მოახდენენ პროცესის მონაწილეებზე ან გაანადგურებენ მტკიცებულებებს, რითაც ხელი შეეშლება საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას“, – ასე ახსნა საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, გიორგი არევაძემ „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ შეიდი ნევრისთვის ორთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება. შოთა აფხაიძე, რატი მათაშვილი, ლევან ჩაჩუა, გიორგი გაბედავა, დავით შალამბერიძე, ავთანდილ ზუბაძე და ზვიად ბლიაძე ტელეკომ-

პანია „კავკასიაში“ 7 მაისს მომხდარი ინციდენტის გამო დააკავეს. ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში დაწყებული და შემდეგ ხელჩართულ ბრძოლაში გადაზრდილი ჩხუბი რამდენიმე დღიანი დაპირისპირების კულმინაცია აღმოჩნდა. მანამდე, 4 მაისსა და 7 მაისს ილიას უნივერსიტეტთან გამართულ აქციებში პოლიცია მხოლოდ გამშვებების ფუნქციას ასრულებდა. აქციის ერთ-ერთ მონაწილე ნიკა ლუტიძეს იმ დღეს მართლმადიდებლური ორგანიზაციის სახელით მოქმედმა პირებმა თავში სამჯერ ჩაარტყეს. ექიმებმა მას შიდა ქალის ტრავმა და თავის ტვინის შერყევა დაუდგინეს. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა პატრულის თანამშრომლის გვერდით იდგა და სამართალდამცავები ხედავდნენ, როგორ ურტყამდნენ მას, ერთადერთი, რაც მათ გააკეთეს – ნიკა იქაურობას გაარიდეს. პო-

ლიციელთა სიმრავლის მიუხედავად, მუშტებისგან თავის დაცვა ვერც აქციის კიდევ ერთმა მონაწილემ, ილიას უნივერსიტეტის სტუდენტმა, აჩო ხაჩიძემ მოახერხა. ის იხსენებს, რომ მართლმადიდებლური ორგანიზაციის სახელით მოქმედმა პირებმა აქციაზე მოსულ პოლიციელებს ერეკლე დეი-საძის წიგნიდან ამონარიდები წაუკითხეს. „ამის შემდეგ პოლიციაც ჩვენ მიმართ ზიზლით განეწყო. არ გვირტყამდა, მაგრამ ისეც აღარ გვიცავდა. პოლიცია რომ მოვიდა, იმის მერეც ბევრს მოხვდა ხელი“, – ამბობს აჩო ხაჩიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი შოთა უტიაშვილი პოლიციის ქმედებას დადებითად აფასებს. „პოლიცია რომ აშველებდა, მგონი, ეს ის არის, რაც მას უნდა გაეკეთებინა. ის ერთი მხარის პოზიციას ვერ დაიკავებდა“, – ამბობს შოთა უტიაშვილი.

სამართალდამცავი სტრუქტურები გაცილებით ორგანიზებულად მოქმედებდნენ 7 მაისს, ილიას უნივერსიტეტის წინ მეორედ გამართულ აქციაზე და იმავე საღამოს „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში დაწყებული დაპირისპირების დროს.

სწორედ მაშინ დააკავეს სამართალდამცავმა სტრუქტურებმა „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობისა“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ წევრები. კინომცოდნე თეო ხატიაშვილი ტელეკომპანია „კავკასიაშიც“ იყო სტუმრად მიწვეული და ილიას უნივერსიტეტთან გამართულ აქციებზეც ესწრებოდა. ის ამბობს, რომ ასეთი აშკარა ძალადობის შემდეგ პოლიციის უმოქმედობა მათი უპირობო მხარდაჭერის ტოლფასი იქნებოდა და პოლიცია იძულებული გახდა, ჩხუბის ორგანიზატორები დაეკავებინა.

„კავკასიაში“ მომხდარ დაპირისპირებას მალე პრეზიდენტის ადმინისტრაციაც გამოეხმაურა. 8 მაისს პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა, – „სიძულვილის, ძალადობის, შეუწყნარებლობის ქადაგება და ექსტრემიზმი კატეგორიულად მიუღებელია. საქართველოს პრეზიდენტი გმობს ყოველგვარ თავდასხმასა და ძალადობას – ხელი-

სუფლება აღკვეთს ნებისმიერ, მათ შორის, მსგავს ძალადობას. ნამდვილი დემოკრატია მხოლოდ კანონის პატივისცემის პირობებშია შესაძლებელი“.

მომხდარ ინციდენტზე გამოძიების დაწყების შესახებ ვაკე-საბურთალოს პროკურორმა, კოტე ცაგურამ განაცხადა. „გამოძიებით დადგინდა, რომ ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში მოწვეულმა ცალკეულმა პირებმა, გარეთ მყოფ მხარდამჭერებთან წინასწარი შეთანხმებით, ჩაშალეს გადაცემა „ბარიერი“. მათ განზრახული ჰქონდათ ძალადობით, ძალადობის მუქარით ხელი შეეშალათ ჟურნალისტებისათვის მათთვის არასასურველი ინფორმაციის გავრცელებაში, რაც შემდგომ მათი მხრიდან ხულიგურ ქმედებაში გადაიზარდა. შედეგად, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტელეკომპანიის დამფუძნებელს დავით აქუბარდიას და ტელეკომპანიის სხვა თანამშრომლებს“, – თქვა მან.

გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე დღეში „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ ლიდერმა, მალხაზ გულაშვილმა განაცხადა, რომ სამართალდამცავები მის 17 წლის ვაჟს სექსუალური ძალადობით დაემუქრნენ. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ მან, „ოჯახის წევრის უსაფრთხოების მიზნით“, თბილისი დატოვა და ცხინვალში გადავიდა. „არ ვაპირებ, რომ მედევდევს ვთხოვო პოლიტიკური თავშესაფარი, მაგრამ თუ ამის აუცილებლობა იქნება, მედევდევსაც ვთხოვ და ნებისმიერსაც. პრობლემა არ მაქვს“, განუცხადა მან ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს.

სამართალდამცავების მხრიდან მუქარებსა და ზეწოლაზე ახალგაზრდული ორგანიზაცია „წინ“-ის წევრებიც საუბრობენ. მოძრაობის წევრი ზუკა ჩაჩანიძე ამბობს, რომ თავი მონასტერს შეაფარა და მის მეგობრებსაც მოუწიათ დროებით სახლის დატოვება. პოლიციის თანამშრომლების მიერ ზეწოლაზე „წინ“-ის კიდევ ერთი წევრი თენგი ომანიძე საუბრობს.

„ვინც გარეთ დავრჩით და არ დაუჭერივართ, შემოგვითვალეს, – ჭკვიანად იყავით და არ იაქტიუროთ, თორემ თქვენც აგიყვანთო“, – ამბობს თენგი ომანიძე.

წიგნის „საიდუმლო სირობის“ ავტო-

რი ერეკლე დეისაძე ამჟამად თურქეთში ახლობელთან ცხოვრობს და ამბობს, რომ ქვეყანა უსაფრთხოების მიზნით დატოვა. „ძირითადად ფეისბუქში მომდიოდა მუქარის წერილები, როგორც მმკ-ს წევრებისგან, ისე მოქალაქეებისგან. ისინი ცემით და მოკვლით მემუქრებოდნენ“, – ამბობს ერეკლე დეისაძე.

წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიის წინამძღვარი და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“ ერთ-ერთი ლიდერი, დეკანოზი დავით ისაკაძე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, 9 მაისს „ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოდ მოღვაწეობისთვის“ გამშვენებული ჯვრითა და მიტრის ტარების უფლებით დააჯილდოვა. ეს არის საჩუქარი და ამ ჯილდოს გადაცემა არ გულისხმობს იერარქიულ დანიშნულებას. საპატრიარქოს პრესმდივანმა მარიამ გაგუამ განმარტა, რომ ამ ჯილდოს გადაცემა ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებამდე იყო დაგეგმილი.

სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი, ბექა მინდიაშვილი მიიჩნევს, რომ პატრიარქის ეს გადაწყვეტილება იყო მკაფიო სიგნალი საზოგადოებისთვის, რომ მან დავით ისაკაძის საქმიანობა წაახალისა.

„დაკავებულები შემსრულებლები არიან და პასუხისმგებლობა ალბათ ამ ყველაფრის დამგეგმავებსაც უნდა მოსთხოვონ. ისინი მომავალშიც იპოვნენ სხვა „შემსრულებლებს“ და კვლავ გაგრძელდება ამ თემებით სპეკულირება“, – ამბობს თეო ხატიაშვილი, რომელიც თვლის, რომ პოლიციამ სწორი ნაბიჯი გადადგა, თუმცა საკმარისი არ არის.

შოთა უტიაშვილი აცხადებს, რომ არც მალხაზ გულაშვილსა და არც დეკანოზ დავით ისაკაძეს ამჟამად არც ეჭვმიტანილის და არც ბრალდებულის სტატუსები არ აქვთ. თუმცა, „თუ დამტკიცდება, რომ ისინი [მალხაზ გულაშვილი და დავით ისაკაძე] იყვნენ ორგანიზატორები და მათი ნახალისებით მოხდა ეს დაპირისპირება, თეორიულად შესაძლებელია, რომ მათაც გაიზიარონ პასუხისმგებლობა“, – ამბობს შოთა უტიაშვილი. ■



# ხოზოხ იჩჩევ მახს

ამომრჩეველთა აქტიურობას 30 მაისს დიდწილად ისიც განსაზღვრავს, თუ როგორ გააშუქებს მედია ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდს.

## რუსუდან რუსაძე

„რად მინდა მე პირადი სიმბათია, მე ის მინდა, ვინც კარგს გააკეთებს ხალხისთვის“, – ასაკოვანი ქალბატონი თავის არჩევანს უსაბუთებს „მოამბის“ ყურნალისტს. ყველა ასე არ ფიქრობს: „დაპირებების არ მჯერა, მთავარია, როგორი ცხოვრება განვლო [კანდიდატმა]“.

„პიროვნებას მივანიჭებდი უპირატესობას, პირველ რიგში, ქალაქელი უნდა იყოს“.

„მთავარია წინასაარჩევნო პროგრამა, ამის მიხედვით გვაკეთებ არჩევანს“.

სიუჟეტში პოლიტიკოსებიც აღნიშნავენ, რომ ამომრჩეველი გაიზარდა და მათ მოუწევთ, როგორც დახვეწილი პროგრამის წარდგენა, ისე პირადი სიმბათიის მოპოვება.

მეორე საკითხია, როგორ გააშუქებს მედია წინასაარჩევნო კამპანიას და რაზე გააკეთებს მეტ აქცენტს – კანდიდატთა სტრატეგიაზე, პროგრამებზე, პიროვნებაზე თუ მხოლოდ წინასაარჩევნო ქრონიკის გაშუქებით შემოიფარგლება. სწორედ ესაა არჩევნების გაშუქების 4 ყველაზე გავრცელებული ჩარჩო, რომელთა პროპორცია, მედიამკვლევრების აზრით, დიდწილად განსაზღვრავს საბოლოოდ ამომრჩეველთა აქტიურობას არჩევნების დღეს.

გასულ კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი ახალი ამბავი NDI-ის კვლევის შედეგების გამოქვეყნება იყო. მედიამ განსაკუთრებული აქცენტი რამდენიმე მონაცემზე გააკეთა: 53%-ის აზრით, ქვეყანა სწორი გზით ვითარდება, 57% გიგი უგულავას უჭერს მხარს, გიგი უგულავას რეიტინგი მეტია, ვიდრე სააკაშვილის, ორივეს კი პატრიარქი უსწრებს.

თუმცა, მედიის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა წინასაარჩევნო პერიოდისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი მონაცემი – „არ ვიცი“ და „უარი პასუხზე“. არ იყო წარმორჩენილი იმის ამსახველი მონაცემებიც, თუ რამდენად ენდობა „იმედის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალ ამბებს მაყურებელი.

არის თუ არა თბილისის მერის არჩევნები მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების განმსაზღვრელი და ეყოლებოდა თუ არა ოპოზიციას ერთიანი კანდიდატი ამ ბრძოლაში – ამ კითხვებმა განაპირობა ის, რომ მედიამ აქცენტი იმთავითვე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სტრატეგიაზე გააკეთა.

გაშუქების ამგვარი ჩარჩო რამდენიმე კრიტერიუმით განისაზღვრება: წარმორჩენილია თუ არა მოგება-წაგების


ასპექტები, მოყვანილია თუ არა საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, აგებულია ერთ კონკრეტულ შემთხვევაზე, დასმულია თუ არა რომელიმე მხარის პასუხისმგებლობა და ნაჩვენებია თუ არა კონფლიქტი მხარეებს შორის. მაშ, ასე:

ოპოზიციური პარტიების უშედეგო კონსულტაციები და პრაიმერი „ერთიანი კანდიდატის“ გამოსავლენად;

გამარჯვების ფორმულის შემუშავება, მინუს ნოლიადელი თუ პლუს ნოლიადელი და „ედინაია როსიას პარტნიორისგან“ პასუხი ამ ყველაფერზე: „ჩვენს გარეშე გამარჯვება არ არსებობს“;

მარჩიელობა – იყრიდა თუ არ კენჭს მერობის კანდიდატობაზე ლევან გაჩეჩილაძე და შეიქმნებოდა თუ არა ახალი ტრიუმფირატი გაჩეჩილაძე-ნოლიადელი-ოქრუაშვილის სახით. „ლევანი მზად არის ყველაფრისთვის, რაც გამარჯვების ფორმულისთვის გამოდგება“, – ასე აფასებდა სუბარი გაჩეჩილაძის შესაძლო ამბიციას;

ალექსანდრე ებრალიძის პრეზიდენტობისთვის მზადება და დიასპორის ფორუმი იგივე „ალიკ ბაზარის ბაზარი“ („იმედი“), რომელშიც კობა დავითაშვილი და კახა კუკავაც მონაწილეობდნენ. „ჩვენ გვინდა მეგობრული ურთიერთო-



**მმართველი პარტიის კანდიდატის პროგრამას მედიამ ყველაზე ვრცელი მასალა წარდგენის დღეს დაუთმო. მას შემდეგ უგულავას კამპანიამ პერფორმანსის სახე მიიღო და პროგრამულ ნაწილზე მედია ნაკლებ აქცენტს აკეთებს.**

ბები, არც რუსეთის კმევა, არც ამერიკის კმევა“, – აცხადებდა დავითაშვილი;

„ალიანსის“ შეთავაზება ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას – ჭანტურიას კანდიდატურის მოხსნის სანაცვლოდ, საკრებულოს თავმჯდომარედ ინგა გრიგოლიას მხარდაჭერა. „ყველა საარჩევნო სუბიექტი სტრატეგიას თვითონ გეგმავს“, – აცხადებდა კუკავა, „საერთო სტრატეგიის შესამუშავებლად გადადგმული ნაბიჯია“, – განმარტავდა თოფაძე;

„ალასანიამ გამარჯვების ფორმულა ვერ გაიაზრა“, – აცხადებდა გაჩეჩილაძე „ალიანსის“ საარჩევნო სიიდან სოზარ სუბარის გამოთიშვაზე. „ბრძოლა გრძელდება... ჩვენი მიზანია ნაციონალების გასტუმრება ამ ქვეყნიდან“, – განმარტავდა სუბარი;

მოხდა თუ არა ფიზიკური დაპირისპირება დიდუბის და სამგორის საარჩევნო შტაბის წარმომადგენლებს შორის „რაჭის უბანთან“ და სცემა თუ არა ნაციონალმა პეტრე ცისკარიშვილმა გიგი უგულავას „თალღაურასთან“ და იმავე სერიიდან:

„დიდიგურის გასროლა, საარჩევნო კამპანიაში დენთის სუნი დატრიალდა“ („რუსთავი 2“), „დიდიგურის საარჩევნო გასროლა“ („იმედი“) – ინციდენტი ნაციონარობის აქტივისტებს და მერობის ერთ-ერთ კანდიდატს შორის;

„მე ვინყებ ბრძოლას თბილისის უკეთესი მომავლისთვის“, – ამ ფრაზით შეუერთდა გიგი უგულავა წინასაარჩევნო კამპანიას. იქცევა მერია დასაქმების ბიუროდ თუ პოლიტიკურ ცენტრად – არჩევანი კანდიდატების პროგრამებიდან გამომდინარე საკმაოდ შეზღუდულია.

პროგრამაზე ორიენტირებული გაშუქება პროცენტულად სტრატეგიულ ჩარჩოს უტოლდება. თუმცა ეს არ არის საკითხის ზუსტი ჩარჩო, რომელსაც შემდეგი პარამეტრები განსაზღვრავს: არის თუ არა საუბარი ახალი ამბავში კანდიდატის პროგრამის კონკრეტულ სფეროებზე, პრობლემის გადაწყვეტის გზებზე და მოცემულია თუ არა ანალიზი. უკანასკნელი კრიტერიუმი თითქმის არც ერთი კანდიდატის შემთხვევაში არაა დაცული და ამ ტიპის ახალი ამბების ძირითადი ხარვეზია.

მმართველი პარტიის კანდიდატის პროგრამას მედიამ ყველაზე ვრცელი მასალა წარდგენის დღეს დაუთმო. მას შემდეგ უგულავას კამპანიამ პერფორმანსის სახე მიიღო და პროგრამულ ნაწილზე მედია ნაკლებ აქცენტს აკეთებს.

წინასაარჩევნო ქრონიკაზე მიბმული ჭანტურიას პროგრამული მიმართულებები, მამინაც კი, როცა იგი საშუალო ბიზნესის განვითარების გეგმას დარგობრივ ექსპერტებთან წარადგენს. ერთი შადრევნის მაგალითზე იმის ახსნა, თუ როგორ გახდება წყალი უფასო – ჭანტურიას დაპირებების ყველაზე ხატოვანი განმარტება იყო.

„დასაქმებაზე ჩვენ, 15 წელია, ვლაპარაკობთ, ძალიან კარგია, რომ აგვყენენ და დღეს ყველა ამას აწვება“, – გოგი თოფაძის პროგრამაზე ერთ-ერთ სიუჟეტში ისიც კი იყო მითითებული, რომ 12- პუნქტიანი გეგმა ერთ გვერდზე დეტალია.

დიდიგურის საკანდიდატო პროგრამის ასპექტების წარმოჩენა მედიის მხრიდან უმეტესად ამგვარი ფრაზებით შემოიფარგლება: „მერია აღარ დააფინანსებს სატანისტურ „ჰელოუინს“ და გეი-აღლუმებს“.

ყველაზე ვრცლად შუქდება ირაკლი ალასანიას წინასაარჩევნო პროგრამა, რომელსაც ყველაზე მეტ დროს „კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვება უთმობს. მისი ჯანდაცვის, დასაქმების და სოციალურ პროგრამებს ვრცელი სიუჟეტები მიეძღვნა. „ჟურიერში“ კი მისი ჯანდაცვის გეგმა სადაზღვევო პოლისის ჩამონათვალს შეადარეს.

მაუწყებლების მიერ გაშუქებული ყოველი მესამე საარჩევნო ახალი ამბავი ტრივიალური ინფორმაციაა, ანუ პარტიების და კანდიდატების ყოველდღიური აქტივობების კოლაჟი: პრესკონფერენციები და შეხვედრები ამომრჩევლებთან. რაც შეეხება კანდიდატების პორტრეტებს, „რუსთავი 2“-ის მიერ წამოწყებული ციკლი კანდიდატის ერთი სამუშაო დღე – „მოამბემ“ გააგრძელა, რომელიც წინასაარჩევნოდ ყველაზე მრავალფეროვანი რუბრიკებით გამოირჩევა. პროფილური სიუჟეტები მართლაც „პირად სიმპათიანზე“ გათვლილი, დავით იაკობიძე სტუდენტებთან, თამაზ ვაშაძე ნაგაზთან, დიდიგური შვილებთან, ირაკლი ალასანია გაზეთებთან, ივანიშვილი აქციის მონაწილეებთან, უგულავა ყველასთან ერთად – ერთ დღეში „გაცნობილი“ კანდიდატისთვის ხმის მიცემა ამომრჩეველს არ გაუადვილდება.

„ამერიკელებო, თავი დაგვანებეთ, თქვენ ვინც გინდათ, პროამერიკული პოლიტიკური პარტიები ადიან ძალიან ზეით, დანარჩენს ქვეით წეეთ“, – სხვა ოპოზიციურ კანდიდატებთან ერთად უნდობლობა გამოუცხადა თოფაძემ NDI-ის რეიტინგებს. უგულავა კი უბან-უბან 5 წლის მანძილზე შექმნილ სამუშაო ადგილებს ამომრჩევლებთან ერთად ითვლიდა: „15 – ერთგან, 20 – მეორეგან“..., მოსაგროვებელი კიდევ ბევრია. □



სტატის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.



**ნანა გოგისვანიძე**  
34 წლის, ისტორიკოსი და ფილოლოგი

არც ერთ რადიკალურ მხარეს არ ვემხრობი, ცოტა დელიკატურად უნდა გადაწყვიტონ ეს საკითხი. ჯობს, უფრო ჰუმანური მეთოდებით მოაგვარო პრობლემა. ასე ორივე მხარე ზარალდება. არ მომწონს რადიკალური რელიგიური ორგანიზაციების იდეოლოგია. რა თქმა უნდა, არც წიგნის შინაარსი მომწონს, მაგრამ ცემით და გალახვით ვერაფერს მიაღწევ.



**გურანდა კასრადე**  
50 წლის, ჟურნალისტი

რა თქმა უნდა, არ ვემხრობი „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ მსგავსი ორგანიზაციების მეთოდებს. როცა ბრძოლა აგრესიულია, ის სახიფათო ხდება. იდეოლოგია აბსოლუტურად განსხვავდება იმისგან, რასაც ქადაგებს მაცხოვარი. პირველი ქვა იმან ისროლოს, ვინც უცოდველი და უდანაშაულოაო, – და ესენი თავს ამდენის უფლებას რატომ აძლევენ? ყველაფერს უფალი მიუჩენს თავის ადგილს. მე, მაგალითად, არ გავილაშქრებდი იმთ სანინალმდეგოდ, ვის მოსაზრებასაც პრინციპულად არ ვეთანხმები, ნაკლები ემოციებია საჭირო.



**ნათელა ბაქრადე**  
65 წლის, ვირუსოლოგი

მართლმადიდებლობას პატივი უნდა ვცეთ, მაგრამ არა ასეთი გამოსვლით, არა დებოშებით და პირდაპირ ეთერში თავის შერცხვებით. ენ მართლმადიდებლებმა დაარბიეს ტელევიზია, შეიძლება ასეთი რამე? მე ვთვლი, რომ ის, რაც დაინერა იმ წიგნში, არის თავის მოჭრა მთელი ქართველი ერისთვის, არა მარტო ქრისტიანებისთვის. თუმცა, ასეთი მეთოდებით არ უნდა მოხდეს დაპირისპირება, ჩხუბით, დარტყმით, განევი-გამონევი ვერაფერი მოხერხდება, ყველას აქვს თავისი აზრი, რაც არ უნდა გამაღიზიანებელი იყოს იგი. უნდა შევეჩვიოთ მოვლენების რაციონალურად გაანალიზებას.



**ბესო ჩაგელიშვილი**  
21 წლის, ჟურნალისტი

ჩემი აზრით, ეგენი მართლმადიდებლები არ არიან, არ შეიძლება მართლმადიდებლები ასეთი აგრესიულები იყვნენ, ილიაუნის სტუდენტებს რაც შეეხება, არც მათზე მაქვს კარგი შეხედულება, და არც წიგნის ავტორზე. თუმცა, მართლმადიდებლობა სხვა რამეს მასწავლის, ცემა-ტყეპა სრულიად მიუღებელია. „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირსა“ და მის მსგავს ორგანიზაციებს ფაშისტურ დაჯგუფებებად მივიჩნევ. ისინი ჩვენი ქვეყნის სანინალმდეგო საქმეს აკეთებენ.



**სოსო როსტომიძე-ბაკურადე**  
63 წლის, მშენებელი

ეს სოროსელები რალაც „ფინთად“ შემოგვესივნენ, ერთი სული მაქვს, როდის ჩაატარებენ „გვი პარადს“, რომ ნაცნობი სახეები ამოვიცნო. ალბათ პოდიუმზე უგულავას



# ამხილებთ თუ ახა ხ ოხბანიოზასიების ბ

ბიძაშვილი გამოივლის. წიგნს რაც შეეხება, დედა რომ პირველად იწერს, და კაცს რომ ნერვები ეშლება, ასეთი მწერალი კაცი უნდა დაკოდი! მე არ ვაპირებ არც მაგის, არც ბურჭულაძის და არც სხვა „პედერასტების“ წაკითხვას! საზოგადოება მეცოდება! დეისადეს რომ დამცველები გამოუჩნდებოდა, ესაა ქვეყნის უბედურება! სტალინი რომ ვიყო დღეს, დეისადის მსგავს ხალხს დაეზვრეტდი. მარტო ეგენი კი არა, დედა, მამა, ბიძაშვილი, დამცველები, ყველასგან უნდა განმინდო ქვეყანა. სტალინი იცოდა ასე, და სწორადაც იქცეოდა!



**ლალი**  
45 წლის, პედაგოგი

ქრისტიანობას რომ საქართველოში ებრძვიან, ეს ფაქტია, და ამის წინააღმდეგი ვარ. ქრისტიანობა გადარჩენს ჩვენს ერს. ასეთი წიგნი არ უნდა გამოიცემოდეს. დეისადეს უნდა აუხსნან, რომ ეს არის მიუღებელი ქრისტიანულ ქვეყანაში. საუკუნეების განმავლობაში შევინარჩუნეთ სარწმუნოება და რატომ მიდის მის წინააღმდეგ? გაუკუღმართებულ ხალხს აქებენ და ქრისტეს გვილანძღავენ.



აქცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, 4 მაისი 2010

# ადიხანუხი ხელიბიუხი ძოდის მეთოდებს?

საქართველო



**გიორგი ქსოვრელიშვილი**  
25 წლის, პულატერი

მე მგონი, სწორად მოიქცნენ, რომ ტელეკომპანიის სტუდიაში შევარდნენ, არ შეიძლება ასეთი წიგნების გამოცემა. შეურაცხყოფელია, სხვის რელიგიებს აქებენ და საკუთარს აგინებენ. ასეთი წიგნების გამოშვება როგორ შეიძლება? დარბევშიც ვერ გავამტყუნებ, მეც აგრესია მეუფლება ხოლმე, როცა ასეთ რამეს ვხედავ. თავადაც მინდება, ბრძოლაში ჩაება.



**ვლადიმერ დობორჯინიძე**  
80 წლის, ისტორიკოსი

გიყვარდეს მოყვასი შენო, – ქადაგებს მართლმადიდებლობა, და სიკეთით სძლიე შენს მტერსო; ქრისტიანობა იმითაა ძლიერი, რომ უნდა შეგეძლოს მიუტევო და დაუთმო შენს მტერსაც კი. სულ ერთია, მომწონს მე წიგნი თუ არა, როგორ შეიძლება დაარბიო ტელევიზია? ან შეზღუდო გამოხატვის თავისუფლება? ჩვენ ასე შორს ვერ წავალთ!



**ნიკოლოზ ესიტაშვილი**  
21 წლის, სტუდენტი

ის, რაც დაინერა, მკრეხელობაა. მართლმადიდებლობა ხომ ჩვენი იდენტობაა, საუკუნეების განმავლობაში იყო ჩვენი არსებობის საყრდენი. რწმენამ ფიზიკურ და სულიერ განადგურებას გადაგვარჩინა. უნივერსიტეტში ამ წიგნის პრეზენტაცია არ უნდა მომხდარიყო. ამით სასწავლებელმა მხარი დაუჭირა მკრეხელობის გავრცელებას, საერთოდ ასეთი წიგნები არ უნდა იბეჭდებოდეს. სტამბებს უნდა აუკრძალოთ მათი გამოცემა და წიგნის ავტორზეც უნდა მოხდეს რაიმე ფორმით ზენოლა.



**გოჩა**  
47 წლის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

უმაღლეს სასწავლებელში ასეთი წიგნი არ უნდა განიხილებოდეს, ეს არის ჩემი აზრით დანაშაული. როცა სტუდენტები ითხოვენ, რომ უნივერსიტეტის ერთ კუთხეში გაიხსნას სამლოცველო, უმაღლესი სასწავლებლის რექტორატმა მათ ეს არ უნდა დაუშალოს. აქციებიც უნდა იმართებოდეს, მართლმადიდებლობა ხელნაშაყრავი საკითხი არაა! რადიკალურიც უნდა იყო, როცა საჭიროა!



**ჯემალ სალიაშვილი**  
77 წლის, ინჟინერ-მექანიკოსი

ყველამ გამოთქვას საკუთარი აზრი. საზოგადოებამ უნდა შეაფასოს დამოუკიდებლად, ვინ მტყუნანა და ვინ მართალი. მწერალი სალმან რუშდი მასხენდება, სატანის მოციქულად რომ შერაცხეს და მისი სიკვდილით დასჯა მოითხოვეს. თუ დემოკრატია გვინდა, ავაშენოთ, უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა. „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ პოზიცია ჩემთვის მიუღებელია. ცემა-ტყეპით აპირებენ მართლმადიდებლობის დაცვას? რამდენი გიჟია ამ ქვეყანაზე, ვინც რამეს იტყვის, საზოგადოება უნდა დაუპირისპირდეს? **■**



**მეგრი როგავა**  
32 წლის, იურისტი

ყველას აქვს უფლება, რომ შემოქმედებაში თავისი აზრი გამოხატოს. ვისაც არ მოსწონს წიგნი, უბრალოდ არ წაიკითხავს. ეროვნულობა და ნაციონალიზმი ყოველ ჩვენგანშია, მაგრამ მისი ასე გადაჭარბებულად და დემონსტრაციულად გამოხატვა, ჩვენს მტერს აძლევს ხელს. ჩვენ კი სიკეთეს ვერ მოგვიტანს.



**ნანიკო დათუნაშვილი**  
23 წლის, ისტორიკოსი

არც ერთი მხარე არ არის სწორი. ჯერ ერთი, არ მომწონს წიგნი, რაც წავიკითხე, მეორე მხრივ, მართლმადიდებლობა არ გულისხმობს აგრესიას. ჩემი აზრით, ყველაზე ადეკვატური რეაქცია იქნებოდა, ყურადღება საერთოდ არ მიგვექცია ამ წიგნისთვის. რაც გაკეთდა, ეს ყველაზე დიდი რეკლამა იყო. ფაქტობრივად, მაკულატურა ბესტსელერად ვაქციეთ.

# ბრიტანეთის აჩვენები და საქართველო



ბრიტანეთის ბოლო არჩევნები საქართველოსთვის კარგი მაგალითია. და ამის დამახსოვრება 31 მაისისთვის მნიშვნელოვანი იქნებოდა.

მარკ მალენი

ჩემთვის საინტერესო იყო ბრიტანეთის არჩევნებზე დაკვირვება და შემდეგ მისი საქართველოსთან შედარება. პირველ რიგში, არჩევნების პოლიტიკურ ფონს გაგაცნობთ.

კონსერვატიული პარტია ტრადიციულად, არისტოკრატების და მდიდართა კლასის პარტიაა, რომელსაც მდიდრებისთვის გადასახადების შემცირება და იმიგრაციის შეზღუდვა სურს. ბოლო ხანებში პარტიამ ერთგვარი „რებრენდინგი“ (გადახალისება) განახორციელა იმისათვის, რომ ბრიტანელი ამომრჩევლისთვის მეტად მიმზიდველი გამხდარიყო. მაგალითად, ის გახდა უფრო მწვანე.

ლეიბორისტული პარტია ტრადიციულად, მუშების პარტიაა. ტონი ბლერის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში მან მნიშვნელოვნად გადაუხვია თავისი სოციალისტური პლატფორმიდან და დაკარგა პოპულარულობა, რადგან ბუშს გაჰყვა ერასის ომში.

მესამე პარტია – ლიბერალ-დემოკრატები, რომლებიც პრო-ევროპულად არიან განწყობილები და პოლიტიკური იდეოლოგიით წინა ორ პარტიას შორის არიან მოქცეულნი, მაგრამ აქტიური ძალაუფლება ჯერ არასდროს ჰქონიათ ხელთ.

კონსერვატორებმა მიიღეს ხმების 36 %, ლეიბორისტებმა – 29%, ლიბერალ-დემოკრატებმა – 23%. ბრიტანეთის საარჩევნო სისტემა მაჟორიტარულია და მოქალაქეები თავის ოლქში ერთ დეპუტატს ირჩევენ. ლიბერალ-დემოკრატების ამომრჩე-

ველი მთელი ქვეყნის მასშტაბით არის გაფანტული და მათ ერთ რომელიმე რეგიონში განსაკუთრებული მხარდაჭერა არ აქვთ. ამიტომ, ლიბერალ-დემოკრატებმა საპარლამენტ-

სუთდღიანი მოლაპარაკებების შემდეგ პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი გადადგა, ლიბერალ-დემოკრატები კონსერვატორებთან კოალიციაში შევიდნენ, და დევიდ კამე-



ნიკ ქლეგი, გორდონ ბრაუნი და დევიდ კამერონი, მაისი 2010

ტო ადგილების მხოლოდ 6% მიიღეს, ლეიბორისტებმა – 40% და კონსერვატორებმა – 47%, ანუ თითქმის უმრავლესობა. ალბათ ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ლიბერალ-დემოკრატებს საარჩევნო სისტემის შეცვლა სურთ ისე, რომ მთელი ქვეყნის მასშტაბით მიღებული ხმების მთლიანი პროპორცია საპარტლამენტო ადგილებზე აისახოს.

**■ არჩევნების ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ის იყო, როდესაც ნ-დღიანი დაძაბულობის შემდეგ დევიდ კამერონმა და ნიკ ქლეგმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.**



რონმა დაიკავა პრემიერ-მინისტრის პოსტი.

საარჩევნო სისტემის რეფორმირების გარშემო დებატები დაძაბულად მიმდინარეობს. ახლანდელი სისტემა ლიბორისტების და კონსერვატორების მხარესაა, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა პარლამენტში ვერც ერთმა პარტიამ ვერ მოაგროვა, ლიბერალ-დემოკრატებს საკითხის დაძვრა შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ კონსერვატორებს ეს არ უნდათ, მათ განაცხადეს, რომ ამ საკითხზე შეიძლება რეფერენდუმიც გაიმართოს. დეტალები ძალიან მნიშვნელოვანია და ბევრს არ სჯერა, რომ კონსერვატორები ამაზე წავლენ. არჩევნების შემდეგ, შაბათს, საარჩევნო სისტემის შეცვლის მოთხოვნით, დემონსტრაციებიც კი გაიმართა. უფრო სავარაუდოა, რომ რეფერენდუმი მართლა გაიმართება, თუ კოალიცია კონსერვატორებსა და ლიბერალ-დემოკრატებს შორის შენარჩუნდება.

ამგვარი კომპრომისი სრულიად ახალია. ტრადიციულად, როგორც მაჟორიტარულ (ე.წ. first-past-the-post) სისტემაში, ვინც საპარლამენტო ადგილების 51%-ს იღებს, ის შემდეგ ყველაფერს აკეთებს, რაც მოესურვება. დანარჩენ 49 %-ს კი ისლა დარჩენია, რომ არჩევნებს დაელოდოს და გაიმარჯვოს. ამჯერად აბსოლუტური უმრავლესობა (50 + %) არც ერთ პარტიას არ აქვს და მოლაპარაკებები პოლიტიკის საკითხებსა და მინისტრების დანიშვნაზე ბრიტანული პოლიტიკისთვის სრულიად ახალი ხილია.

ასევე, სავარაუდოა, რომ ბრიტანელები უფრო პრეფერენციული საარჩევნო სისტემისკენ გადაიხრებიან, რაც იმას გულისხმობს, რომ ამომრჩეველი მოახდენს საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატების რანგირებას (მიანიჭებს სხვადასხვა ქულებს, იმის მიხედვით, თუ რომელი კანდიდატი უფრო მოსწონს), იმის ნაცვლად, რომ ხმა მხოლოდ ერთ კანდიდატს მისცეს. ე.წ. ტაქტიკური ხმის მიცემისას, ამომრჩევლები ხმას აძლევენ არა იმას, ვინც უნდათ, არამედ იმას, ვისაც, მათი აზრით, გამარჯვების

მეტი შანსი აქვს. ეს პრობლემა პრეფერენციულ საარჩევნო სისტემაში გადაიჭრება, რადგან ამომრჩევლებს მიეცემათ საშუალება, მოახდინონ კანდიდატების რანგირება, და საბოლოოდ კომპრომისული კანდიდატები გაიმარჯვებენ. აღნიშნულ სისტემას ამერიკაში „დაუყოვნებელ მეორე ტურს“ ეძახიან, რადგან ის აღარ ითხოვს მეორე ტურის დანიშვნას პირველი ტურის ჩატარებიდან ორ კვირაში, როგორც ეს საქართველოს და საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში ხდება. პრეფერენციული ხმის მიცემის სისტემა ამომრჩევლის სურვილებს უფრო დეტალურად გამოხატავს.

ამ მსჯელობის ფონზე, თბილისის მერის არჩევნებს თუ განვიხილავთ, დანესებული 30%-იანი ბარიერი ძალზე სარისკოა. ამ პირობებში შესაძლებელია, რომ ახლანდელმა მერმა მიიღოს ხმების მესამედი და გაიმარჯვოს; არადა, მოსახლეობის 2/3 მის წინააღმდეგ მისცემს ხმას. არჩევნებისთვის ეს ძალზე საშიში შედეგი იქნება.

აგვისტოს ომის შემდეგ დევიდ კამერონის საქართველოში ვიზიტზე და რუსეთის შესახებ მის კომენტარებზე ბევრს ლაპარაკობდნენ. სინამდვილეში, საქართველო არც ერთი ცალკეული ბრიტანული პარტიისთვის არ გახდება იმაზე მეტად პრიორიტეტული, ვიდრე დანარჩენი პარტიებისთვის. ერთადერთი განსხვავება ის იქნება, თუ რომელი პარტია იმუშავებს ევროპასთან უფრო ეფექტურად. ახლა, როდესაც ყველაზე ანტიევროპული (კონსერვატორები) და ყველაზე პროევროპული (ლიბერალ-დემოკრატები) პარტიები არიან სათავეში, რთულია იმის თქმა, თუ რა მოხდება მომავალში. რაც უფრო ერთიანი იქნება ევროკავშირი, უფრო ეფექტური იქნება ურთიერთობები კრემლთან (ამ უკანასკნელის იგნორირების ნაცვლად), და მისი სამეზობლო პოლიტიკაც, მათ შორის საქართველოსთან მიმართებაში, უფრო პროდუქტიული გახდება. ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, ამ კუთხით რას უნდა ველოდოთ.

არჩევნების ყველაზე შთამბეჭდავი მომენტი ის იყო, როდესაც 6-დღიანი

მოლაპარაკებებისა და დაძაბულობის შემდეგ კონსერვატორული პარტიის ლიდერმა, უკვე პრემიერ-მინისტრმა დევიდ კამერონმა და ლიბერალ-დემოკრატების ლიდერმა ნიკ ქლეგმა ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს. რამდენიმე საათის წინ ისინი ერთმანეთის დაუძინებელი მტრები იყვნენ, მაგრამ ამჯერად ისინი თავაზიანად შეთანხმდნენ, რომ კოალიციას შექმნიდნენ. განსაკუთრებით ბევრის დათმობა მოუხდა პრემიერ-მინისტრს. მედია კოალიციის მიმართ ძალიან პესიმისტურად იყო განწყობილი, რადგან ბრიტანეთისთვის ეს სრულიად ახალი ხილია. ლიდერებმა წარმოადგინეს სამუშაო გეგმა და განაცხადეს, რომ ერთობლივი მუშაობისთვის არიან მონოდებულნი.

ნამდვილად სიამოვნებაა იმის ყურება, თუ როგორ ფიქრობს ერთ-ერთი ყველაზე ძველი და წარმატებული დემოკრატიის ქვეყანა თავისი სისტემის შესახებ დისკუსიების წამოწყებაზე, კომპრომისის გამოწვევასა და მის შეცვლაზე. აღსანიშნავია, რომ ეს ხდება არჩევნების შემდეგ და არა არჩევნებამდე.

რამდენჯერ მომხდარა საქართველოში, რომ წაგებული მხარე არჩევნების შემდეგ მხოლოდ არასამართლიან შედეგებზე ვაი-ვიშს უნდება და სხვას არაფერს? ხშირად ისინი მართლებიც არიან. მოგებულ მხარეს სხვებთან ლაპარაკის აღარანაირი ინტერესი არ აქვს ხოლმე. სინამდვილეში, არავინ იწყებს საარჩევნო სისტემის ცვლილებებზე საუბარს არჩევნებამდე, მაშინ როდესაც ნათელია, რომ რაიმე კონკრეტული სტრუქტურული ცვლილება ვინმეს სასარგებლოდ ან წინააღმდეგ იქნება მიმართული. აქ გადანყვეტილებები არჩევნების შემდეგ უნდა მიიღონ, მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ არის ნათელი, თუ ვინ დარჩება მომავალში ამ ცვლილებებით მოგებული.


ბრიტანეთის ბოლო არჩევნები ჩვენთვის კარგი მაგალითია. მოდი, დავიმახსოვროთ ეს მაგალითი 31 მაისისთვის. **■**

**ინგლისურიდან თარგმნა  
გიორგი ცხადაია**

# მოქალაქის ხმა, 50 წლის სანასვლოდ

„ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებმა ვეტერანებს ფულადი ჯილდო გადასცეს. საქართველოს კანონმდებლობით ეს ხმების მოსყიდვას ნიშნავს და შესაბამისად ისჯება.

## „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“



9 მაისს ლანჩხუთისა და კასპის სოფლებში მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებს ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მედლები დაურიგეს, რომლებსაც საქართველოს პრეზიდენტის ხელმოწერა ამჟღავნებდა. გადასცეს ერთჯერადი ფულადი დახმარებაც – 50 ლარის ოდენობით. დაჯილდოების ცერემონიალში კი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები მონაწილეობდნენ.

სალამოს 9 საათის შემდეგ ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში ვეტერანებს – სევერიან ზენაიშვილს, ბიჭიკო ზენაიშვილს, ამირან ტულუშს, კახი ძიმისტარიშვილს და პავლე ხუციშვილს, მედლებთან ერთად, 50-ლარიანი ჯილდოს მიღების დამადასტურებელი

დოკუმენტიც გადასცეს. საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობას იღებდნენ სოფლის რწმუნებული ჯუმბერ ლომინიშვილი, რწმუნებულის თანაშემწე გედევან ცინცაძე და სკოლის დირექტორი და ამავე სოფლის მაჟორიტარობის კანდიდატი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დალი კვერენჩილაძე. დალი კვერენჩილაძემ უარყო მედლების გადაცემის ღონისძიებაში მონაწილეობა. „მე მათთან [ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან] ერთად არ მივსულვარ ამ ადამიანებთან. როცა ისინი წავიდნენ, შემდეგ მივულოცე მათ 9 მაისი“, – განუცხადა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს სატელეფონო საუბარში.

თუმცა, არსებობს ჩოჩხათელი ომის ვეტერანების ფარული აუდიოჩანაწერები, სადაც ისინი ადასტურებენ,

რომ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი საჩუქრების დარიგებაში მონაწილეობდა.

მედლებსა და საჩუქრებს ურიგებდნენ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს ლანჩხუთის რაიონის სოფელ შუხუთშიც. „ალიანსი საქართველოსთვის“ ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის ელგუჯა ჩხაიძის ინ-

### ■ საჩუქარი ვეტერანებს „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა რამდენიმე სოფელში გადასცეს. საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად, ეს ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვას ნიშნავს.

ფორმაციით, დაჯილდოების ცერემონიალში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატი რევაზ ჩიტიძე მონაწილეობდა, „ენერგო-პრო ჯორჯიას“ ლანჩხუთის სერვისცენტრის წარმომადგენელთან ერთად. ეს ინფორმაცია ანონიმურად დაადასტურა სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმაც და თქვა, რომ ჩიტიძე ვეტერანების ოჯახებს საკუთარი მანქანით სტუმრობდა. რევაზ ჩიტიძემ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს განუცხადა, რომ მისი ავტომანქანით ხშირად სარგებლობს სოფლის რწმუნებული და თვითონ მასთან ერთად ხშირად არ არის ხოლმე.

კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქშიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გიორგი ირემაშვილმა

სოფლის რწმუნებულთან ერთად პირადად მიუტანა პრეზიდენტის საჩუქარი სოფლის მცხოვრებ ნადენა ოქრუაშვილს და სხვა ვეტერანებს. ვეტერანებისთვის მედლების გადაცემის ფაქტი დაადასტურა ამავე სოფლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“ ხათუნა ელისაბედაშვილმა.

თუმცა, სოფლის რწმუნებულის განმარტებით, იმ სალამოს დეპუტატობის კანდიდატის მანქანას ის თვითონ მართავდა და ირემაშვილი ამ ღონისძიებაში არ მონაწილეობდა.

პრეზიდენტის საჩუქარი ვეტერანებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებმა სხვა სოფლებშიც გადასცეს. საქართველოს სა-

არჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, ეს ამომრჩეველთა ხმების მოსყიდვას ნიშნავს. ამავე მუხლის 9.1 პუნქტი კი მოსყიდვის გამო კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნას ითვალისწინებს. გარდა ამისა, ამომრჩევლის ხმის მოსყიდვით ირღვევა ეუთო-ს კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის 5.4-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც, უნდა არსებობდეს „ნათელი განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის. კერძოდ, არ უნდა მოხდეს „პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა“.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ აღნიშნულ ფაქტზე 13 მაისს რეაგირებისთვის მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და უწყებათაშორის სამუშაო ჯგუფს. **■**

# უნდა ვეცადოთ, ახ ბავხნიჩოთ საზობადოება

ინტერვიუ წმ. პანტელეიმონის სახელობის ეკლესიის მოძღვართან,  
მამა გიორგი ჩაჩავასთან

„უნდა ვეცადოთ, არ გავხლიჩოთ საზოგადოება და ვეძებოთ ის, რაც დაგვაახლოებს. დღეს საქართველოსთვის ძალიან საპასუხისმგებლო ხანაა და, ღმერთმა ქნას, მშვიდობით გადავიტანოთ. როდესაც სიბნელეში ხარ დაკარგული, მთავარია, სინათლეში გამოაგნო“.

**მამაო გიორგი, მისალება თუ არა მართლმადიდებლობისთვის ძალადობის გზით მიზნების მიღწევა?**

მართლმადიდებლობა არ უნდა განვიხილოთ ცალკე ქრისტიანობისგან. ჩვენ უპირველესად ქრისტიანები ვართ. ჩვენი ცოდნა, მსჯელობა, ქცევა ქრისტიანობაზე, ძველ და ახალ აღთქმაზეა აგებული. ქრისტიანობა კი სიყვარულს და შემწყნარებლობას ქადაგებს, აგრეთვე – იმას, რომ შემცდარს ბევრჯერ უნდა აუხსნა და შეაგონო.

ყველა ადამიანი უნიკალურია და ყველა ვერ უპასუხებს იმ სტანდარტებს, რასაც ქრისტე ქადაგებს. სკოლაში სწავლობენ ხუთოსნები, ოთხოსნები და სამოსნებიც. ამიტომ, როცა პედაგოგი შედის კლასში, მან გაკვეთილი ისე უნდა ააწყოს, რომ ყველამ გაიგოს.

ძალიან განაწყებული ვარ მთელ სიტუაციაზე, ორივე მხარეზე. ვფიქრობ, რომ ქვეყანაში არ ხდება საფრთხეების გათვითცნობიერება. ჩვენ ვსაუბრობთ ბენზინის კასრზე, რომელიც დღეს აფეთქდა. რაღაც აუცილებლად უნდა გაკეთებულიყო იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო.

**თქვენ თვლით, რომ ეს კასრი სპეციალურად ააფეთქეს?**

მგონია, რომ ვიღაც განგებ ეცადა. მიკვირს, რატომ დაბეჭდეს ეს პროვოკაციული წიგნი? როცა ქვეყანაში ასეთი საპასუხისმგებლო საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, იყო დიდი დაძაბულობა ოპოზიციურ პარტიებს შორის, ზოგი ბოიკოტს უცხადებდა არჩევნებს, ზოგი ქვეყანაში „ბიშკეკი-ზაციის“ საფრთხეზე საუბრობდა და როდესაც თითქოს ყველაფერი დანყ-



ნარდა, ეს კონფლიქტი მოხდა. რატომ გააკეთეს პრეზენტაცია? არ მესმის, რა საჭიროა ამ ავადმყოფური აზრების ფრიალი და პროპაგანდა.

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრებს შეეძლოთ ეს წიგნი მშვიდობიანად გაეპროტესტებინათ. მაგრამ მათ პირდაპირ ძალადობას მიმართეს.

გეთანხმებით, პარანოიის ნიშნები ორივე მხარეს არის. რა თქმა უნდა, თქვენ მე იქ ვერ მნახავდით, ისევე როგორც ჩემი მრევლის ვერც ერთ წევრს. მაგრამ მგონია, რომ როდესაც საზოგადოებაში ამხელა უარყოფითი მუხბითა დაგროვილი, ყველას მართებს სიფრთხილე. მეჩვენება, რომ დღეს

მიხედვს, სად მთავრდება სიტყვის თავისუფლება და იწყება უხამსობა.

**როგორ ფიქრობთ, რა მიზეზის გამო დააჯილდოვა პატრიარქმა მამა დავით ისაკაძე გამშვენებული ჯვრის და მიტრის ტარების უფლებით? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ პატრიარქისთვისაც მისაღებია ბრძოლის ამგვარი მეთოდები?**

სამწუხაროდ, მე პირადად არ ვიცი, რა ხდება. ჩემს ტაძარში ძალიან დაკავებული ვარ და ვერ ვადევნებ თვალყურს. ერთადერთი, რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ ილია მეორე ძალიან მოწყალებული ადამიანია. პატრიარქს 1979 წლიდან ვიცნობ და ხშირად გაუფოცე-

ვამეგო. დღეს ამერიკისა და ევროპის დისკრედიტაცია მოხდა ქართველების თვალში და საზოგადოება მოტყუებულია. ჩვენ შეგვიძლია შევადაროთ ქართველი მოსამართლე და ევროპელი მოსამართლე? ქართველი მოსამართლე პროკურორის ყურმოჭრილი მონაა და სასამართლო პროცესზე აკანკალებული უყურებს პროკურორს. არ გეგონოთ, რომ მაინცდამაინც ოპოზიციურად ვარ განწყობილი და ის, რაც ხელისუფლებამ გააკეთა, ან გზების დაგება, ან რესტავრირებული შენობები არ მომწონს. პატრული ძალიან წინგადადგმული ნაბიჯია შევარდნაძის პოლიციის შემდეგ. მაგრამ რა ვუყოთ სასამართლო სისტემას? ჩვენ მიუსაფარ ბავშვთა სახლი გვაქვს. ამ ბავშვებს, თუ ისინი რაღაცას დააშვებენ, ჩვენი ადვოკატები იცავენ სასამართლოებში და მეც მიწვევა სხდომებზე დასწრება. რამდენიმე პროცესის შემდეგ მიხვდით, რომ ადვოკატი ჩვენთან აპენდიციტივითაა, მის ყოფნას პროცესზე აზრი არა აქვს. მოსამართლეს და პროკურორს შორის ისეთი ურთიერთობაა, როგორც გენერალსა და რიგითს შორის. დასავლეთში ასე არ ხდება, და თუკი ჩვენ ვცდილობთ, დასავლური სტანდარტი დავამკვიდროთ, აუცილებლად უნდა შემოვიტანოთ ნორმალური სასამართლო სისტემა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვისაუბროთ სიტყვის თავისუფლებაზე.

**■ ეკლესიაშიც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში, არიან განსხვავებული ადამიანები. არიან რადიკალებიც. როგორც ცისარტყელას აქვს ბევრი ფერი, ასევეა ეკლესიაც.**

უფრო მეტი აგრესიაა, ვიდრე 90-იან წლებში, მხედრიონის დროს. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ადამიანები სხვადასხვაგვარად განიცდიან რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას.

**მამაო გიორგი, შეიძლება თუ არა იმის თქმა, რომ დღეს ეკლესიის ერთი ფრთა რადიკალურია?**

ეკლესიაშიც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საზოგადოებაში, არიან განსხვავებული ადამიანები. არიან რადიკალებიც. როგორც ცისარტყელას აქვს ბევრი ფერი, ასევეა ეკლესიაც. ვთვლი, რომ რელიგიური განცდები ყველაზე სათუთია. ამიტომ ვფიქრობ, რომ სჯობს, საერთოდ არ შეეხო იმ გრძნობებს, რომელიც შეიძლება ადვილად აფეთქდეს. როდესაც ადამიანს ხელი სტკივა, არ შეიძლება სპეციალურად მაგრად ჩამოართვა ხელი და ატკინო; მით უმეტეს, როდესაც საუბარია ადამიანების კრებულზე, ეკლესიაზე...

საქართველო თანდათან ხდება ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, სადაც უმცირესობების უფლებებიც დაცული უნდა იყოს.

უმრავლესობამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს უმცირესობის უფლებები, მაგრამ უმცირესობაც უნდა

ბივარ მისი პატიების უნარს და ხშირად მიფიქრია, მე თუ შევძლებდი მის ადგილას მეპატიებინა. ბევრი რამ ვისწავლე პატრიარქისგან. ვფიქრობ, რომ მან აპატია მამა დავითს. გასოვით, ალბათ უძღები შვილის არაკი. პატრიარქს ეკლესიის არც ერთი წევრის დაკარგვა არ უნდა, ისევე როგორც ღმერთს არ ემეტება არც ერთი ადამიანი. თუ დეისაძე დაფიქრდება და მოინანიებს, მასაც ისევე აპატიებს ეკლესია.

**დღეს საუბრობენ იმაზეც, რომ ეკლესია მხარს უჭერს საქართველოს რუსეთში ინტეგრაციას და ეკლესიისთვის დასავლეთზე მეტად მისაღებია რუსეთი.**

არსებობს რაღაც ურთიერთობა, პირადი მეგობრობა, ძნელი ამის უარყოფა, მაგრამ ჩვენს ეკლესიაში ისეთი პროცესები მიდის, ძნელია ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ეკლესია რუსეთს უჭერს მხარს.

ხშირად მიწვევს ევროპაში ყოფნა. 2006 წელს ერთდროულად ვასრულებდი მღვდლის მოვალეობას ლონდონსა და თბილისში და დაკვირვებით ვსწავლობ ევროპას. ვატყობ, რომ განათლებით ევროპელები არაფრით გვჯობიან, მაგრამ მათ ასე კარგად აწყობილი ქვეყანა აქვთ, სულ მინდოდა ამის მიზეზი

**შეგიძლიათ თუ არა ისაუბროთ იმ მოძღვრების პიროვნულ პასუხისმგებლობაზე, რომლებიც მრევლს ძალადობას უქადაგებენ?**

ეკლესია სუბორდინაციაზე დგას და თავისი არსით იერარქიულია. სასულიერო პირის ქმედებებს აფასებს ეპისკოპოსი, ამიტომ მე მათ ვერ შევაფასებ.

თუმცა, საზოგადოებას აქვს უფლება სასულიერო პირების საქციელი შეაფასოს.

რა თქმა უნდა, ამის უფლება საზოგადოების ყველა წევრს და მედიას აქვს. ყველანი ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, ყველას ერთი საარჩევნო ხმა გვაქვს. არ შეიძლება თქვა, რომ ქვეყანაში არსებობენ პირველი, მეორე და მესამე ხარისხის მოქალაქეები, ჩვენ ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს. ■

ესაუბრა ნინო ბექიშვილი

# აშორეობის ჰიოხიბატი

ინტერვიუ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელთან, ლუს ნავაროსთან

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას დასაქმების პრობლემა აწუხებს, პოლიტიკოსებმა კი არ იციან, რა არის მოსახლეობის პრიორიტეტები.

**ბატონო ნავარო, გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აქვს დასაქმების, სიღარიბის პრობლემა. მიუხედავად ამისა, შეკითხვაზე, რა მიმართულებით ვითარდება საქართველო, რესპონდენტების 53% პასუხობს, რომ საქართველო სწორი ან, ძირითადად, სწორი მიმართულებით ვითარდება. რით ახსნით ამ პოზიციას?**

ქართველი მოქალაქეები ნიუანსებს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას. მათთვის სამყარო არ არის შავ-თეთრი, ისე, როგორც ამას ოპოზიცია და მთავრობა აღიქვამს. უკმაყოფილება მთელ რიგ ნაციონალურ საკითხებთან დაკავშირებით არ აისახება მათ ოპტიმისტურ განწყობაზე. გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ საქართველო არაა დემოკრატიული ქვეყანა. ისინი უკმაყოფილოები არიან იმით, რომ ქვეყანაში უმუშევრობაა, მედია შეზღუდულია, და სწორედ მედიის თავისუფლებას მიიჩნევენ დემოკრატიის განმსაზღვრელ მთავარ ნიშნად. მიუხედავად ამისა, მათი აზრით, ქვეყანა მაინც დემოკრატიული მიმართულებით ვითარდება. ქართველი ამომრჩეველი სწორედ ამ პროგრესს ანიჭებს უპირატესობას. თუმცა, მოქალაქეების ოპტიმისტურ განწყობაზე ისიც მოქმედებს, რომ მთავრობა წინასწარჩვენოდ მათი გულის მოგებას ცდილობს.

**გამოდის, ქართული საზოგადოება ძალიან მგრძობიარეა მიმდინარე მოვლენების მიმართ.**

დიახ, ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დიდ ყურადღებას აქცევენ, რა



ფოტო: ლევან გიფორაძე

ხდება ქვეყანაში მოცემულ მომენტში, და მათ გადაწყვეტილებაზე მიმდინარე მოვლენები აისახება. თუმცა, ეს კომპლექსური საკითხია, და განწყობაზე ყველაფერი ახდენს გავლენას – როგორც მიმდინარე მოვლენები, ასევე ტენდენციები.

**სამართლიანი არჩევნების მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად უმრავლესობა ასახელებს საარჩევნო სიებს, თუმცა 65 პროცენტს არც კი შეუშინებია, არის თუ არა თავად სიაში. საარჩევნო უბანზე დარღვევას თუ შეამჩნევდა, 29 პროცენტი აცხადებს, რომ არავის მიმართავდა, 25-მა კი არ იცის, როგორ მოიქცეოდა ასეთ შემთხვევაში. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, როგორ დაახასიათებდით**

**ქართველ ამომრჩეველს? შეიძლება ვიმსჯელოთ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ტენდენციებზე?**

მესმის, რასაც გულისხმობთ. თუმცა, ჩემთვის საინტერესო იყო მოქალაქეთა დამოკიდებულება საკუთარი არჩევანის მიმართ. თითქმის 60 პროცენტი ამბობს, რომ შეუძლია არჩევნებზე გავლენა იქონიოს. გარდა ამისა, შეფასებისას არჩევნები სამართლიანად ჩატარდება თუ არა, 50 პროცენტი ყველაზე მეტად საკუთარ თავს ენდობა, იმ პარტიებზე მეტად, ვისაც ხმას აძლევს. ეს განწყობა ნათლად მეტყველებს, რომ ქართველი ამომრჩეველი განვითარდა.

ამომრჩეველი გაცილებით უფრო ინფორმირებულია, ვიდრე პოლიტიკოსებს ჰგონიათ. მაგალითად, 63-მა პრო-

ცენტმა იცის, რომ სწორედ ცესკო-ა პასუხისმგებელი ამომრჩეველთა სიის შემოწმებაზე. 85 პროცენტი თვალს ადევნებს ახალ ამბებს. ისინი კარგად განასხვავებენ ადგილობრივ და საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების მნიშვნელობას, თითოეული რა როლს ასრულებს მათ ცხოვრებაში.

არ ვარ დარწმუნებული, რომ ოპტიმისტურ შეფასებებს მივიღებდით, ეროვნული არჩევნები რომ ტარდებოდეს. იმ საკითხებით, რომელთა მოგვარება ეროვნულ მთავრობას ეხება – დემოკრატიის განვითარება, მედიის თავისუფლება – ქართველი მოქალაქეები უკმაყოფილონი არიან. ადგილობრივი მთავრობისგან უფრო ლოკალური საკითხების მოგვარებას ელიან. მაგალითად, კომუნალური გადასახადებისა და გზების პრობლემა.

ჩემი აზრით, ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები ტარდებოდეს, ზოგიერთი პოზიტიური განწყობის მაჩვენებელი ნეგატიურით შეიცვლებოდა.

გაითვალისწინონ ამომრჩევლების პრიორიტეტები.

**მოქმედებენ პოლიტიკოსები ხალხის ინტერესის შესაბამისად?**

ყოველთვის არა. მე ჯერ არსად მინახავს მიმდინარე მოვლენების გაშუქებით ასე დაინტერესებული საზოგადოება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მათ უნდათ, სახელმწიფოს მართვაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ, თუკი ამის შესაძლებლობას ხელისუფლება და ოპოზიცია მისცემენ.

მაგალითად, ავიღოთ ტელეკომპანია „იმედი“. ერთი თვის შემდეგაც კი, ხალხი ვერ ივინყებს იმ უარყოფით ემოციას და განცდებს, რაც მათში მოდელირებული ომის ქრონიკამ გამოიწვია. ისინი ელოდებოდნენ, რომ ამისთვის ვინმე დაისჯებოდა. 30 პროცენტის აზრით, გიორგი არველაძე სამსახურიდან უნდა გაეთავისუფლებინათ, მაგრამ საზოგადოების მოთხოვნას არავინ გასცა ადეკვატური პასუხი;

ტი მიუნხენში და შეხვედრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლავროვთან. ნაკლებად მოსწონთ ვიზიტები მოსკოვში. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა შეთანხმდეს, რა სტრატეგიას აირჩევს ქვეყანა რუსეთთან მიმართებაში. და ეს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს ხალხის მოთხოვნასაც.

**ყველაზე რეიტინგული პოლიტიკური ფიგურები არიან გიგი უგულავა, მიხეილ სააკაშვილი, გიორგი თარგამაძე, პოლიტიკურ პარტიებს შორის კი „ნაციონალური მოძრაობა“. რაზე მიუთითებს ეს? რა პრიორიტეტები აქვს ქართველ ამომრჩევლებს? როგორ ლიდერზეა მოთხოვნა?**

ჩვენი კვლევა, სამწუხაროდ, ასეთი ღრმა შეფასებების გაკეთების საშუალებას არ გვაძლევს. თუმცა, ერთი საინტერესო მომენტი, სააკაშვილსა და უგულავას რეიტინგში ოპოზიციური პარტიის ლიდერები მოჰყვებიან. ანუ ამომრჩეველი ეძებს ალტერნატივას.

**■ საინტერესო იყო მოქალაქეთა დამოკიდებულება საკუთარი არჩევანის მიმართ. თითქმის 60 პროცენტი ამბობს, რომ შეუძლია არჩევნებზე გავლენა იქონიოს. გარდა ამისა, შეფასებისას – არჩევნები სამართლიანად ჩატარდება თუ არა, 50 პროცენტი ყველაზე მეტად საკუთარ თავს ენდობა, იმ პარტიებზე მეტად, ვისაც ხმას აძლევს.**

ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩენა იყო, რომ 75 პროცენტი მხარს უჭერს საარჩევნო უბნებზე, შენობის შიგნით სამეთვალყურეო კამერების გამოყენებას. ამომრჩევლებს აინტერესებთ, გამოვლინდეს ხმის მიცემისას დაფიქსირებული დარღვევები. მხოლოდ 1 პროცენტი ფიქრობს, რომ კამერებს ხალხის დასაშინებლად გამოიყენებენ. მოქალაქეები ელიან, რომ არჩევნები მკაცრი მონიტორინგის ქვეშ ჩაივლის.

**მოსახლეობა ოპტიმისტურადაა განწყობილი, თუმცა კვლევიდან ჩანს, რომ ცესკო-ს არ ენდობიან.**

დიახ, ეს მართლაც საინტერესოა. ისინი დადებითად არიან განწყობილები, იციან, რომ ცესკო პასუხისმგებელია ამომრჩეველთა სიის შემოწმებაზე, თუმცა მას არ ენდობიან.

რისთვის ვატარებთ ამ კვლევებს? რომ ხელისუფლებამ და ოპოზიციამ

უფრო მეტიც, ეს საკითხი სათანადოდ არც კი განხილულა.

საინტერესო შედეგებია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებითაც. 2009 წლის დეკემბერში მოქალაქეები ამბობდნენ, რომ ომის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. თუმცა კითხვაზე, თუ რომელი მხარე იყო პასუხისმგებელი ომის თავიდან აცილებაზე, აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთს ასახელებდა. მიუხედავად ამისა, ბოლო გამოკითხვაში ქართველების უმრავლესობას არ მოსწონს რუსეთის მიმართ საქართველოს ამჟამინდელი პოლიტიკა. გამოდის, რომ ამომრჩეველი ხელისუფლების-გან პრიორიტეტების და ინტერესების შეცვლას მოითხოვს.







მათ ასევე ურჩევნიათ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განხილვა მესამე ქვეყანაში ხდებოდეს. მაგალითად, მოსწონთ ირაკლი ალასანიას ვიზი-

**65 პროცენტი ამბობს, რომ ქვეყანას ახალი პარტია არ სჭირდება. თუკი მაინც შეიქმნება ასეთი პარტია, 44 პროცენტს უნდა, რომ იგი იყოს „ზომიერად ოპოზიციური“. ანუ საზოგადოება რადიკალიზმს ემიჯნება. თქვენი აზრით, თუკი არჩევნები გაყალბდა, არის შანსი, რომ უკმაყოფილების შემთხვევაში, მოქალაქეები გარეთ გავიდნენ და გააპროტესტონ შედეგები?**

ამჟამად ძნელია, განსაზღვრო, რა მოხდება, თუკი არჩევნები გაყალბდა. ჩვენ ჩავატარებთ გამოკითხვას არჩევნების შემდეგაც, რომ გავიგოთ, როგორ გამართლდა ან არ გამართლდა ამომრჩევლის მოლოდინი. თუმცა, ნათელია, რომ საზოგადოება ამჟამად ოპტიმისტურადაა განწყობილი. თითოეული კვლევა მყისიერად გადაღებულ ფოტოსურათს ჰგავს, მხოლოდ მოცემულ მომენტში აღბეჭდილ სიტუაციას ასახავს. □

ესაუბრა ეკა ჭითანავა

საზოგადოების ბანდომა საქართველოში: 2010 წლის ახილის ჯვრის შედეგები ჩახახაბედი NDI-ის დახვედრით ხაზხაისის ჯვრითი ხესხის სენსის მიხ



თბილისის მერობის კანდიდატი

# ოქსიოსენიანი ხანდიასი

ზვიად ძიძიგური მერობის ის კანდიდატია, რომლისთვისაც ამომრჩევლის მობილიზაცია არჩევნების შემდეგ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უშუალოდ კენჭისყრის დღეს.

## ნინო გოგუა



ფოტო: ნინო გოგუა

ზვიად ძიძიგური, 2010

თბილისის მერობის კანდიდატი ზვიად ძიძიგური ნაციონალური ტელეარხების ყურადღების ცენტრში 6 მაისს 9 საათზე მოხვდა, მას შემდეგ, რაც საკუთარ სახლთან ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ გაისროლა.

ეს ყველაზე ხმაურიანი ეპიზოდი იყო „ეროვნული საბჭოს“ ერთიანი კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიაში.

დღეს ძიძიგურს ამ ამბის გახსენება არ სურს. ამბობს მხოლოდ იმას, რომ გასროლით „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებსა და მის მეზობლებს შორის ატეხილი ჩხუბის შეჩერება სცადა.

ძიძიგურის სახლთან „ნაციონალები“ თავიანთი მაჟორიტარი კანდიდატის ხვიჩა სანაიას წინასაარჩევნო პლაკატებს აკრავდნენ.

პროკურატურაში საქმე ხულიგნობის მუხლით იმ დღესვე აღიძრა, თუმცა ეჭვმიტანილების გამოვლენას მოახლოებული არჩევნები უშლის ხელს. „მომდინარეობს მოკვლევა. წინასაარჩევნოდ არ იქნება მიზანშეწონილი ვინმეს

## ■ ზვიად ძიძიგური ბევრად ნაკლებს საუბრობს ერთიან წინასაარჩევნო პროგრამაზე, რომელიც მას არ აქვს.

დაკავება“, – ამბობს შსს ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი შოთა უტიამვილი.

ძიძიგური, რომელსაც ციხეში 5 წელი უკვე გატარებული აქვს, ამ სცენარისთვისაც მზადაა.

„ბრძოლას საკნიდან გავაგრძელებ“, – ამბობს იგი და არ გამოორიცხავს, რომ 26 მაისამდე დააკავონ.

NDI-ს ბოლო საარჩევნო რეიტინგების მიხედვით, შესაძლოა, ხელისუფლებას ძიძიგურმა საკნიდან მეტი ზიანი მოუტანოს, ვიდრე მისმა გვარმა საარჩევნო ბიულეტენში.

ამ რეიტინგის მიხედვით, რომლებსაც

თავად ძიძიგური გაყალბებულს უწოდებს, „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატი მერობის ყველა ძირითად კანდიდატს ჩამორჩება. მას გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტი უჭერს მხარს.

„ეროვნული საბჭოს“ მერობის კანდიდატის მთავარი მესიჯია მისი მზაობა, გაყალბების შემთხვევაში, საარჩევნო ხმები დაიცვას. „პოლიტიკური პროტესტის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის აქციები, მოსალოდნელია“, – ამბობს ძიძიგური.

ზვიად ძიძიგური ბევრად ნაკლებს საუბრობს ერთიან წინასაარჩევნო პროგრამაზე, რომელიც მას არ აქვს.

კონსერვატიული პარტიის ვებგვერდზე განთავსებულია ორი დოკუმენტი – „განათლების რეფორმა“ და „ეროვნული საბჭო ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ“, სადაც მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებაზეა საუბარი. „ეროვნულ საბჭოში“ ამბობენ, რომ სწორედ ეს არის მათი პროგრამა.

თუმცა, ეს არ არის მთავარი, რის გამოც თბილისელებმა ზვიად ძიძიგურს უნდა მისცენ ხმა.

„რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირება მხოლოდ ჩვენი პრიორიტეტია, ამიტომ ვისაც ქვეყანაში მშვიდობა უნდა, ხმა ჩვენ უნდა მოგვცეს“, – ამბობს ძიძიგური.

საგარეო პოლიტიკა „ეროვნული საბჭოს“ მთავარი საარჩევნო მესიჯია, რომლითაც იგი თვითმმართველობის არჩევნების მოგებას აპირებს.

„გამარჯვების შანსი ყველას თანაბრად აქვს“, – ამბობს იგი.

თუმცა, 2-პროცენტის რეიტინგის პირობებში, „ეროვნულ საბჭოს“ ალბათ არ აქვს იმის ილუზია, რომ 30 მაისს თბილისის მერის არჩევნებს მოიგებს. შესაბამისად, არც იმის მტკიცება ღირს, რომ ძიძიგური, სხვა ოპოზიციონერი



კანდიდატების მსგავსად, მერის პოსტს დიდ პოლიტიკაში მოსასვლელად გამოიყენებს.

მისი საარჩევნო სლოგანი „ბრძოლა დღესვე“ არჩევნების შემდეგ უფრო აქტუალური შეიძლება გახდეს, როცა პოლიტიკური ასპარეზი საარჩევნო ყუთებიდან ისევ ქუჩაში გადაინაცვლებს. ექსპერტების ნაწილი თვლის, რომ რეალურად „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატის გამოწვევა სწორედ პოსტსაარჩევნო პერიოდია.

„NDI-ის გარდა, ყველა სხვა კვლევა, მერობის სხვა ოპოზიციურ კანდიდატებთან შედარებით, ზვიად ძიძიგურის დაბალ რეიტინგს აჩვენებს. ამიტომ არ გამოვრიცხავ სინამდვილეში მისი სტრატეგია არ იყოს კონცენტრირებული მერობაზე. ინტერესი შეიძლება არჩევნების დღეს ხელისუფლების პროვოცირება უფრო იყოს, შემდეგ კი დარღვევებზე აპელირება და ქუჩის აქ-

იგი იმით ხსნის, რომ „ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება მხოლოდ რუსეთთან მოლაპარაკების გზითაა შესაძლებელი“.

წინასაარჩევნო პერიოდის განმავლობაში ოპოზიციური პარტიები უშედეგოდ ცდილობდნენ ერთიან კანდიდატზე შეჯერებას. ამ პროცესში გარკვეული გარდატეხა ზურაბ ნოღაიდელმა შეიტანა, რომელიც ოპოზიციური პარტიების ნაწილისთვის წყალგამყოფი აღმოჩნდა.

მიუხედავად მცდელობებისა, ნოღაიდელმა ვერ მოახერხა საკუთარი ფიგურის გარშემო მთელი ოპოზიციის შემოკრება. საბოლოოდ მის გვერდით მხოლოდ ძიძიგური და დავითაშვილი აღმოჩნდნენ.

დღეს, როცა არჩევნებამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი, ძიძიგური კვლავ ოპოზიციის გაერთიანების ალბათობაზე საუბრობს. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ 30 მაისს ხელისუფლებამ არჩევნები გააყალბა, ოპოზიციის ინტერესები

მონაწილეობით ამენებულ ეკლესიას აკურთხებს.

მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლად აფასებს იგი გასულ კვირას ილიას უნივერსიტეტთან განვითარებულ მოვლენებს და „სრულ თანაგრძნობას უცხადებს“ „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ წევრებს.

„ყველა ძალიან ფრთხილად უნდა იყოს ეროვნულ ღირებულებებთან მიმართებაში. შეტაკებას არ ვამართლებ, მაგრამ როცა ადამიანს ეკლესიას შეუგინებ, გამოვა, გაგიტყუებს თავს და მართალიც იქნება“, – ამბობს იგი.

თუ გამოძიებამ 9 მაისს მომხდარ ხულიგნობაში ბრალი ძიძიგურს დასდო, ეს მისთვის რიგით მეორე პატიმრობა იქნება. 1995-2000 წლებში იგი ავჭალის მკაცრი რეჟიმის იზოლაცორში სახელმწიფოს ლალატის, ზანდიტიზმის და ტერორიზმის ბრალდებით იხდიდა სასჯელს. 2000 წელს ედუარდ შევარდნაძემ ამნისტიას მოაწერა ხელი და ზვიად ძიძიგური, როგორც პოლიტპატიმარი, გაათავისუფლეს.

ამ პერიოდის მოყოლებული ძიძიგურის მტრები მისი მოკავშირეები ხდებოდნენ, და – პირიქით. 2003 წელს იგი „ვარდების რევოლუციის“ აქტიური მონაწილე იყო, თბილისის საკრებულოს და მოგვიანებით პარლამენტის წევრი. „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი კობა დავითაშვილი იხსენებს, – „სააკაშვილის მმართველობის პირველი დღეებიდანვე ცხადი გახდა, რომ ის სოციალური რეფორმების გატარებას და ამომრჩევლისთვის მიცემული პირობის შესრულებას არ აპირებდა. ამიტომ მე და ზვიადმა 2004 წლის ოქტომბერში დავტოვეთ პარლამენტი და ოპოზიციაში წავედით“.

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების აქტიური მხარდამჭერი ძიძიგური დღეს იმ ადამიანების გვერდით აღმოჩნდა, რომლებიც 90-იანი წლების დასაწყისში ბარიკადების მეორე მხარეს იდგა.

„წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, ყველასთან დაპირისპირებული უნდა ვიყო, ვინც დღეს პოლიტიკურ სპექტრშია – ბერძენიშვილებთან, სალომე ზურაბიშვილთან, გაჩეჩილაძესთან. დღეს ქვეყნის კეთილდღეობა გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე „პოლიტიკური შურისძიება“, – ამბობს ზვიად ძიძიგური. **■**

**■ ამ რეიტინგის მიხედვით, რომლებსაც თავად ძიძიგური გაყალბებულს უწოდებს, „ეროვნული საბჭოს“ კანდიდატი მერობის ყველა ძირითად კანდიდატს ჩამორჩება. მას გამოკითხულთა მხოლოდ 2 პროცენტი უჭერს მხარს.**

ციების მოწყობა“, – განმარტავს პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე.

ქუჩაში პროტესტის გამოხატვაში ძიძიგურს ბევრად უფრო მეტი გამოცდილება აქვს, ვიდრე პოლიტიკურ ბრძოლაში. მიუხედავად მისი 20-წლიანი მოღვაწეობისა პოლიტიკაში, ძიძიგური ბევრისთვის მაინც 1990 წელს სამტრედიის საბჭოთა ერთპარტიული არჩევნების წინააღმდეგ გადაკეტილ რკინიგზასთან ასოცირდება. შევარდნაძისა თუ სააკაშვილის ოპოზიციაში ყოფნის პერიოდში ძიძიგურს არაერთ მიტინგსა თუ საპროტესტო აქციაში მიუღია მონაწილეობა. მათ შორის იყო აქციები რუსეთის საელჩოსთანაც. იგი აქტიურად მოითხოვდა საქართველოდან რუსეთის ბაზის გაყვანას და ქვეყნის დსთ-დან გამოსვლას. ამ მიტინგებზე ძიძიგური რუსეთს აგრესორსა და ოკუპანტს უწოდებდა.

დღეს რუსეთთან ურთიერთობის დალაგების თემა მისი მთავარი წინასაარჩევნო მესიჯია. ამ ტრანსფორმაციას

შეიძლება კვლავ გადაიკვეთოს.


„ოპოზიცია შეიძლება გაერთიანდეს მხოლოდ ტაქტიკური მოსაზრებით და არა იდეურად. მაგალითად, „ბორჯომი“ და „ნაბეღლავი“ ორივე „პანმელიაზე“ ისმევა, მაგრამ ერთ ბოთლში კი არ არის ჩასხმული“...

2009 წლის აპრილის აქციების კრახით დასრულების მიუხედავად, თბილისის მერობის კანდიდატს სჯერა, რომ „რადგან ქართველები სამხრეთელი წარმოშობის ხალხია, პატარა მოვლენაც საკმარისია, რომ ადამიანებს გამარჯვების რწმენა დაუბრუნდეთ“.

ეს „პატარა მოვლენა“, ძიძიგურის აზრით, შეიძლება არჩევნების გაყალბება იყოს.

კიდევ ერთი თემა, რაზეც ძიძიგურის წინასაარჩევნო კამპანია აგებული, რწმენა და ეკლესიაა.

„ეროვნული საბჭოს“ საარჩევნო რგოლში კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის კადრებია გამოყენებული. პატრიარქი ავჭალის ციხეში ძიძიგურის



თვითმმართველობის არჩევნები

# ახრევენი სახლიან ბაუსვინა

გადასატანი ყუთი არჩევნების გაყალბების ნაცადი ინსტრუმენტი, თუმცა უცნობია, რამდენად ახდენს ეს მონაცემები საბოლოო შედეგზე გავლენას.

## მარიკა ქოჩიაშვილი

საუბნო კომისიის ორი წევრი 30 მაისს, დილის 9 საათზე, გამჭვირვალე საარჩევნო ყუთით და ბიულეტენებით, გადასატანი ყუთის სიაში რეგისტრირებულ ადამიანებს სახლში მიაკითხავს.

ასე ემსახურებიან იმ ადამიანებს, ვისაც სახლიდან გასვლა არ შეუძლიათ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, ლოგინად ჩავარდნილ მოზუცებს, წინასწარ პატიმრობაში მყოფთ, ან უბრალოდ გართულებული ჯანმრთელობის მქონე ადამიანებს შეუძლიათ, თავიანთ საარჩევნო უბანში დარეკონ და საარჩევნო ყუთის სახლში მიტანა მოითხოვონ.

თუმცა, ხმის მიცემის ეს ცივილიზირებული ფორმა ქართულ საარჩევნო ტრადიციაში ხმების გაყალბების საშუალებად, დიდი ხანია, იქცა. გადასატანი ყუთებს, როგორც არჩევნების გაყალბების ინსტრუმენტს, 2003 წლამდე იყენებდნენ და მას შემდეგაც. თუმცა, კონკრეტული მონაცემები, თუ როგორ ცვლის გადასატანი ყუთები არჩევნების საერთო შედეგს, არ არსებობს. არასამთავრობო

ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ წელს პირველად შეისწავლის გადასატანი ყუთების სიაში მოხვედრილი ამომრჩევლების რაოდენობას და ეცდება, დაადგინოს, არჩევნების საბოლოო შედეგზე აქვს თუ არა ამას გავლენა.

გადასატანი ყუთის შემთხვევაში, გაყალბებისგან დამცავი ერთადერთი მექანიზმი ისაა, რომ არ შეიძლება ამომრჩეველთან ყუთი ერთი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებმა მიიტანონ. „სამართლიანი არჩევნების“ აღმასრულებელი დირექტორის ეკა სირაძე-დელონეს თქმით კი, მხოლოდ სხვადასხვა პოლიტიკური გუნდის მიერ წარმოდგენილი დამკვირვებლები არჩევნებს გაყალბებისგან ვერ იცავენ. ხშირ შემთხვევაში, გადასატანი ყუთებზე გათვალისწინებული ბიულეტენების რაოდენობა აჭარბებს სიის დანართში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობას.

„ეს არ მუშაობს, მერე გაირკვევა ხოლმე, რომ კომისიის წევრები მოსყიდულები იყვნენ, ან რაიმე სხვა მიზეზი გამოჩნ-

დება. დაცვის მექანიზმი აუცილებლად უნდა გამკაცრდეს“, – აცხადებს ეკა სირაძე-დელონე.

„სამართლიანი არჩევნების“ მონაცემებით, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს საქართველოს მასშტაბით გადასატანი ყუთებზე 107%-იანი აქტივობა დაფიქსირდა, ზოგიერთ ოლქში კი აქტივობა 170 პროცენტზეც კი იყო. ეს ნიშნავს იმას, რომ თუ გადასატანი ყუთის საშუალებით ხმა, ვთქვათ, ასმა მოქალაქემ მისცა, ყუთში ბოლოს 170 ბიულეტენი აღმოჩნდა.

კანონის მიხედვით, როცა ამომრჩეველი გადასატანი ყუთის სიაში გადაჰყავთ, ეს ძირითად სიაშიც უნდა აღინიშნოს და კომისიის მდივნის ხელმოწერით უნდა დადასტურდეს. „სამართლიანი არჩევნების“ მონაცემებით კი, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, ხშირ შემთხვევაში, ეს ასე არ ხდებოდა. ამიტომ ზოგიერთს „უმართლებდა“ ისე, რომ ხმის მიცემა ორჯერ შეეძლო – სახლშიც და საარჩევნო უბანშიც.

ეკა სირაძე-დელიონეს თქმით, პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მათ, ვინც არჩევნებში მონაწილეობას სახლიდან გაუსვლელად იღებს, მარკირებას არ უკეთებენ.

„თუკი მარკირებას არ უკეთებენ და არც სიაშია მინიშნებული, რომ ამომრჩეველი დანართში გადაიყვანეს, მოქალაქეს შეუძლია, ხმა ორივეგან მისცეს. ამიტომ, აუცილებელია, მარკირება გადასატანი ყუთის სახლში მიტანის დროსაც ხდებოდეს და ამავე დროს მნიშვნელოვანია, რომ სიების შედგენა ცენტრალიზებული იყოს, ცოტა უფრო ადრე დამთავრდეს რეგისტრაცია და ამის ელექტრონული ბაზა შეიქმნას“, – აცხადებს სირაძე-დელიონე.

მთანმინდა-კრწანისის 27-ე უბნის თავმჯდომარე ბადრი შარაშიძე კი, შინ მარკირების აუცილებლობას ვერ ხედავს, რადგან გამორიცხავს, გადასატანი ყუთების შემთხვევაში, ხმის მეორედ მიცემის საშუალებას. „სითხეს სახლში კომისიის წევრებს ვერ გავატანთ, სამაგიეროდ, მეორეჯერ ხმის მისაცემად საარჩევნო უბანში მისულ ადამიანს მისი გრაფა შევსებული დახვდება და ხმას მეორედ ვეღარ მისცემს“, – აცხადებს შარაშიძე.

ზუსტი რიცხვი, თუ რამდენი ადამიანი მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში სახლიდან გაუსვლელად, ჯერჯერობით უცნობია. მათი რეგისტრაცია არჩევნებამდე ორი დღით ადრე – 28 მაისს დამთავრდება. ცესკო-ს პრესსპიკერის ჯული გიორგაძის თქმით, მსურველთა რაოდენობა ძირითადად რეგისტრაციისთვის დარჩენილი ბოლო ორი დღის განმავლობაში იზრდება.

მთანმინდა-კრწანისის 27-ე უბანზე, რომელშიც დაახლოებით 1500 ამომრჩეველი რეგისტრირდება, ბოლო მონაცემებით, გადასატანი ყუთზე სიის დანართში 12 მსურველია გადაყვანილი. ბადრი შარაშიძის თქმით, ეს რიცხვი შეიძლება ბოლო დღეებში 30-მდე გაიზარდოს.

სიაში არსებული ყველა ამომრჩევლის „მონახულების“ შემდეგ კომისიის წევრები 20:00 საათზე უკვე საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდნენ და ყუთი დალუქონ. მას შემდეგ, რაც ძირითადი საარჩევნო ყუთი გაიხსნება, ბიულეტენებს ძირითადი და გადასატანი ყუთებიდან ერთმანეთში აურევენ და ხმებს „საგულდაგულოდ“ დათვლიან. **□**

საკონსტიტუციო სვლილებაზე

# უმჯობესობის ხონსტიტუცია

მთავრობა საკონსტიტუციო ცვლილებებს ამზადებს. რა დგას ამ ცვლილებების უკან – ქვეყნის უკეთესი მოწყობის თუ ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი?

## მაია ნიკლაური



მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია, იანვარი 2008

ფოტო: ანა კუპაია

„ჩვენი მთავარი ამოცანა საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტის მაქსიმალური დისტანცირება იყო აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. დღეს მთავრობა ფაქტობრივად პრეზიდენტისაა, და არა – პრემიერ-მინისტრის. ეს უნდა შეცვლილიყო“, – ამბობს საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი თენგიზ შარმანაშვილი. ის კომისიის თავმჯდომარესთან, ავთანდილ ლემეტრაშვილთან ერთად იმ საკონსტიტუციო პროექტის ავტორია, რომელიც 11 მაისს საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობამ 31 ხმით სამუშაო ვარიანტად აირჩია.

საკონსტიტუციო ცვლილებების ეს ვარიანტი ე.წ. შერეული მმართველობის მოდელზე დაყრდნობით შეიქმნა, რის მიხედვითაც პრეზიდენტის უფლებამოსილება იზღუდება, ხოლო მთავრობისა და

ორპალატიანი პარლამენტის ძალაუფლება იზრდება.

სახელმწიფო პრემიერ-მინისტრმა უნდა მართოს. პრემიერი და მისი კაბინეტი საპარლამენტო უმრავლესობამ, ან პარლამენტში პოლიტიკურ ძალთა კოალიციამ უნდა აირჩიოს და დაამტკიცოს. პრეზიდენტს მთავრობაზე არანაირი ზეგავლენა არ ექნება, მათ შორის – არც იუსტიციის, უშიშროების და თავდაცვის მინისტრებზე, რომელთაც დღევანდელი კონსტიტუციით უშუალოდ ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან.

პრეზიდენტი ვეღარ ჩაერევა ბიუჯეტის ფორმირებაში. სახელმწიფოს ბიუჯეტს მთავრობა დაადგენს და პარლამენტი დამტკიცებს.

პრეზიდენტი მხოლოდ არბიტრის როლს შეასრულებს სახელისუფლო შტოებს შორის. ის რეალურად პოლიტიკაში მაშინ ჩაერთვება, თუ პარლამენტი და მთავრობა ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და ვერ შეთანხმდებიან. ასეთ კრიზისულ სიტუაციაში პრეზიდენტი გადაწყვეტს, დაეთანხმოს პარლამენტს და მთავრობა შეიცვალოს, თუ საკანონმდებლო ორგანო უუნაროდ ცნოს, დაითხოვოს და ახალი არჩევნები დანიშნოს.

ერთი მხრივ, ამ პროექტით შესაძლებელია ქვეყნის მართვა ისე განხორციელდეს, რომ კოალიციური პარლამენტი და კოალიციური მთავრობა შეიქმნას. თუმცა, მეორე მხრივ, თუ პარლამენტში რომელიმე პარტია უმრავლესობით მოვიდა, ის მთავრობას საკუთარი სურვილისამებრ დააკომპლექტებს და ქვეყანას ერთი გუნდი მართავს.

თენგიზ შარმანაშვილი ამბობს, რომ ასეთი შემთხვევისგან დაცვა შეუძლებელია. „არ არსებობს მექანიზმი, რომ ეს გააკონტროლო. შეიძლება სააკაშვილი აირჩიოს უმრავლესობამ პრემიერ-მინისტრად, მაგრამ კონსტიტუციაში პირდაპირ ხომ არ ჩავენოთ, რომ რაღაც თანამდებობაზე კონკრეტული გვარის ადამიანი არ დაინიშნოს?!“ – ამბობს იგი.

საკონსტიტუციო კომისიისა და „თავისუფლების ინსტიტუტის“ წევრი ლევან რამიშვილი თვლის, რომ ამ კონკრეტული პრობლემის მოსახსნელად ჯერ კოალიციური პარლამენტის, შემდეგ კი მთავრობის შესაქმნელად საარჩევნო სისტემის შეცვლა შეიძლება.

„დღეს ლიბერალიზმი დეკლარაციის დონეზე თითქმის სახელმწიფო რელი-

გიადაა გამოცხადებული. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა კი საკმაოდ წინააღმდეგობრივია და სულ სხვა მიმართულებით, სახელმწიფო ხელისუფლების ზრდისა და გაფართოებისკენ მიდის“, – ამბობს ლევან რამიშვილი, რომელსაც კომისიაში საკუთარი, ძლიერი საპრეზიდენტო მოდელი ჰქონდა წარდგენილი.

ის ფიქრობს, რომ ამ ვითარებაში კომისიის მიერ მიღებული საკონსტიტუციო პროექტი ერთმნიშვნელოვნად ვერ პასუხობს იმ პრობლემებს, რაც საქართველოს აქვს და მხოლოდ სახელისუფლო შტოებს შორის ძალაუფლების გადანაწილებას ითვალისწინებს.

„შერეულ მოდელში ყოველთვის შეიძლება, რომ ძალაუფლება რომელიმე მიმართულებით გადაიხაროს. ამიტომაც დაუჭირა მას მხარი სახელისუფლებო გუნდის უმრავლესობამ. მათ ჯერ კიდევ არ გაურკვევიათ, როგორი მმართველობა აწყობთ. როცა არ გაქვს პოზიცია, ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია“, – განაცხადა რამიშვილმა.

მისი თქმით, დღეს მთავარი ამოცანა ლიბერალური დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის და ეროვნული სახელმწიფოებრიობის ერთმანეთთან შეთავსებაა. მთავარია, რომ კონსტიტუციაში ლიბერალიზაციისკენ მიმართული გადაწყვეტილებები გაადვილებული იყოს და არ ქმნიდეს კრიზისებს. შერეული მოდელი კი საქართველოს სახელმწიფოებრიობას კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს.

„შესაძლოა, უკრაინის მდგომარეობა განმეორდეს, სადაც პრემიერსა და პრეზიდენტს შორის გაუთავებელი დაპირისპირების ფონზე რუსეთმა მცოცავი ანექსია განახორციელა და უკრაინამ დამოუკიდებლობა 30 წლით დაკარგა“, – ამბობს რამიშვილი.

ის ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტთან ერთად სახელმწიფოს ფედერალურ მონეობასაც ლობირებს. დამოუკიდებელი ძლიერი რეგიონები, არჩეული გუბერნატორი და რეგიონების ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც გუბერნატორის საქმიანობას გააკონტროლებს, მრავალფეროვანი პოლიტიკური გარემოს გარანტიაა და შესაძლებელი იქნება, ამ სახით ოპოზიციური ძალები ქვეყნის მართვაში ჩაერთონ. ასეთი სისტემა სხვა ბერკეტებთან ერთად ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტსაც დააბალანსებს.

„მაგალითად, თუ პრეზიდენტს გადასახადის შემცირება სურს, მან ეს უპრობლემოდ დამოუკიდებლად უნდა შეძლოს. ხოლო გადასახადის მომატების შემთხვევაში, საკითხი განსახილველად პარლამენტს უნდა გადაეცეს და უფრო მეტი რეგულაციები ჩაერთოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში“, – ამბობს რამიშვილი. ის შეეცდება, რომ მისი მოსაზრებები მაქსიმალურად მიაწოდოს კომისიას და საკონსტიტუციო ცვლილებას მისთვის მისაღები ფორმა მისცეს.

მიუხედავად იმისა, როგორ დაიხვეწება პროექტი კომისიაში უცხოელ ექსპერტებთან და ვენეციის კონგრესთან მუშაობის შემდეგ, სავარაუდოდ, ის საბოლოო სახეს მაინც პარლამენტში მიიღებს. პარლამენტს მზა დოკუმენტი დაახლოებით სექტემბერში გადაეგზავნება. 2010 წლის ბოლომდე სწორედ აქ სახელისუფლებო უმრავლესობა გადაწყვეტს, როგორი ფორმით მოხდება საკონსტიტუციო ცვლილება.

ერთი შეხედვით, საკონსტიტუციო ცვლილებებმა სახელმწიფოს ეფექტური მონეობა უნდა განსაზღვროს, თუმცა იმის გამო, რომ საპარლამენტო უმრავლესობა ხელისუფლების ხელშია, მმართველი ძალა შეეცდება, სწორედ ის ვარიანტი გაიტანოს, რომელიც მას სამომავლოდ ძალაუფლებას შეუნარჩუნებს.

საკონსტიტუციო კომისიის კენჭისყრაზე საპარლამენტო უმრავლესობის სამივე კანდიდატმა სხვადასხვა მოსაზრება გამოთქვა. პავლე კუბლაშვილმა ხმა შერეულ მოდელს მისცა, ლაშა თორდიამ – საპრეზიდენტო მოდელს, პეტრე ცისკარიშვილმა კი თავი შეიკავა არჩევანისგან. სახელისუფლებო გუნდში ან დაპირისპირებაა, ან ჯერ ბოლომდე არ არის შეთანხმებული, ვინ შეიძლება იბრძოლოს ძალაუფლებაში დარჩენისთვის 2013 წელს.

ფაქტია, რომ თუ მიხეილ სააკაშვილს ხელისუფლებაში დარჩენა სურს, მაშინ მის გეგმებში არანაირად არ ჯდება რამიშვილის ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა, რადგან მესამე ვადით პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება არ აქვს. სააკაშვილისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად ის პროექტია მისაღები, რაც კომისიამ უკვე მიიღო და რომელიც ძლიერი პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს ითვალისწინებს. ■

# სტუდენტური აქტიუიზმი საქართველოში

იმისათვის, რომ ჩაკეტილი წრე გაირღვეს და ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ორმხრივი კომუნიკაცია შედგეს, პირველი ნაბიჯი სტუდენტებმა უნდა გადადგან.

გიორგი ცხადაია



სტუდენტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წინ, თბილისი, 13 მაისი 2010

ფოტო: მარია კოჩიაშვილი

როდესაც ვინცერთ საუბარს ქართველი სტუდენტების სამოქალაქო აქტიუიზმზე, პირველ რიგში, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის მოვლენები გვახსენდება. უფრო უახლოეს წარსულში კი მოძრაობა „კმარა“ არსებობდა, რომელიც შევარდნაძის რეჟიმის შეცვლას ითხოვდა. პირველ შემთხვევაში, პროტესტები სპონტანური და სტიქიური იყო, მეორეგან კი – წინასწარ დაგეგმილი და ორგანიზებული. 90-იანი წლების დასაწყისის სტუდენტებს ფინანსური მხარდაჭერა არ ჰქონდათ, მაშინ როდესაც „კმარა“ უცხოური ფონდებიდან იღებდა გრანტებს. ერთნი ნაციონალურ დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, მეორენი – დემოკრატიულ რეფორმებს. მიუხედავად ამ განსხვავებისა, ორივე მოძრაობას აერთიანებდა ის, რომ კონ-

ცენტრირებული იყო საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური სურათის შეცვლაზე და თავად უნივერსიტეტთან დაკავშირებული რეფორმების განხორციელებაზე. მაგალითად, 90-იანების დასაწყისში სტუდენტები უნივერსიტეტის დამოუკიდებლობას ითხოვდნენ, „კმარას“ დროს კი კორუმპირებული ლექტორებისგან გათავისუფლებას. დღეს ქართული უნივერსიტეტების შიდა პრობლემები ბევრი სტუდენტისთვის ისევ აქტუალურია, მაგრამ რატომღაც მსგავსი ტიპის ორგანიზაციები და მოძრაობები აღარ იქმნება. ვიდრე პრობლემის მიზეზების განხილვაზე გადავალ, თავად პრობლემის აღწერას შევეცდები. მაგალითისთვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და ილიას სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის შემთხვევებს განვიხილავ, რადგან სახელმწიფოსგან დაფინანსებული უნივერსიტეტების სისტემის გაუმჯობესება, მათი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ქართველი სტუდენტებისთვის მეტი სიკეთის მომტანი იქნება. სტუდენტების უმრავლესობა ისედაც სახელმწიფო უნივერსიტეტებში სწავლობს და არა კერძოში (თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი, თსუ-ს და ილიას უნივერსიტეტებთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი სასწავლებლებია). 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასობრივი რეფორმები დაიწყო. შედეგად, მისაღები გამოცდები გაცილებით უფრო ობიექტური და სამართლიანი გახდა, ხოლო უნივერსიტეტის შიგნით

კორუფციის დონე საგრძნობლად შემცირდა, ზოგიერთი შეფასებით, სრულად მოისპო. პროფესორების ნაწილი სამსახურიდან დაითხოვეს და ახალი ლექტორების მიღება დაიწყო. შედეგად, ბევრმა ახალგაზრდა კადრმა შეავსო ასისტენტ პროფესორის, ასოცირებული პროფესორისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სრული პროფესორის თანამდებობები. ილიას უნივერსიტეტი უცხო ენებისა და პედაგოგიური ინტიტუტების გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა და მასშიც განსაკუთრებული ადგილი ახალგაზრდა პროფესორ-მასწავლებლებმა დაიკავეს. ეროვნული გამოცდების შედეგად უნივერსიტეტებში ძალიან ბევრი სტუდენტი მიიღეს. მაგალითად, იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, თითოეულზე დაახლოებით 500 პირველკურსელი იყო. დღეს უკვე ბაკალავრიატის ოთხივე კურსის სტუდენტები ეროვნული გამოცდების ჩაბარების გზით არიან მოხვედრილნი. უნივერსიტეტებში სტუდენტების რიცხვი აუდიტორიების, ლექტორების და ადმინისტრაციული თანამშრომლების რაოდენობასთან აშკარად შეუსაბამოა. მიუხედავად მრავალმხრივი პრობლემებისა, უნივერსიტეტის თვითმმართველობები, მაგალითად, ადმინისტრაციული პერსონალის გაზრდასა და სალექციო განრიგის მეტად ორგანიზებას კი არ ითხოვენ, არამედ პასიურ ორგანიზაციებად რჩებიან, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში

ვრს წუწუნებენ არსებულ პრობლემებზე, მაგრამ როდესაც ვინმე ხმის ამოღებისკენ მოუწოდებს, უფრო ხშირად ერთი და იმავე არგუმენტით ცდილობენ თავისი უმოქმედო პოზიციის გამართლებას: სიზარმაცით. სინამდვილეში პრობლემა სტუდენტების სიზარმაცე კი არა, სწავლისადმი მათი დამოკიდებულებაა. უნივერსიტეტი, როგორც ინსტიტუტი (ინსტიტუტის სოციოლოგიური განმარტებით – სტატუსებისა და როლების ერთობლიობა), მიუხედავად უამრავი რეფორმისა და დადებითი ცვლილებისა, ჯერ კიდევ ტოტალიტარულ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებული დანესებულებაა, სადაც ლექტორის, სტუდენტების და ადმინისტრაციის პერსონალის უფლებები და მოვალეობები შესაბამის ყაიდაზეა განერილი. მაგალითად, თსუ-ს მესამე კურსის სტუდენტი, თაკო კაკაბაძე აღნიშნავს, რომ როდესაც სტუდენტებს მათივე უფლებების და ამ უფლებების ძალაში მოყვანის შესახებ ესაუბრება, ერთი და იგივე პასუხი ესმის: „ზედმეტი პრობლემების შექმნა არ გვინდა“. ასეთი დამოკიდებულება ნაწილობრივ სკოლებიდან მოდის, სადაც ხშირად მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის თითქმის „მმართველი-ქვეშევრდომის“ ტიპის ურთიერთობებია დამყარებული, ნაწილობრივ კი იქიდანაც, რომ სტუდენტებს საკუთარი დამოუკიდებლობა სრულად გააზრებული არ აქვთ: თბილისში მცხოვრებ სტუდენტებს არ უნევთ ოჯახის-

მელიც შეიძლება ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში გამოიყენონ. განათლების რეფორმის ერთ-ერთი ლოზუნგი სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება იყო. სხვადასხვა უნივერსიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები სპეციალურ კონფერენციებსა და ტრენინგებზე ევროპაშიც კი დადიოდნენ, იმისათვის, რომ იქაური გამოცდილება გადმოეღოთ.

სინამდვილეში, გამოცდილება, რომლითაც დასავლეთის უნივერსიტეტები ხელმძღვანელობენ, რეალური და აქტიური გამოცდილებაა, ანუ კონკრეტულ ისტორიულ ეპოქებში, სხვადასხვა კულტურული, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების ზემოქმედებით ჩამოყალიბებული. მაგალითად, აშშ-ს უნივერსიტეტების სისტემა 70-იან წლებში რადიკალურად შეიცვალა, როდესაც კონსერვატორული უნივერსიტეტები უფრო მეტად ლიბერალური და პლურალისტური გახდნენ. 60-იანი წლების ფრანგულმა სტუდენტურმა მოძრაობებმა კი ფრანგული უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმირება განაპირობა. ამ გამოცდილებების შედეგად შექმნილი ნორმების საქართველოში გადმოღება სიტუაციას ავტომატურად ვერ გამოასწორებს.

დასაწყისში აღვნიშნე, რომ საქართველოში სტუდენტური აქტივიზმი წარსულში ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ დღეს რატომღაც უკანა პლანზეა გადაწეული. საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემა გაცილებით უფრო რთული და ფუნდამენტურია, ვიდრე უბრალოდ გარეშე შემთავრებული ფაქტორების მიმართ პროტესტი. საქმე ეხება იმის გარკვევას, თუ რა დამოკიდებულება აქვთ სტუდენტებს საკუთარი განათლების მიმართ, რა უფლებებსა და მოვალეობებს გრძნობენ ადმინისტრაციის მიმართ, და რამდენად აქვთ უნარი, რომ საკუთარი თავის ორგანიზება თავადვე მოახდინონ, სწორედ იმ თემების ირგვლივ, რომლებიც უშუალოდ მათი სწავლების პროცესს ეხებათ. ამგვარი თვითშემეცნებიდან ამოზრდილი სტუდენტური მოძრაობა, ქვემოდან წამოსული პოპულარული მოძრაობა, შეიძლება წარმატებული რეფორმების გარანტი გახდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით ამის ნიშნები ნაკლებად ჩანს. **■**

**■ სტუდენტური აქტივიზმი ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ახლა უკანა პლანზეა. დღეს ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემა გაცილებით უფრო რთული და ფუნდამენტურია.**

უნივერსიტეტების ადმინისტრაციასთან მჭიდროდ თანამშრომლობენ. დამოუკიდებელი ორგანიზაციები კი, რომლებიც ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტების საჩივრებს და მოთხოვნებს წამოაყენებენ, ფაქტობრივად, აღარ იქმნება. მიზეზი, რის გამოც თვითმმართველობები ადმინისტრაციასთან ჰარმონიულ ურთიერთობაში არიან, ერთი მხრივ, უნივერსიტეტების პოლიტიზაციის მაღალი ხარისხია და, მეორე მხრივ ის, რომ თავად სტუდენტებს ნაკლებად აღელვებთ თავიანთი სასწავლებლის პრობლემების არტიკულაცია. ისინი ბე-

გან დამოუკიდებლად არსებობა, ხოლო რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტები, პირველ რიგში, უცხო გარემოსთან მორგებით არიან დაკავებულნი. იმისათვის, რომ ჩაკეტილი წრე გაირღვეს და ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის ორმხრივი კომუნიკაცია შედგეს, პირველი ნაბიჯი სტუდენტებმა უნდა გადადგან, რადგან ადმინისტრაციამ თავის დროზე რეფორმების განხორციელება თავად გადაწყვიტა. პირველი კურსის სტუდენტებს ეუბნებოდნენ, რომ სისტემა შეიცვალა და ახლა მათაც აქვთ უფლებები, რო-

# ინტერესთა ხონფიქსი

პარლამენტის 2008 წლის წინასაარჩევნო სარეკლამო აუდიო-ვიდეო რგოლების დამზადება, ტენდერის გარეშე, პრეზიდენტის ამჟამინდელი პრესსპიკერის მეუღლეს და „მწვანე ტალღას“ დაევალათ, სადაც ტექნიკურ დირექტორად ცესკო-ს თავმჯდომარის ძმა მუშაობდა.

სტუდია „მონიტორი“



ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი

იღებდა, დამზადებინა სარეკლამო სააგიტაციო აუდიო რგოლები და განეთავსებინა რადიო „მწვანე ტალღის“ ნაციონალურ ეთერში. პირველი ხელშეკრულება – 37 760 ლარზე, ხოლო მეორე 41 407 ლარზე გაფორმდა. ეს ხელშეკრულებები შინაარსობრივად იდენტურია, განსხვავება მხოლოდ თანხაშია.

ამ ხელშეკრულებებში არ არის მითითებული, რამდენი აუდიო რგოლი უნდა დამზადებინა „მწვანე ტალღას“, ასევე განუსაზღვრელია ერთი სარეკლამო რგოლის ღირებულება, რგოლის შინაარსი და დანვრილებითი ინფორმაცია ვალდებულებების თაობაზე.

50 ათას ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ხელშეკრულების გაფორმებას ტენდერის გამოცხადება არ ესაჭიროება. შესაძლოა, „მწვანე ტალღას“ ამიტომაც გაუფორმეს 2 იდენტური ხელშეკრულება, რომელთაგან არც ერთის ღირებულება 50 ათასს არ აღემატებოდა. თუმცა, მაშინ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ამ შემთხვევაში ფასთა კვოტირება უნდა მოეხდინათ, ანუ სამ მიმწოდებელს შესთავაზებდა ამ მომსახურების გაწევას და ვინც ყველაზე დაბალ ფასს დაასახელებდა, კონკურსშიც ის გაიმარჯვებდა.

აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როცა „მწვანე ტალღასთან“ აღნიშნული ხელშეკრულებები გაფორმდა, ცესკო-ს მაშინდელი თავმჯდომარის ლევან თარხნიშვილის ძმა სანდრო თარხნიშვილი „მწვანე ტალღაში“ ტექნიკურ დირექტორად მუშაობდა.

„მწვანე ტალღის“ რედაქციას კო-

საქართველოს პრეზიდენტმა 2008 წლის საპარლამენტო არჩევნები 21 მაისს დანიშნა. მან ეს თარიღი არჩევნებამდე ზუსტად 60 დღით ადრე გამოაცხადა.

დროის სიმცირის მომიზეზებით, ცესკო-მ ერთ პირთან მოლაპარაკების გზით შეარჩია ის კომპანიები, რომლებსაც წინასაარჩევნო სააგიტაციო ვიდეო და აუდიო რგოლები უნდა დამზადებინათ და შემდგომში ეთერში გაეშვათ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წევრი თამარ გურჩიანი მიიჩნევს, რომ ცესკო-ს ტენდერი

უნდა გამოეცხადებინა და საამისოდ საკმარისი დროც ჰქონდა: „ცესკო-მ იანვარში უკვე იცოდა, რომ არჩევნები გაზაფხულზე ჩატარდებოდა. სანამ პრეზიდენტი არჩევნების თარიღს დანიშნავდა, ცესკო-ს შეეძლო ტენდერის გზით შეერჩია კომპანიები, გადაეწყვიტა იურიდიული საკითხები, განსაზღვრულიყო ურთიერთვალდებულებები“.

„მწვანე ტალღა“

ცესკო-მ „მწვანე ტალღასთან“ ორი ხელშეკრულება გააფორმა, რომელთა მიხედვითაც, კომპანია ვალდებულებას

მენტარისთვის რამდენჯერმე დაუუკავშირდით, თუმცა, არაერთი მცდელობის მიუხედავად, ეს ვერ მოვახერხეთ.

„ყველა, ვინც წარმოადგენს შემსყიდველი კომპანიის ინტერესს და არის შემსრულებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის ახლო ნათესავი, ჩართული ხდება ინტერესთა კონფლიქტში. ამ შემთხვევაში, შემსყიდველ კომპანიას ლევან თარხნიშვილი წარმოადგენდა, ხოლო მისი ძმა – სანდრო თარხნიშვილი „მწვანე ტალღის“ წარმომადგენელია. ინტერესთა კონფლიქტი აშკარაა“, – მიიჩნევს თამარ გურჩიანი.

**შპს „ოშხნელი“**

ეთერში გასასვლელი ვიდეო რგოლების დასამზადებლად, ასევე ტენდერის გარეშე, ორი კომპანია შეირჩა – შპს „ოშხნელი“ და შპს „კრეატივი“.

ცესკო-მ კომპანია „ოშხნელს“ ხუთი ხელშეკრულება გაუფორმა და მას სამკერდე ნიშნების, საარჩევნო ინსტრუქციებისა და საარჩევნო ბუკლეტების, ასევე 14 საინფორმაციო კლიპის დამზადება დაავალა. საერთო ჯამში, ცესკო-მ შპს „ოშხნელს“ 237 967 ლარი გადაურიცხა.

გადარიცხული თანხიდან შპს „ოშხნელმა“ რამდენიმე სუბკონტრაქტი გააფორმა. ლითონის სამკერდე ნიშნებისა და ბეჭდვითი პროდუქციის დამზადება

მითითებული არ არის.

ამ პროექტის ფარგლებში, შპს „კრეატივის“ მოგებამ დაახლოებით 27 000 ლარი შეადგინა.

**სასწავლო სატელევიზიო ცენტრი**

ბატონი ზურაბ ოშხნელი, რომელმაც შპს „ოშხნელი“ 2007 წლის 16 მაისს დააფუძნა, ამავდროულად ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სასწავლო სატელევიზიო ცენტრის დამფუძნებელია. ბატონი ოშხნელის გარდა, შპს „ოშხნელში“, „კრეატივსა“ და სასწავლო სატელევიზიო ცენტრში ერთდროულად მუშაობდნენ:

1. ალექსანდრე ბავეი, 2. გოჩა ლორთქიფანიძე, 3. ზურაბ ცუკილაშვილი, 4. გიორგი ებრალიძე, 5. ზურაბ ოშხნელი, 6. გიორგი ნიქარიშვილი, 7. იზაბელა ზარნაძე, 8. თამარ ტალახაძე. ამას ადასტურებს ამ სამი კომპანიის სახელფასო უწყისები.

**პარალელური შპს „ოშხნელს“, „პრეპტივისა“ და სატელევიზიო ცენტრს შორის**

შპს-ებმა – „კრეატივმა“ და „ოშხნელმა“, ტექნიკის გამოყენების მიზნით, საიჯარო ხელშეკრულება გიორგი მარტაშვილთან გააფორმეს. საიჯარო ხელშეკრულების ღირებულებამ, შესაბამისად – 14000 და 4800 ლარი შე-

თუ ძალიან კარგი რემონტი ექნებოდა, 450 აშშ დოლარი, მაგრამ 4000 ლარი ერთ თვეში წარმოუდგენელია. როგორი გარემონტებულიც უნდა ყოფილიყო ეს ბინა. ეს გაბერილი ფასია“, – ამბობს უძრავი ქონების სააგენტოს წარმომადგენელი ნელი გოგუაძე.

შპს „კრეატივმა“ გოჩა ცუკილაშვილისგან ერთი თვით 1996 წლის გამოშვების ავტომობილი „ოპელ ომეგა“ იქირავა და, სანაცვლოდ, 3400 ლარი გადაუხადა. ამ თანხიდან ცუკილაშვილს 300 ლიტრი ბენზინი უნდა შეეძინა, დანარჩენი მოგებას შეადგენდა.

ჩვენ რამდენიმე ტაქსის მძღოლს გვესაუბრეთ. მათი თქმით, ერთი თვით ასეთი ავტომანქანის დაქირავება მაქსიმუმ 900 ლარი შეიძლება დაჯდეს. თუ ამას ბენზინის ფულსაც დავუმატებთ, რომელიც ხელშეკრულებაშია მითითებული, 300 ლიტრი სანავის მაქსიმალური ფასი მისი მარკის გათვალისწინებით 500 ლარზე ცოტა მეტი ეღირებოდა. საერთო ჯამში, ავტომობილის იჯარა, 300 ლიტრი ბენზინით, მაქსიმუმ, 1400 ლარი უნდა ყოფილიყო და არა 3400, როგორც ხელშეკრულებაშია მითითებული.

ჩვენ ცესკო-ს ამჟამინდელ თავმჯდომარეს ზურაბ ხარატიშვილს ვკითხეთ, თუ რა კრიტერიუმით შეირჩა ვიდეო რგოლების დასამზადებლად

**■ 50 ათას ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე ხელშეკრულების გაფორმებას ტენდერის გამოცხადება არ ესაჭიროება. შესაძლოა, „მწვანე ტალღას“ ამიტომაც გაუფორმეს 2 იდენტური ხელშეკრულება, რომელთაგან არც ერთის ღირებულება 50 ათასს არ აღემატებოდა.**

„ოშხნელმა“ სანარმოებს – „არდიქს-სა“ და „თათა სოლუშენს“ შეუკვეთა.

**შპს „პრეპტივი“**

ცესკო-მ შპს „კრეატივს“ სამი ხელშეკრულება გაუფორმა, შესასრულებელი სამუშაოებისთვის 238 030 ლარი გადაურიცხა და ცამეტი ვიდეო რგოლის დამზადება დააკისრა. შპს „კრეატივის“ დირექტორი და ერთ-ერთი დამფუძნებელია გიორგი ებრალიძე.

„მწვანე ტალღის“ მსგავსად, შპს „კრეატივთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებში გარკვეული დეტალები

აღვინა.

შპს „კრეატივმა“ საოფისედ გოჩა ცუკილაშვილისგან თბილისში აკ. წერეთლის 55, 1 კორპ. სამოთახიანი ბინა № 96 ერთი თვით იქირავა, საფასურად კი ერთ თვეში 4000 ლარი გადაუხადა. გოჩა ცუკილაშვილი არის ზურაბ ცუკილაშვილის ძმა, რომელიც ზურაბ ოშხნელთან ერთად მუშაობს შპს „ოშხნელსა“ და ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სასწავლო სატელევიზიო ცენტრში.

„წერეთლის გამზირზე ბინის ფასი შეიძლება ყოფილიყო 400 ლარიდან,

ისეთი კომპანიები, რომლებსაც ამის გასაკეთებლად არანაირი ტექნიკური ბაზა არ აღმოაჩნდათ.

„შპს „ოშხნელი“ და შპს „კრეატივი“ სარეკლამო სამუშაოს შესრულებისთვის შეირჩა ცესკო-სთან წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე. ამდენად, ცესკო არათუ დაინტერესდა, არამედ ქმედითი ურთიერთობა ჰქონდა კომპანიებთან და მისთვის ცნობილი იყო მათი საქმიანობის, ტექნიკური საშუალებებისა და კომპეტენციის შესახებ“, – გვიპასუხა ხარატიშვილმა.

ზურა ცუკილაშვილი სასწავლო სა-



ტელევიზიო ცენტრის დირექტორის, ზურაბ ოშხნელის მოადგილეა. შპს „კრეატივის“ და შპს „ოშხნელში“ კი წინასაარჩევნო სააგიტაციო პერიოდში განათების სპეციალისტად არის გაფორმებული.

ჩვენ ზურა ცუკილაშვილს გავესაუბრეთ:

– სამი წელია, სასწავლო სატელევიზიო ცენტრში ვმუშაობ.

– ტექნიკური მიმართულებით თუ გიმუშავიათ?

– არა.

– განათების სპეციალისტად?

– არა.

– შპს „კრეატივიში“ და შპს „ოშხნელში“ თუ იყავით დასაქმებული ოდესმე?

– დიახ.

– რა გევალებოდათ?

– კლიპებს განათება ხო სჭირდება, ხოდა აი, მაგას ვაკეთებდი.

– თავად არ მითხარით, რომ განათების სპეციალისტად არ გიმუშავიათ?

– განათების სპეციალისტი არის, სტოლბაზე რომ დგას და კაბელები გაყავს... ის, რომ ქარხნულადაა დამზადებული, ვიყიდე, შევარჩე და გავანათე, ის მაგ სპეციალობაში არ შედის.

ზურა ცუკილაშვილმა შპს „ოშხნელსა“ და შპს „კრეატივიში“ განათების სპეციალისტად მუშაობის დროს, ანუ მისი სიტყვებით, „შერჩობა-განათებისთვის“ ორივე კომპანიაში ერთად, ხელფასის სახით, 4000 ლარზე მეტი მიიღო.

გოჩა ცუკილაშვილი კი, რომელთანაც შპს „კრეატივიში“ ბინისა და მანქანის საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა, როგორც უკვე ვთქვით, ზურა ცუკილაშვილის ძმაა.

„უნდა დადგინდეს, რა ღირს რეალურად „ოპელ ომეგას“ ერთი თვით დაქირავება, რამდენად შეიძლება იქირავო ბინა წერეთლის გამზირზე და თუ დადგინდება, რომ არაადეკვატური, ხელოვნურად გაზრდილი თანხა გადახდილი, მაშინ ეს არის უკვე არა უბრალო სამართალდარღვევა, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული და, შესაბამისად, პასუხი უნდა მოეკითხოთ. უნდა დადგეს როგორც ცესკოს, ასევე შპს „კრეატივის“ პასუხისმგებლობის საკითხი“, – ამბობს თამარ გურჩიანი.

ამ ორივე კომპანიაში მაშინ პრეზიდენტის ამჟამინდელი პრესსპიკერი მანანა მანჯგალაძეც მუშაობდა. ზურაბ ოშხნელი მისი მეუღლეა. მანანა მანჯგალაძემ შესრულებული სამუშაოსთვის 20 000 ლარზე მეტი აიღო. იმ დროს მანანა მანჯგალაძე „რუსთავი 2-ის“ საინფორმაციო გადაცემის წამყვანი გახლდათ. არჩევნებიდან დაახლოებით ერთ თვის შემდეგ მანჯგალაძე „ტელევიმედის“ საინფორმაციო გადაცემის უფროსად დანიშნეს. დღეს კი პრეზიდენტის პრესსპიკერია.

ზურაბ ოშხნელმა გვითხრა, რომ მანანა მანჯგალაძეს ორივე კომპანიაში სარეკლამო ტექსტების რედაქტირება ევალებოდა. თავად მანჯგალაძემ გვითხრა, რომ პროექტის კოორდინატორიც იყო და მიღებულ 20 ათასსაც ადეკვატურ ანაზღაურებად მიიჩნევს.

„დეტალებში არ მახსოვს, რა და როგორ იყო, მაგრამ მახსოვს, რომ იყო საპარლამენტო არჩევნები და ვასრულებდი პროდიუსერის მოვალეობას. ამავდროულად, ვიყავი ამ პროექტის კოორდინატორიც. რედაქტირებასაც ვაკეთებდი, თუმცა ასე არის თუ არა დაზუსტებით აღნიშნული დოკუმენტაციაში და წერია თუ არა ეს ხელშეკრულებაში, არ მახსოვს. ეს იყო იმ განუხილავი სამსახურის ადეკვატური ანაზღაურება“, – ამბობს პრესსპიკერი.

სტუდია „მონიტორმა“ ცესკო-ს ოფიციალური წერილით მიმართა, სადაც დაქირავებული კომპანიების მიერ გადარიცხული თანხის განკარგვის ოფიციალურ დოკუმენტაციას, სახელფასო უწყისებსა და სუბკონტრაქტებს ითხოვდა. თუმცა ცესკო-მ ამ ინფორმაციის მოწოდება იმ მარტივი მიზეზის გამო ვერ შეძლო, რომ მას ეს დოკუმენტაციები არ გააჩნდა.

„სახელფასო უწყისები ან ნებისმიერი ფინანსური დოკუმენტი, რომელიც ნათელ სურათს შეგვიქმნიდა ამ კომპანიის საქმიანობის შესახებ, არ გვაქვს“, – აცხადებს ზურაბ ხარატიშვილი.

უფრო მეტიც, ოფიციალურ წერილში, რომლითაც ცესკო-მ გვიპასუხა, წერია, რომ ცესკო არ არის უფლებამოსილი, ფლობდეს კერძო კომპანიის

სახელფასო უწყისებსა და სხვა ფინანსურ დოკუმენტაციას.

„ცესკო ვალდებულია, თითოეული დახარჯული თეთრის კონტროლი განახორციელოს. ამისთვის მათ საშუალებები აქვთ. სხვა საკითხია, ცესკო ხელშეკრულებებს და დახარჯულ თანხებს შეგნებულად თუ არ ამონმეზბს; ხოლო როდესაც ამას არ აკეთებს, არსებობს შესყიდვების სააგენტო და საქართველოს კონტროლის პალატა, რომლებიც აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ამ ფაქტით“, – ამბობს თამარ გურჩიანი.

შპს „ოშხნელი“ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების წინასაარჩევნო სარეკლამო აგიტაციაში მონაწილეობას გეგმავდა, თუმცა ზურაბ ოშხნელმა გვითხრა, რომ მასთან ხელშეკრულება აღარ გააფორმეს, რის ერთ-ერთ მიზეზად სტუდია „მონიტორის“ მიერ მისი საქმიანობით დაინტერესება გახლდათ.

„თქვენ ხართ ერთ-ერთი მიზეზი და თქვენი პროექტი, რომელმაც მე დღეს დამაკარგვინა წინასაარჩევნო კლიპების დაკვეთა. თქვენმა გამოჩენამ, ეტყობა, ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე შეაშინა. წარმოიდგინე, წინ რომ ორი პროდუქტი დაგიღონ და გითხრან: ერთი 10 ლარი ღირს და მეორე იგივე პროდუქტზე – 2 ლარ-ნახევარი. ყველა ნორმალური ადამიანი ხომ 2.50 ლარიან პროდუქტს იყიდის, მაგრამ მე ასე ვთვლი, რომ იმ ადამიანებს რალაცების შეეშინდათ, რადგან თემა გახმაურდა.“

„ვიდრე თქვენი გუნდი ამის კვლევას დაიწყებდა, მე სიტყვიერი შეთავაზება გავუკეთე ცესკო-ს, რომ კლიპებს დავამზადებდი და მზად იყვნენ, დაკვეთა მოეცათ.“

მერე უარი მითხრეს. შეიძლება იმის გამოც, რომ ცესკო-ს ახალი თავმჯდომარე ჰყავს და მას სხვანაირი ხედვები აქვს. თუმცა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ერთ-ერთი მიზეზი ნამდვილად ხართ“, – გვითხრა პრეზიდენტის პრესსპიკერის მეუღლემ ზურაბ ოშხნელმა. □



ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში. ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

# ხონსხოცის ჰანა VS მთავრობა

ყველა მომდევნო წლის ბიუჯეტი წინას ერთგვარი გაგრძელებაა. ამდენად, 2010 წლის ბიუჯეტზე საუბრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება წინამორბედი წლის მდგომარეობასაც; მით უფრო, რომ 2009 პირველი პოსტსაომარი წელი იყო და მისი ბიუჯეტიც – ორმაგად ნიშანდობლივი.

## რევაზ საყვარიშვილი



შარშანდელი მთავარი საფინანსო დოკუმენტის კრიტიკულ ანალიზს საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს; მით უფრო, თუ ამას სახელმწიფო ორგანო აკეთებს და მით უფრო, თუ ის მართლაც კრიტიკულია. ამჯერად სწორედ ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე: 2009 წლის ბიუჯეტის შესრულება და მისი თანამდევი პროცესები საკმაოდ მწვავედ კონტროლის პალატამ გააკრიტიკა.

პალატამ, უპირველესად, საქართველოს საგარეო ვალების პერმანენტული ზრდა გაუმართლებლად მიიჩნია. მისი შეფასებით, საქართველოს მთავრობამ ბოლო ერთ წელიწადში იმაზე მეტი საგარეო ვალი აიღო, ვიდრე საჭირო იყო. კერძოდ, ერთი წლის განმავლობაში საგარეო ვალის ზრდა 1 მილიარდ ლარს აჭარბებს, რაც ნიშნავს, რომ ფინანსური კრიზისის პირობებში, მთავრობამ არსებული რესურსების სწორი მობილიზება და გადანაწილება ვერ მოახდინა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ მოცულობის საგარეო ვალის აღება საჭირო არ გახდებოდა (ცნობისათვის: საგარეო ვალმა 1 მაისისთვის უკვე 6 მილიარდ 236 მილიონ ლარს გადააჭარბა).

არანაკლებ საყურადღებოა კონტროლის პალატის სხვა პრეტენზიებიც. კერძოდ, პალატამ არაერთ სახელმწიფო უწყებას

მნიშვნელოვანი ფინანსური დარღვევები აღმოუჩინა. პალატამ მხარჯავი უწყებების შემოწმების შედეგად დაასკვნა, რომ მათ უმეტესობაში ძველი დავალიანებებია. ამავე დროს, დარღვევები სხვადასხვა უწყების მიერ ბიუჯეტის შესრულების შესახებ მომზადებულ ანგარიშებშიც გამოვლინდა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ეკონომიკის სამინისტროს ანგარიშში ფინანსური აქტივების ზრდა არ აქვს ასახული. რეგიონული განვითარების სამინისტროს კი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ ხარჯები არა აქვს დაფიქსირებული. გარემოს დაცვის სამინისტროს მიმდინარე დანიშნულების გრანტები არ აქვს წარმოდგენილი. ფინანსურ დოკუმენტაციაში დარღვევები აქვთ ჯანდაცვის და ენერგეტიკის სამინისტროებს და უზენაეს სასამართლოს. ამავე დროს, კონტროლის პალატის დასკვნით, ხშირად ანგარიშგებები არაზუსტი და არარეალურია. ეს კი საბოლოოდ საბიუჯეტო პროცესის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს იწვევს, რაც საკმაოდ დიდი პრობლემაა.

პარალელურად, არანაკლებ პრობლემებს ქმნის სახელმწიფო უწყებების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების გახშირებული დაფუძნება. კონტროლის პალატამ დაადგინა, რომ ქვეყანაში ასეთი უკვე 2 100 ერთეული არსებობს და კიდევ მატულობს, რადგან სახელმწიფოს ან თვითმმართველი ერთეულების მიერ საჯარო სამართლის იურიდიული პირების დაფუძნებამ, ზრდადი და საბიუჯეტო თვალსაზრისით, არასასურველი ტენდენციის სახე მიიღო.

კერძოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მომსახურების შედეგად მიღებული შემოსავალი, ბიუჯეტის ნაცვლად, სხვადასხვა საბანკო ანგარიშებზე ილექება, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბიუჯეტის დაგეგმვა-შესრულებაზე.

2009 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველ ვარიანტში ფინანსთა სამინისტროს

ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ საჯარო სამართლის იურიდიული პირების მონაცემთა ბაზის დადგენა იყო. თუმცა ბიუჯეტის შემდეგ პროექტებში და მიღებულ კანონში ეს საკითხი საერთოდ აღარ ფიგურირებს.

არადა, საჯარო სამართლის იურიდიული პირების რიცხვი ნაწილობრივ სოკოებივით იზრდება და სულ უფრო დიდ მასშტაბებზე გადის. მაგალითად, აპრილიდან შემოსავლების სამსახურიც კი საჯარო სამართლის იურიდიული პირია, რაც მის ბიუჯეტთან დამოკიდებულებას თვისებრივად განსხვავებულ რეჟიმში აყენებს.

კიდევ ერთი მტკიცეული წერტილი მთავრობის სარეზერვო ფონდია. მის შესახებ ინფორმაცია არასოდეს სრულყოფილი არ არის. კონტროლის პალატის ინფორმაციით, ფონდის ანგარიშში ასახული არ არის მილიონობით ლარის გამოყოფის შესახებ განკარგულებები; არასრულია ინფორმაცია რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდის ხარჯვაზეც და არც ის არის დადგენილი, შეესაბამებოდა თუ არა მთავრობის გადანაცვებილებით ფულის ხარჯვა ფონდის პირდაპირ დანიშნულებას. ამასთან, კონტროლის პალატას მიაჩნია, რომ რიგი ფონდები (მაგალითად, რეგიონული), თავისი დანიშნულებიდან გამომდინარე, ასევე სარეზერვო ფონდებია. ამიტომ საჭირო არ არის ქვეყანაში ერთი და იგივე ფუნქციის მქონე რამდენიმე ფონდის არსებობა.

მოკლედ, კონტროლის პალატამ, პრაქტიკულად, მთელი საბიუჯეტო პროცესი და მისი საკვანძო დეტალები დაინუნა. თუმცა, რამდენად მოხდება ამ შენიშვნების გაზიარება, ძალიან ძნელი სათქმელია: ფინანსური დარღვევები ისევ ყველა აღმასრულებელ უწყებაშია, სამთავრობო ფონდები კვლავაც სრულიად უკონტროლოდ იხარჯება, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ისევ ნაღმა-უკულმა ფუნდდება, საგარეო ვალების ოდენობა კი კვლავაც

ნარმატებით იმატებს.

საგარეო ვალუბის გაზრდილი ოდენობით მობილიზებას სხვებთან ერთად ცნობილი გარემოებაც განაპირობებს – დაცემული ეკონომიკური აქტივობის გამო, საბიუჯეტო შემოსავლები იკლებს. თუმცა, რა გზებითაც სახელმწიფო ცდილობს მათ გაზრდას, ეს გრძელვადიან პერსპექტივაში კიდევ უფრო დიდი პრობლემების მომასწავებელია.

უკვე ფართოდ გავრცელდა შემოსავლების სამსახურის თბილისის საგადასახადო ინსპექციის 26 თებერვლის ბრძანება, რომლის თანახმადაც, თბილისის საგადასახადო ინსპექცია ავალუბს მის რაიონულ სტრუქტურებს, ყველა რაიონში მდებარე სავაჭრო დაწესებულებასა და წარმოებაში ჩატარებულ იქნას შემოწმება და მათზე განხორციელდეს ჯარიმები. სასაქონლო ზედნადებისა და სალარო აპარატების შემოწმების მიზნით, ათასზე მეტი მცირე და საშუალო საწარმო დაჯარიმდა, რის შემდეგაც მათი ნაწილი საერთოდ დაიხურა. დაიხურა მთელი ინფორმაცია, რომელიც ამ პერიოდის შემოწმებებს და სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ სანქციებს უკავშირდება.

ზოგადად, საბიუჯეტო პროცესების ნაწილობრივი ტაბუირება ის საკითხია, რომელიც დროთა განმავლობაში სულ უფრო აქტიურად იჩენს თავს და ახალ-ახალ დადასტურებებს პოულობს ხოლმე. მაგალითად, ახლა იმ ნოვაციის მოყვანაც კმარა, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების სფეროში უნდა დაინერგოს. ამიერიდან სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება ელექტრონული ფორმითაც იქნება შესაძლებელი, რაც თავისთავად უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია.

მაგრამ ამ წინგადადგმული ნაბიჯის უკან ერთი ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა იბადება, კერძოდ ის, რომ ამ პროცესს ამიერიდან უკვე არა კანონი, არამედ იუსტიციის მინისტრის ბრძანება დაარეგულირებს. დღემდე სახელმწიფო შესყიდვებზე აუქციონი საგანგებო კანონით რეგულირდება, მაგრამ ეს ცვლილება საკითხს უფრო „დაბალ დონეზე“ დაარეგულირებს.

შესაბამისი კანონპროექტი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე უკვე მზად არის.

კანონპროექტის თანახმად, შესაძლებელი ხდება სახელმწიფო შესყიდვებზე აუქციონის ელექტრონული ფორმით ჩა-

ტარება. აუქციონის წესს კი იუსტიციის მინისტრი ბრძანებულებით განსაზღვრავს. დღეს ეს პროცედურა კანონით არის განერილი და, შესაბამისად, დარღვევაც კანონითვე ისჯება.

ახალ კანონპროექტში ასევე აღნიშნულია, რომ მოხდება სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულად განხორციელებისთვის საქონლის მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომების დანერგვა, ასევე დადგენილი მონეტარული ნორმების კორექტირება. კერძოდ, ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში, მონეტარული ზღვარი შეადგენს 200 ათასი ლარის ღირებულების და ზევით შესყიდვის საშუალებას, 200 ათას ლარამდე ღირებულების შესყიდვაზე კი ტენდერი გამარტივებული სისტემით ჩატარდება. და, რაც მთავარია, წესს უკვე იუსტიციის მინისტრი განსაზღვრავს.

საინტერესოა ისიც, რომ, შესყიდვების შემთხვევაში, მარტივდება ინტერესთა კონფლიქტის საკითხი. კანონპროექტით განსაზღვრულია, რომ „ინტერესთა კონფლიქტად არ ჩაითვლება იმ ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესყიდვაში მონაწილეობა, რომლებიც პრეტენდენტების სახით მონაწილეობდნენ ამ შესყიდვასთან დაკავშირებულ საპროექტო მომსახურების შესყიდვაში“. მოკლედ, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებები პროცესის გამჭვირვალობისკენ მიმართულ ნაბიჯად ძნელად თუ შეფასდება.

ასევე საკმაოდ უჭირთ საქართველოში მიმდინარე პროცესების პოზიტიურად აღქმა იმ შემთხვევებში, რომლებიც ქვეყნის საინვესტიციო მიზიდველობას აკვირდებიან. არადა, ინვესტიციების მოზიდვის გარეშე, ქვეყანას კრიზისიდან სწრაფად გამოსვლა რომ გაუჭირდება, დიდი მტკიცება არ უნდა.

„საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ფირმაში ხანგრძლივი საგადასახადო დავის შემდეგ მენეჯმენტის უწესო ცვლილებამ ერთი სიგნალი გააგზავნა – შესაძლოა, ბიზნესის კეთება ამ ქვეყანაში სულაც არ არის ისეთი იოლი, როგორც დღევანდელი მთავრობა პოტენციურ ინვესტორებს არწმუნებს“, – წერს Busi-

nessneweurope და მაგალითად „თბილისი ბანკისა“ და „ელიტ ელექტრონიქსის“ დაპირისპირება მოჰყავს.

გამოცემა აღნიშნავს, რომ საქართველო მთელი ძალით ცდილობს, უკან შეიტყუოს ის უცხოური ინვესტიციები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთთან ომამდე და გლობალურ ეკონომიკურ კრიზისამდე ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ წელიწადში 12%-ს გადააჭარბა. „მაჩვენებლები, რომლებიც მარტის შუა რიცხვებში გამოქვეყნდა, ადასტურებს, რომ 2009 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 51%-ით შემცირდა. 2009 წელს ის 759 მილიონ დოლარამდე დაეცა, მაშინ როდესაც 2008-ში – 1,6 მილიარდს, ხოლო 2007 წელს 2 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა“, – წერს გამოცემა.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური 2009 წლის ბოლოს ლონდონს, ნიუ-იორკს და აბუ-დაბის ეწვია, რათა ხაზი გაესვა ქვეყნის ეკონომიკის დასავლურ ყაიდაზე გარდაქმნისთვის, ხოლო ოქტომბრის შემდეგ მთავრობა ხმამაღლა აცხადებს იმ „თავისუფლების აქტის“ შესახებ, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს მოითხოვს. ამ ცვლილებების თანახმად, სახელმწიფო ხარჯები მშპ-ს 30%-მდე, ბიუჯეტის დეფიციტი 3%-მდე იზღუდება, ხოლო საგარეო ვალმა 60%-ს არ უნდა გადააჭარბოს, თუმცა ეს აქტი ჯერ კიდევ მისაღებია.

„ელიტ ელექტრონიქსის“ პრობლემებზე საუბრისას Businessneweurope-ს საგადასახადო კოდექსის ის შესწორება მოჰყავს, რომელიც, საგადასახადო დავების წარმოქმნის შემთხვევაში, ხელისუფლებას ანგარიშებისა და ქონების გაყინვას უადვილებს. ამ შესწორებების მიღებამდეც, ჯერ კიდევ 2009 წლის მაისში მსოფლიო ბანკის ანგარიშში საქართველოს საწარმოო სექტორზე ნათქვამი იყო, რომ არსებობს „გავრცელებული განცდა იმისა, რომ საგადასახადო სამსახურები ზედმეტად აგრესიულები არიან გადასახადების ჯარიმების შეკრების პროცესში იმ კომპანიებთან დაკავშირებით, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა კანონთან შესაბამისობით იმოქმედონ და ამავე დროს ზედმეტად აყოვნებენ საჩივრების განხილვას“. □



სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

# აღიარების ზიარების ჩიხში

სოხუმში დღეაღენ იმის გამო, რომ აფხაზეთის აღიარების პროცესი შეფერხებულია.

## სვეტლანა ავიძა

სოხუმის ხელისუფლება არ გამორიცხავს, რომ უახლოეს მომავალში აფხაზეთის აღიარების მომხრე ქვეყნების რიცხვს ბოლივია და ეკვადორი შეემატოს. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მაქსიმ ლვინჯილიამ ლათინოამერიკული ტურნედან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ „იქ ამიერკავკასიის რესპუბლიკისადმი პოზიტიურად არიან განწყობილები“.

თუმცა, აფხაზი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ პროცესი ჩიხში შევიდა და ხელისუფლების ეს განცხადებები მხოლოდ მორიგი აღიარების მომლოდინე აფხაზი ხალხის დასაშოშინებლად კეთდება.

გასული წლის ბოლოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ოფიციალური თხოვნა გააგზავნა ეკვადორის დედაქალაქ კიტოში ამ საკითხის განხილვასთან დაკავშირებით.

„ჩვენ ოფიციალური წერილით მიმართეთ პრეზიდენტ რაფაელ კორეას, სადაც ვთხოვდით აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას; ასევე, წერილს ახლდა მასალები ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესახებ. ამჯერად ეკვადორის მხარე დაწვრილებით შეისწავლის ჩვენ მიერ წარდგენილ მასალებს და მალე ამასთან დაკავშირებით განცხადებას გააკეთებს“, – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა უწყების ხელმძღვანელმა ჯერ კიდევ დეკემბერში.

თუმცა, დღეს ლვინჯილია აღიარებს, რომ ეკვადორის ოფიციალური პასუხი კვლავ არ ჩანს.

უკრაინაში ხელისუფლების შეცვლის შემდეგ იყო მოლოდინი, რომ კრემლი უკრაინის ახალ პრეზიდენტთან ვიქტორ იანუკოვიჩთან უფრო მეტ საერთოს გამოიხატავდა, ვიდრე სააკაშვილის პირად მეგობარ იუშენკოსთან. თუმცა, იანუკოვიჩმა ცალსახად გამოაცხადა, რომ „უკრაინა ორმაგი სტანდარტების წინააღმდეგია“... და „საყოველთაოდ

აღიარებული საერთაშორისო წესები ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს“.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარების პროცესის ლობირება მოსკოვმა მას შემდეგ დაიწყო, რაც 2008 წლის 26 აგვისტოში თავად აღიარა მათი სუვერენიტეტი.

სულ მალე ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო ნიკარაგუამ; კიდევ ერთი წლის შემდეგ კი აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად მიჩნევა გადაწყვიტა ვენესუელამაც.

„აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას სულ უფრო მეტი ქვეყანა დაიწყებს და ვენესუელა მათთვის იმპულსის მიძღვნი იქნება“, – განაცხადა მაშინ ლათინოამერიკული ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესამა.

თუმცა, აფხაზეთში დიდი მოლოდინების მიუხედავად, მას შემდეგ ვენესუელელი ლიდერის ნინასნარმეტყველება მხოლოდ ერთ ქვეყანაზე ახდა – 2009 წლის დეკემბერში კუნძულოვანმა სახელმწიფომ, ნაურუმ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ განაცხადა.

სადავო ტერიტორიების აღიარებით მოსკოვმა პრინციპული შიდაპოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო და დასავლეთის ქვეყნებს საკუთარი ნება და პოტენციური რესურსი დაანახა.

შემდგომმა პროცესებმა – რუსეთის მიერ ამიერკავკასიის ახალ რესპუბლიკებთან პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების ინსტიტუციონალიზაციამ – ცხადყო მოსკოვის მზადყოფნა, თანმიმდევრულად დაიცვას 2008 წლის აგვისტოში დაკავებული საკუთარი პოზიციები.

აფხაზეთში კარგად ესმით, რომ მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეები –

ისეთები, როგორცაა – ევროკავშირი, აშშ და ჩინეთი – სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ.

თუმცა, აფხაზეთში მოუთმენლად ელიან მორიგ „პატარა გამარჯვებას“, როცა კიდევ ერთი, თუნდაც ეგზოტიკური ქვეყანა მათ დამოუკიდებლობას ცნობს.

აფხაზი ექსპერტები ამბობენ, რომ აღიარების პროცესი დიდწილად რუსეთზე დამოკიდებულია. ის, რომ კრემლის ლიდერებს დასავლეთი ეჭვის თვალთ უყურებს და რუსეთის მიმართ გეოპოლიტიკური მხარდაჭერა არ არსებობს, მნიშვნელოვნად ამცირებს მსოფლიოს სხვა ქვეყნების მიერ აფხაზეთის აღიარების შესაძლებლობას.

ამკარაა, რომ რამდენიმე ლათინოამერიკული ქვეყნის მიერ აფხაზეთის აღიარებამ თბილისი შეაშფოთა. ეს იმაში გამოიხატა, რომ თბილისმა ამ ქვეყნებთან დიპლომატიური კავშირების დამყარება დაიწყო. საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბოლო ვიზიტი კოსტა-რიკაში ახალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, სადაც სხვა სამხრეთამერიკელი ლიდერებიც იმყოფებოდნენ, სავარაუდოდ, აღიარების პროცესს სასიკეთოდ არ წაადგება.

მოსკოვისთვის ასევე მტკივნეულ საკითხად რჩება მინსკის გაურკვეველი პოზიცია, რომელიც სულ სამომავლოდ დებს ამიერკავკასიის ორი რესპუბლიკის სტატუსის განხილვას. **■**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციამ გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

# მედვედევის ოხი ნაღი

ორწლიანი მმართველობის განმავლობაში ყველაზე ლიბერალური, რაც რუსეთის პრეზიდენტმა მედვედევმა გააკეთა, ინტერნეტ სივრცეში საკუთარი ბლოგის გახსნა იყო.

## სოფო ბუკია

ორი წლის წინ პუტინის მემკვიდრედ დასახელებული დიმიტრი მედვედევის ლიბერალური იმიჯი ილუზიას ქმნიდა, რომ რუსეთში გარკვეული ცვლილებები დაინწყებოდა.

მისი მმართველობიდან ორი წლის თავზე კვლავ არ არის პასუხი კითხვაზე – შეძლებს თუ არა იგი ქვეყნის რეალური მმართველი გახდეს?

7 მაისს, ვიდრე წითელ მოედანზე ფაშიზმზე გამარჯვების 65-ე წლის-თავს პომპეზურად აღნიშნავდნენ, მედვედევმა გაზეთ „იზვესტიასთან“ ინტერვიუში სტალინზე ილაპარაკა. სტალინი დღევანდელ რუსეთში ის თემაა, რომელიც რუსულ საზოგადოებას უმრავლესობად და უმცირესობად ჰყოფს.

„დიდი სამამულო ომი მოიგო ჩვენმა ხალხმა და არა სტალინმა... გენერალისიმუსმა უამრავი დანაშაული ჩაიდინა საკუთარი ხალხის წინაშე“, – თქვა მან.

2009 წლის დეკემბერში რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმირ პუტინმა სტალინი სრულიად სხვაგვარად შეაფასა: „ვერავინ ესვრის ქვას მათ, ვინც იმ გამარჯვების სათავეში იდგა, რადგან ომი რომ წაგვეგო, ჩვენს ქვეყანას ეს ბევრად უფრო კატასტროფულ შედეგს მოუტანდა“.

ეს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია იმისა, რომ მედვედევსა და პუტინს მთელ რიგ საკითხებში უთანხმოება აქვთ.

სტალინის როლის შეფასება პრინციპული უთანხმოებების რანგში გადის, რადგან „დიდი ბელადი“ რუსეთისთვის მხოლოდ ისტორია არ არის. ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ რუსეთში საბჭოთა წარსულის განდი-



დიმიტრი მედვედევი და ვლადიმირ პუტინი

დების ხანა დაიწყო, რადგან „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც „სსრკ-ს დაშლას მეოცე საუკუნის მთავარ გეოპოლიტიკურ კატასტროფას უწოდებს“, ცდილობს, საბჭოთა წარსული ქვეყნის გამაერთიანებელ „ნაციონალურ იდეად“ აქციოს.

საზოგადოებრივი აზრის შესწავლის რუსული ცენტრის (ვციომ) მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 75 პროცენტი მიზანშეწონილად მიიჩნევს 9 მაისისთვის რუსეთის სხვადასხვა ქალაქში სტალინის სურათების გამოკვრას.

ამ ფონზე მედვედევის განცხადება სტალინზე არაპოპულარულია და მეტწილად საერთაშორისო საზოგადოების გასაგონად გაკეთდა, ვიდრე – შიდა მოხმარებისთვის. სტალინზე დებატებით მედვედევა ხაზი გაუსვა თავის განსხვავებას პუტინთან.

მედვედევა და პუტინს შორის ბრძოლა რეალურია. ამ ბრძოლას უკვე პირველი მსხვერპლიც ჰყავს და დროებითი გამარჯვებულებიც. ჯერჯერობით ამ ბრძოლის მოგების მეტი

ფარგლებს გარეთ.

ფაქტია, რომ კრემლში არის ძალა, რომელიც მედვედევის პუტინის ალტერნატივად მომავალშიც განიხილავს. კრემლის მთავარი პოლიტიკელოგი გლებ პავლოვსკი, რომელიც მანამდე პუტინის მესამე ვადის ინიცირებაზე მუშაობდა, დღეს „ეხო მოსკვის“ ეთერში მედვედევის შესაძლო მეორე ვადაზე საუბრობს.

დაახლოებით იგივე ინიციატივით გამოვიდა მედვედევის მხარდამჭერი პოლიტიკური ცენტრის – „თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი იგორ იურგენსი. მან თქვა, რომ კარგი იქნება, თუ 2012 წელს პუტინსა და მედვედევის შორის ღია და გამჭვირვალე კონკურენცია გაიმართება. სავარაუდოდ, ეს იურგენსისა და პავლოვსკის მხოლოდ პირადი მოსაზრებები არ არის და, როგორც მინიმუმ, ელიტის რაღაც ნაწილის პოზიციას გამოხატავს.

რამდენიმე თვეა, რუსული ინტერნეტ სივრცე გაივსო რიგითი მილიციელების ვიდეორგოლებით, სადაც ისი-

ში მომხდარი ტერაქტების შემდეგ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გარკვეული ცვლილებები განახორციელა (ტრანსპორტში უსაფრთხოების გამკაცრება, ჩრდილოეთ კავკასიაში ახალი ძალოვანის დანიშვნა და ტერორისტული საფრთხეების სკალის შემოღება). ეს იმას ნიშნავდა, რომ ამ სფეროში აქამდე არსებულმა წესებმა არ გაამართლა. ტერორიზმი, ჩრდილოეთი კავკასია და, განსაკუთრებით ჩეჩნეთი – ეს პუტინის სფეროა.

ისევე, როგორც 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის და ოლიმპიადისთან დაკავშირებული ყველა საკითხი. მართალია, ვანკუვერში რუსი სპორტსმენების სრული ფიასკოს შემდეგ მედვედევი ყველა დამნაშავეს დასჯით დაიმუქრა, რეალურად კი მისი ძალები მხოლოდ ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან მოხსნას ეყო. სპორტის მინისტრმა თანამდებობა შეინარჩუნა.

2009 წლის იანვარში, უკრაინის „გაზის ომის“ დროს, როცა პრეზიდენტი რუსული გაზის მომხმარებელი

**მედვედევს პუტინის დაჩრდილვა გაუჭირდება. ყველაზე საუკეთესო შანსი, რუსეთის სრულფასოვანი ლიდერი გამხდარიყო, მედვედევს 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა. საქართველოსთან ომის საკითხში პუტინის პოზიციის გაზიარებამ მას ეს შანსი დააკარგვინა.**

შანსი პუტინს აქვს. მაგრამ, არსებობს ალბათობა, რომ ძალოვნებსა და ლიბერალური ეკონომიკის მომხრე ჯგუფებს შორის ბრძოლაში სწორედ პუტინის იმიჯმა იზარალოს. მანამდე იგი ნებისმიერ დაპირისპირებაში არბიტრის როლს თამაშობდა, დღეს კი თავად ხდება მხარე; ანუ მითი – პუტინის „პოლიტიკაზე მაღლა ყოფნისა“ და მისი როგორც „ნაციონალური ლიდერის“ შესახებ, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს.

თუ პუტინის სურვილი, ისევე გახდეს რუსეთის პრეზიდენტი, მეტ-ნაკლებად ნათელია, ჯერჯერობით ბუნდოვანი რჩება მედვედევის მოტივაცია.

არ არის გარკვეული, რაში გამოიყენებს მედვედევი იმ პოლიტიკურ წონას, რომლის დაგროვებასაც ცდილობს, განსაკუთრებით – ქვეყნის

ნი სისტემაში არსებულ კორუფციასა და განუკითხაობაზე საუბრობენ. რუსულ პრესაში იბეჭდება ინტერვიუები საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრთან და ინერება სტატიები ქართული პოლიციის წარმატებულ რეფორმაზე. როგორც რუსი კომენტატორები აღნიშნავენ, ეს ყველაფერი იმ პიარ-კამპანიის ნაწილია, რომელიც მედვედევის გუნდმა რუსეთის შს მინისტრის, რაშიდ ნურგალიევის წინააღმდეგ წამოიწყო.

ნურგალიევი პუტინის პროტეჟეა, ბრძოლა კი, რომელიც მედვედევა დაიწყო – სახიფათო, რადგან ძალოვანი სტრუქტურები ის სფეროა, სადაც მას, გეგმის თანახმად, არაფერი ესაქმება.

მედვედევი პუტინის სფეროში მაშინაც შეიჭრა, როცა მოსკოვის მეტრო-

ქვეყნების სამიტის მოსამზადებლად საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდა, პრემიერი უკრაინაში ჩავიდა და მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელთან იულია ტიმოშენკოსთან პირადად მოაგვარა ყველა პრობლემა. საზოგადოების თვალში პრემიერმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კრიტიკულ სიტუაციებში შეუცვლელია. პრეზიდენტის დაგვიანებულ ინიციატივებზე კი პრესამ ბევრი იქილიკა.

მედვედევს პუტინის დაჩრდილვა გაუჭირდება. ყველაზე საუკეთესო შანსი, რუსეთის სრულფასოვანი ლიდერი გამხდარიყო, მედვედევს 2008 წლის აგვისტოში ჰქონდა. საქართველოსთან ომის საკითხში პუტინის პოზიციის გაზიარებამ მას ეს შანსი დააკარგვინა.

მათ, ვისაც მედვედევისეული ცვლი-

ლებების სჯეროდა, მოლოდინი გაუხანგრძლივდა. რუსი პოლიტიკური კომენტატორი ანდრეი პიონტოვსკი ამბობს, რომ „ლიბერალიზმი ცოცხალი პუტინის პირობებში წარმოუდგენელია“.

„ეს იგივეა, XX ყრილობაზე ხრუმჩოვის ცნობილი გამოსვლა სტალინის სიცოცხლეშივე რომ ყოფილიყო და ჩიზუხის კვამლში გახვეულ სტალინს ეს ყველაფერი ნეტარი სახით პრეზიდენტის პირველი რიგიდან მოესმინა“.

მედევედევმა მეტი დამოუკიდებლობის მოპოვებაც რომ შეძლოს, მისი მმართველობა პუტინის კურსისგან ბევრად განსხვავებული მაინც არ იქნება. რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო აპარატი და ამ უზარმაზარი ქვეყნის მთავარი იდეოლოგია ისტორიულად იმპერიალისტურ საწყისებზე დგას, ამდენად კონკრეტულ ინდივიდებს, მით უმეტეს არც ისე ძლიერებს, არ ძალუძთ ამ წესრიგში კორექტივების შეტანა.

შესაძლოა, მედევედევს გამოსვლების ტონი უფრო ლიბერალურია, ვიდრე პუტინის, მაგრამ მთავარში ისინი აბსოლუტირად ერთი არიან: საქართველოს წინააღმდეგ დაუფარავ აგრესიაში, ირანის რეჟიმის მხარდაჭერაში, ანტიამერიკანიზმში, რუსეთში დღეს არსებული პოლიტიკური სისტემის ერთგულებაში, მუდმივი საგარეო მტრების ძიებაში. მედევედევიც, ისევე როგორც პუტინი, მიიჩნევს, რომ სამხრეთი კავკასია და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები მხოლოდ დროებით გავიდნენ რუსეთის გავლენის სფეროდან და კრემლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მათი დაბრუნება.

მიუხედავად მისი რეპლიკებისა, რომ უაზრობაა ეკონომიკურ დანაშაულში ბრალდებულთა ციხეში გამოწყვდევვა, ხოდორკოვსკი და ლებედევი ციხეში რჩებიან. „იუკოსის“ საქმეში ახალი ბრალდებებიც კი გაჩნდა.

მიუხედავად ყველაფრისა, იზრდება იმ თეორიის მომხრეთა რიცხვი, რომლებიც ფიქრობენ, რომ რუსეთი ისეთი უნდა მიიღონ, როგორც არის.

საქართველოზე გავლენის მოხდენა დასავლეთის ამ მიდგომას შეუძლია და არა იმას, თუ ვინ მოიგებს პუტინი-მედევედევს ბრძოლაში. ■

აზერბაიჯანი

# აზერბაიჯანის "სინდისის ჰაბიმახი"

ევროსასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აზერბაიჯანის ხელისუფლებას პოლიტპატიმრები ჰყავს.

შაჰინ რზაევი, ბაქო



აზერბაიჯანელი ჟურნალისტი ეინულა ფატულაევი

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებით, აზერბაიჯანის ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა გაანთავისუფლოს ტერორიზმის მუხლით გასამართლებული ჟურნალისტი, გაზეთ „რეალური აზერბაიჯანის“ რედაქტორი ეინულა ფატულაევი. გარდა ამისა, აზერბაიჯანის მთავრობას ფატულაევისთვის, კომპენსაციის სახით, 25 ათასი ევროს გადახდა დაეკისრა.

ფატულაევი 2005 წლის აპრილში დააპატიმრეს და 8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ამ კონკრეტული ჟურნალისტისთვის. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ აზერბაიჯანის ციხეებში პოლიტპატიმარი ჟურნალისტები არიან.

ხელისუფლებამ უკვე განაცხადა, რომ ამ გადაწყვეტილების შესრულებას არ აპირებს და ზემდგომ ევროპულ ინსტანციებში აპელაციას შეიტანს.

ეინულა ფატულაევი სამხრეთ კავკასიაში ერთადერთი ჟურნალისტია, რომელსაც გავლენიანი საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია Amnesty International „სინდისის პატიმარს“ უწოდებს.

2009 წელს მას ჟურნალისტთა დაცვის კომიტეტის მიერ (The Committee to Protect Journalists) პრესის თავისუფლების საერთაშორისო პრესტიჟული პრემია (The International Press Freedom Award) მიენიჭა.

ეუთო-ს სიტყვის თავისუფლების განყოფილება აზერბაიჯანის ხელისუფლებას ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებისკენ მოუწოდებს.

„ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა. ამის შემდეგ ერთადერთი გზა რჩება – ფატულაევის დაუყოვნებლივ გათავისუფლება“, – განაცხადა ეუთოს წარმომადგენელმა დუნია მიჟატოვიჩმა.

დაპატიმრების მომენტში ფატულაევი აზერბაიჯანში ორი ყველაზე პოპულარული გამოცემის მთავარი რედაქტორი იყო – ყოველკვირეული რუსულენოვანი გაზეთის „რეალნი აზერბაიჯანის“ და ყოველდღიური აზერბაიჯანულენოვანი გაზეთის – „გიუნდალიკ აზერბაიჯანის“.

მანამდე ის სკანდალური ჟურნალის – „მონიტორის“ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო. ამ ჟურნალის გამოცემა 2005 წლის მარტში შეწყდა, მას შემდეგ, რაც მისი მთავარი რედაქტორი ელმარ ჰუსეინოვი მოკლეს. ეს მკვლელობა დღემდე გაუხსნელია.

ფატულაევის გაზეთებში ქვეყნდებოდა აზერბაიჯანის ხელისუფლების მიმართ მკვეთრი კრიტიკა, მაგრამ ამავე დროს ეს გამოცემები რომელიმე ოპოზიციური ორგანიზაციის რუპორი არ ყოფილა.

ფატულაევს თავიდან 2,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ბრალად ედებოდა ცრუ ინფორმაციის გავრცელება ხოჯალის ტრაგედიასთან დაკავშირებით. ეს ყარაბაღის ომის ყველაზე სისხლიანი ეპიზოდია. ქალაქ ხოჯალში 700-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა.

ბრალდების საბაზად იქცა ფატულაევის სტატია „ყარაბაღული დღიური“, რომელიც გაზეთ „რეალნი აზერბაიჯანში“ გამოქვეყნდა და ასევე ერთ-ერთი ინტერნეტ-ფორუმისთვის მის მიერ მიცემული რამდენიმე კომენტარი.

ეინულა ამ სტატიაში იმეორებდა საკმაოდ გავრცელებულ ვერსიას „ჰუმანიტარული დერეფნის“ შესახებ, რომელიც თითქოს სომხებმა ხოჯალის მკვიდრთათვის გააკეთეს.

ჯერ კიდევ მაშინ არავის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ეს ბრალდება მხოლოდ მიზეზი იყო, სინამდვილეში კი ჟურნალისტს მისი კრიტიკული სტატიებისთვის და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის სჯიდნენ.

„სამხილების“ სახით, სასამართლოს წარუდგინეს ფორუმიდან ამონაბეჭდები, სადაც ეინულას სახელით ნებისმიერ

სხვა ადამიანს შეეძლო ეწერა, მათ შორის – ფორუმის მოდერატორებსაც.

ხელისუფლებამ იგრძნო, რომ ჟურნალისტისთვის ნაყენებულ „ბრალდებებს“ დამაჯერებლობა აკლდა და გადაწყვიტა საქმისთვის კვალიფიკაცია შეეცვალა. ბრალდებას – „აზერბაიჯანელი ხალხის შეურაცხყოფა“ – გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდება დაემატა. მალევე გაჩნდა კიდევ ერთი ბრალდება – ტერორიზმის ხელშეწყობა.

ტერორიზმის ხელშეწყობის ბრალდება ასევე ფატულაევის ერთ-ერთი სტატიიდან გამომდინარე გაჩნდა. სტატიაში სათაურით – „ალიეგები ომისთვის ემზადებიან“ ავტორი ირანის მხრიდან აზერბაიჯანის წინააღმდეგ სარაკეტო შეტევაზე საუბრობს, რაც იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ვაშინგტონი თეირანის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციას ჩაატარებს. მასალაში ჩამოთვლილი იყო ის სტრატეგიული ობიექტები, რომლებიც, ავტორის აზრით, ირანული რაკეტების სამიზნე გახდებოდა. მაგალითად, სანგაჩალის ნავთობის ტერმინალი, საერთაშორისო აეროპორტი, წყალსაცავი და სხვა საყოველთაოდ ცნობილი „სტრატეგიული ობიექტები“, რომელთა ჩამოთვლა ბავშვსაც კი შეუძლია.

2007 წლის 30 ოქტომბერს ფატულაევი დამნაშავედ ცნეს და 8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

მასვე 200 ათასი მანათის (დაახლოებით 235 ათასი აშშ დოლარი) ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა გადასახადების გადაუხდელობისთვის.

სასამართლომ ასევე რედაქციის კუთვნილი 23 კომპიუტერის კონფისკაცია დაადგინა.

ამის შემდეგ გაზეთების გამოცემა შეწყდა.

ფატულაევი ყველა ბრალდებას უარყოფდა. მან მთელ ამ პროცესს ფარსი უწოდა და თანამედროვე აზერბაიჯანი ჰიტლერის გერმანიას შეადარა.

ფატულაევემა მოსამართლეს შეახსენა, რომ თუკი ევროსასამართლოში ის საქმეს მოიგებდა, მაშინ ჯარიმები იმ მოსამართლეს უნდა გადაეხადა, ვინც საქმეს უძღვებოდა.

„მაგრამ მე თქვენ ფულს არ გამოგართმევთ, მიუხედავად იმისა, რომ ევროსასამართლოში საქმეს მოვიგებ“, – თქვა ჟურნალისტმა იმ დღეს, როცა

8,5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

საქმე უკვე მოგებულია, და ჟურნალისტის ადვოკატის ისხან აშუროვის თქმით, მატერიალური კომპენსაციის გადახდა 6 თვის განმავლობაში უნდა მოხდეს. რაც შეეხება ფატულაევის განთავისუფლების ვადას – აქ რაიმე ზუსტი თარიღის დასახელება ადვოკატს უჭირს.

თავად ეინულა აცხადებს, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეშია. გარდა ამისა, 2009 წლის ბოლოს მას კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს – ნარკოტიკების შენახვა. პროკურატურის ვერსიით, 2009 წლის 29 დეკემბერს №12 კოლონიაში პატიმრობაში მყოფ ფატულაევს 0,22 გრამი ჰეროინი აღმოუჩინეს. ფატულაევი ირწმუნება, რომ ნარკოტიკი მას „ჩაუგდეს“.

დაბოლოს, რამდენიმე ვერსია მოვლენათა შემდგომი განვითარების შესახებ. უკვე ცნობილია აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნების თარიღი – 2010 წლის 7 ნოემბერი. საეჭვოა, რომ ფატულაევი საარჩევნო პროცესის დასრულებამდე გაათავისუფლონ, თუნდაც ამ არჩევნებით არაფერი წყდებოდეს და ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის გეგმის მკაცრი შესაბამისობით ჩატარდეს.

ყველაზე სავარაუდოა ერთგვარი კომპრომისი აზერბაიჯანის ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე – დემოკრატიული ქვეყნების საელჩოებს შორის:

დასავლეთი აზერბაიჯანის საპარლამენტო არჩევნებს შეაფასებს როგორც – „თავისუფალსა და სამართლიანს“, „დემოკრატიისკენ გადადგმულ ნაბიჯს“, პრეზიდენტი კი, თავის მხრივ, ფატულაევს შეინყალებს. სავარაუდოდ, ეს მოხდება დაახლოებით 2011 წლის მარტში, ნოვრუზის დღესასწაულის დამდეგს, როდესაც, ტრადიციულად, ცხადდება ხოლმე შეწყალება.

რაც შეეხება ეინულას. თუკი ის გადაწყვეტს, რომ ქვეყნიდან გაემგზავროს და აქაური რეჟიმი შორიდან აკრიტიკოს, მაშინ მას პრობლემები არ უნდა ჰქონდეს.

თუმცა, მათ, ვინც ამ ჟურნალისტს კარგად იცნობს, ეჭვი ეპარებათ, რომ ფატულაევი ამ კომპრომისზე დათანხმდება. იმის წარმოდგენაც ძნელია, თუ რა ელის მას ასეთ შემთხვევაში. **■**



# წინასაარჩევნო დაპირწყებანი ჰიობღემა

იმ ქალაქის ურბანული პოლიტიკა, რომლისთვისაც მერობის კანდიდატები იბრძვიან, მათი წინასაარჩევნო პროგრამების ერთ-ერთი ყველაზე აუთვისებელი თემაა. ქალაქის იერსახე, ტრანსპორტი, ეკოლოგია – ამ საკითხებს წინასაარჩევნო პროგრამებში ან მხოლოდ ზედაპირულად ეხებიან, ანდა საერთოდ უგულებელყოფენ.

## რუსუდან ფანოზიშვილი



მეიდანო, თბილისი, მაისი 2010



საცობი, თბილისი, მაისი 2010

ფოტოგრაფიები: ბაქრაშვილი

დასაქმების, დაბალი კომუნალური გადასახადების თუ უფასო მშობიარობის დაპირებებით დაკავებული კანდიდატების უმრავლესობამ ვერც საგანგებოდ მათთვის შედგენილ კითხვარზე საპასუხოდ მოიცალა.

კითხვები ქალაქგანვითარების პოლიტიკის შესახებ ორი თვის წინ სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ შექმნილმა ჯგუფმა შეაგროვა. ჯგუფში 1500 თბილისელი განწერიანდა. დაისვა 102 კითხვა. ჯგუფის ადმინისტრატორებმა საბოლოოდ 45 კითხვა შეაჯერეს, მერობის კანდიდატებს დაუგზავნეს და საპასუხოდ ორკვირიანი ვადა მისცეს. ვადა 14 მაისს მიიწურა, მაგრამ დღის ბოლოს მერობის ერთადერთი კანდიდატის, გიგი უგულავას პასუხები დაუბრუნდათ.

თითქმის ყველა კითხვაზე მისი პასუხები იწყება იმის მტკიცებით, რომ „ამ პრობლემის გადაჭრისთვის პროგრამა

უკვე დაწყებულია“ და მთავრდება წინადადებით, რომ „ეს საკმარისი არ არის და მერია ამ სფეროში კიდევ ბევრის გაკეთებას გეგმავს“.

მართალია, უგულავას პასუხები 50 გვერდს მოიცავს და საკმაოდ დეტალურიცაა, ამომრჩეველთან პირდაპირი კონტაქტისას ამ თემებზე ის თითქმის არასდროს საუბრობს. უგულავას წინასწარ განერილი საარჩევნო პროგრამა არც აქვს. როგორც საარჩევნო შტაბში აცხადებენ, მისი პროგრამა საკრებულოს მიერ დამტკიცებული 2010 წლის დასაქმების ბიუჯეტი იქნება. ამ დოკუმენტში კი ქალაქის დაგეგმარების საკითხები ერთადერთი კუთხით მოხვდა: გააქტიურდება პროექტი „ძველი თბილისის ახალი სიცოცხლე“, რაც, უგულავას აზრით, კიდევ უფრო მეტი თბილისელის დასაქმების საშუალება იქნება.

„არ მცალია, „ფეისბუქისთვის“ სა-

ერთოდ ვერ ვიცლი, დილით გავდივარ, ღამე გვიან შემოვდივარ“, – ამბობს მერობის კანდიდატი ზვიად ძიძიგური, რომელიც იმასაც ამტკიცებს, რომ კითხვების შესახებ მას არაფერი სმენია. ამავე მიზეზით ხსნის გია ჭანტურიაც იმას, თუ რატომ არ გამოეხმაურა ორი კვირის განმავლობაში ამომრჩევლის კითხვებს. მერობის ზოგმა მსურველმა, მაგალითად, ირაკლი ალასანიამ და ნიკა ივანიშვილმა კი გვიან აღმოაჩინეს, რომ პასუხებისთვის გამოყოფილი დრო დასრულდა და დათქმულ ვადას გადააჭარბეს.

ჯგუფი „ფეისბუქში“ ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტის ქალაქისა და რეგიონული გეგმარების ინსტიტუტის ქალაქმშენებლობის განყოფილების წარმომადგენელმა ლუკა ბაქრაძემ დააარსა. ბაქრაძის თქმით, ჯგუფის შექმნის მთავარი მიზეზი „ქალაქმშენებლობის მხრივ თბილისში არსებული

კატასტროფული მდგომარეობაა“. ის მიიჩნევს, რომ საჭიროა საზოგადოებამ „საერთო საკუთრების არსებობის განალიზება და მასზე პასუხისმგებლობის აღება“ შეძლოს. „მრავალი სახის საერთო საკუთრებიდან კი ყველაზე რეალური და ადვილად გასათვითცნობიერებელი ადამიანებისათვის მათი უშუალო საცხოვრებელი გარემო, ეზო, ქუჩა, უბანი და ქალაქია“, – ამბობს ბაქრაძე. მიზანმა გაამართლა. თბილისელები მერობის კანდიდატებს ეკითხებოდნენ ქალაქგანვითარების ადმინისტრირების, თბილისის იერსახის, ეკოლოგიისა და ინფრასტრუქტურის შესახებ. ზოგს რკინიგზის სადგურის გადატანა აღეშინებდა, ზოგი კი მერობის კანდიდატებს ტრამვაის, როგორც ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტის, აღდგენას სთავაზობდა. თვითონ პროექტის ხელმძღვანელის ლუკა ბაქრაძის აზრით კი, თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა დაურეგულირებელი მშენებლობებია.

მერობის კანდიდატები ერთხმად ამტკიცებენ, რომ კითხვარში წამოწეული თემები თბილისისთვის უმნიშვნელოვანესია. „თბილისის მერის არჩე-

ვითი კანდიდატი „საქალაქო ინფრასტრუქტურაში გადავიღებული და უსაფრთხო გადაადგილების სტანდარტული პირობების“ შექმნას აღუთქვამს.

„პროგრამაში ყველაფერს ვერ გაითვალისწინებ“, – ამბობს ნიკა ივანიშვილი, რომლის მტკიცებით, თბილისის ურბანული დაგეგმვა და განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. თუმცა, ეს „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“ საკითხი საერთოდ გამოტოვებულია მის წინასაარჩევნო პროგრამაში. „ურბანული საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს პროგრამაში თავისთავად იგულისხმება“, – ამბობს ივანიშვილი და იმით ამაყობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სათანადო ინფრასტრუქტურის შექმნის საკითხი წინასაარჩევნო მართონში პირველად მისმა პარტიამ წამოსწია, ხოლო სხვა კანდიდატებმა უბრალოდ აიტაცეს. ივანიშვილის პროგრამიდან ეს ერთადერთი თემაა, რაც ქალაქგანვითარების კატეგორიაში შედის.

ამ მხრივ, გამორჩეულია გოგი თოფაძის პროგრამა. კანდიდატი თავის წინასაარჩევნო პროგრამაში მინისძვრით

დეცენტრალიზაცია ქალაქს უფრო გააძლიერებს.

მერობის კანდიდატები რატომღაც მიიჩნევენ, რომ ამომრჩეველს ქალაქგანვითარების საკითხები ჯანდაცვის პრობლემებზე ნაკლებად აღელვებთ. ალბათ ამიტომ, გააჩნდა ქალაქის წინასაარჩევნო პროგრამაში ამომრჩეველს მათემატიკური ფორმულებით დაანგარიშებულ იაფ ენერგეტიკულ მომარაგებას ჰპირდება და საერთოდ არ ეხება ურბანულ საკითხებს. თუმცა, „ლიბერალთან“ საუბარში ქანტურია აღნიშნავს, რომ ქალაქის განვითარების მნიშვნელოვან გეგმაზე სპეციალისტებთან ერთად ახლაც მუშაობს.

ზვიად ძიძიგურის, როგორც მერობის კანდიდატის, პრიორიტეტები კი „ეროვნული თვითმყოფადობა“, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და განათლების რეფორმაა. თუმცა, ამბობს, რომ პროფესიით არქიტექტორია და თბილისის განვითარების საკუთარი ხედვაც აქვს. გამარჯვების შემთხვევაში კი, ქვეყნის დამსახურებულ არქიტექტორებთან თანამშრომლობას აპირებს. „ტელევიზორში ყველაფრის თქმას ვერ მოასწრებ, ამიტომ ვცდილობ, რუსეთთან ურთიერთობაზე და ჯანდაცვის პრიორიტეტებზე ვილაპარაკო“, – ამბობს ძიძიგური.

თბილისისთვის უცხოა საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, არჩევნებზე მერობის კანდიდატები, პირველ რიგში, ურბანული პროგრამებით მოდიან. მაგალითად, ნიუ-იორკის ახლანდელი მერის, მაიკლ ბლუმბერგის საარჩევნო პროგრამა „ჩამტვრეული შუშების წინააღმდეგ“ მიმართული კამპანიით გამოირჩეოდა. წლების წინ კი ჟაკ შირაკი პარიზელს სწორედ „დიდი ურბანული პროექტებით“ დაამახსოვრდა.

თბილისელ ამომრჩეველს მსგავსი პროექტებით არ ანებივრებენ. კანდიდატების უმეტესობა ქალაქის ურბანულ განვითარებაზე მხოლოდ ზედაპირულად საუბრობს. მოქმედი მერი და მერობის კანდიდატი გიგი უგულავა კი კურსის შეცვლას არ აპირებს, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ურბანულ პროექტს – „ძველი თბილისის ახალ სიცოცხლესაც“ დასაქმებისთვის იყენებს და მარტივად გვპირდება, რომ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“. **■**

## ■ თბილისისთვის უცხოა საერთაშორისო პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, არჩევნებზე მერობის კანდიდატები, პირველ რიგში, ურბანული პროგრამებით მოდიან.

ნებია, და აბა როგორ, ეს პირველადი საკითხია!“ – ამბობს მერობის კანდიდატი ირაკლი ალასანიაც და უპირველეს საჭიროებად თბილისის განვითარების საერთო გეგმის შემუშავებას გამოყოფს, რაც, მისი აზრით, ახლა ქალაქს არ გააჩნია.

თუმცა, ამ „პირველადი“ საკითხის შესახებ მის წინასაარჩევნო პროგრამაში ნათქვამი არაფერია. ურბანულ საკითხებს, ისიც მხოლოდ გაკვრით, ალასანიას სოციალური პროგრამის ორი ქვეთავი ეხმინება, რომლებშიც კანდიდატი დევნილებს ტრანსპორტზე შეღავათების დაწესებას და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ბინების კერძო საკუთრებაში გადაცემას ჰპირდება. ალასანიას პროგრამაში ნახსენებია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებიც, რომელთაც მერობის

დაზარალებულთა ბინებით უზრუნველყოფის, ქალაქის განვითარების გეგმის შემუშავების, სამშენებლო და ეკოლოგიური ნორმების დადგენისა და გამწვანების პირობას დებს. თუმცა, ეს მხოლოდ დაპირებებია და კონკრეტულად როგორ აპირებს კანდიდატი სიტყვის შესრულებას, თოფაძის პროგრამაში არ წერია.

„ქალაქგანვითარების საკითხები აუცილებლად უნდა იყოს მერობის კანდიდატების პროგრამაში, ეს ხომ ქალაქის არჩევნებია“, – ამბობს არქიტექტორი კოკა ამირეჯიბი. მისი აზრით, კანდიდატები აქცენტს მუნიციპალური მშენებლობების და ამორტიზებული გარემოს გაჯანსაღებაზე უნდა აკეთებდნენ. ყველაზე მთავარი კი, რაც თბილისში უნდა შეიცვალოს, ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებაა, რადგან



საქართველოს  
წიგნის ბაზოზცემელთა  
და ბაზაზრცემელთა  
ასოციაციი

# თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი XII

## ფილარმონიი

18, 19, 20 დე 21 თეისი

მხარდამჭერები:



საქართველოს  
წიგნის ბაზოზცემელთა  
და ბაზაზრცემელთა  
ასოციაციი



საქართველოს  
წიგნის ბაზოზცემელთა  
და ბაზაზრცემელთა  
ასოციაციი

# ახალი წიგნი თანამედროვე ქართული პროზა



გაკურ სულაკაურის  
გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150

ტელ: 910 954, 911 165

[www.sulakauri.ge](http://www.sulakauri.ge)



# აიღაპო, ხობოხს სანიხი მდომიხიოზა

„ღმერთო, მიხსენ შენი მიმდევრებისაგან“ – წარწერა მაცვივარზე მიკრული მაგნიტიდან.

## პაატა საბელაშვილი



მაისის დასაწყისში, ილიას უნივერსიტეტის წინ დაწყებული და ტელეკომპანია „კავკასიის“ სტუდიაში დამთავრებული შეტაკებები საქართველოში რელიგიური ექსტრემიზმის ერთგვარი ლუსტრაციის საფუძველი გახდა. ამ თემაზე ბევრი დაინერა. საზოგადოებრივი აზრი გაიყო. ის, რასაც დღეს საჯარო სივრცეში გაიგონებთ, რამდენიმე ძირითად პოზიციაზე მიუთითებს:

– ერეკლე დეისაძის წიგნი შეურაცხყოფაა მორწმუნე ადამიანებისათვის და, შესაბამისად, სიტყვის თავისუფლების დამცველთა მიმართ ძალადობაც გამართლებულია;

– ყველა, ვინც სიტყვის თავისუფლებას იცავს, „მამათმავალი“ და, შესაბამისად, მათ მიმართ ფიზიკური ძალადობა რეაგირების გარეშე უნდა რჩებოდეს პოლიციის მიერ;

– ტელეკომპანია „კავკასია“ პროვოკატორია, რომელმაც „უდანაშაულო ბიჭების“ ციხეში ჩასმის პროვოცირება მოახდინა და სწორედ მას მიუძღვის ბრალი ერთ-ერთი დაკავებულის მამის გარდაცვალებაში;

– „კავკასია“ ვანო მერაბიშვილის ხელში იარაღი აღმოჩნდა. სწორედ მმართველი გუნდი იყო დაინტერესებული ამ არეულობით, რათა ყურადღება ამ ინციდენტზე გადაეტანა, სხვა, მისთვის მეტად ეგზისტენციური პრობლემებიდან;

– მალხაზ გულაშვილი და მისი რაზმი ქრისტიანობისათვის წამებული რაინდები არიან და მღვდელი დავით ისაკაძისათვის მინიჭებული ჯილდო ამის მაჩვენებელია; და კიდევ მრავალი.

სამწუხაროდ ახლაც არავინ საუბრობს უმთავრეს პრობლემაზე – ჰომოფობიაზე. ჰომოფობია ჰომოსექსუალი ადამიანების შიშს, მათ მიმართ სიძულვილს ნიშნავს. ჰომოფობია ქსენოფობიის ერთ-ერთი ფორმაა, რასიზმის, შოვინიზმის, ანტისემიტის და სხვა კოლექტიური ფობიების მსგავსად. სწორედ ჰომოფობიური შეძახილები ახლდა თან იმ შეხლა-შემოსლას, რისი მოწმეც გახდა საზოგადოება. სწორედ ჰომოფობიაა ის არგუმენტი, რომელიც არჩევნების წინ ყველაზე დამაჯერებელია. სწორედ ეს ცნება გვანიჭებს მორალურ უფლებას, პირველი ქვა ვესროლოთ ჩვენს თანამოქალაქებს.

ჰომოფობია ის სიტყვაა, რომელიც ამ მოვლენებთან დაკავშირებული ყველა დისკურსიდან მაგიურად გაქრა. არც ერთმა ადამიანმა, ვინც დაგმო ძალადობის ეს ინციდენტი, არ ისაუბრა ჰომოფობიაზე. შეფასებების სპექტრი წიგნის გამოცემის მიზანშეუწონლობიდან გამოხატვის თავისუფლების დაცვამდე შემოიფარგლა. არავინ ახსენა, რომ ჰომოფობია დღევანდელი საზოგადოებისათვის პრობლემად იქცა.

ჰომოფობია სწორედ საზოგადოებისკენ

მიმართული საფრთხეა. ის უფრო მეტად მთელი საზოგადოების ერთიანობას ემუქრება, ვიდრე თვით ჰომოფობიის პიროვნულ მთლიანობას. იმ სიტყვებს, რასაც იშველიებდნენ მოძალადენი, იმ სახეებს, რომლებიც უურნალების გარეკანზე გამოჩნდნენ, სწორედ ჰომოფობია ზადებს. თუ ჩვენ ამ სიტყვას წავშლით უხერხულობის თავიდან აცილების მიზნით, მთელ ამ მეცადინეობას, რომ შევაფასოთ ეს ინციდენტი, დავემოთ ან გავამართლოთ ძალადობა, ვიტალური კონტექსტი ეკარგება და ის მორიგ დაუსრულებელ პოლემიკად იქცევა; პოლემიკად, რომლის შედეგი ვერ იქნება საზოგადოების გარკვეული წინსვლა ამ მოვლენების გააზრებაში. ამ დისკურსიდან ჰომოფობიის დაკარგვა იგივეა, რაც დღემდე სადავო ან გაუხსნელი საქმეების შემთხვევაში მოხდა.

1990 წლის 17 მაისს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორიდან ამოიღო, ანუ ჰომოსექსუალობის დეპათოლოგიზაცია მოახდინა. სწორედ ამიტომ აღნიშნავს აიდაპო ამ თარიღს წელს – მეექვსედ. გასული წლიდან ის ტრანსფობიასაც მოიცავს.

საქართველო გაეროს წევრი სახელმწიფოა და, შესაბამისად, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორი მასზეც ვრცელდება. თუმცა ამის შესახებ ბევრმა არ იცის – მაგალითად, მედია ჰოლდინგ „ჯორჯიან თაიმის“ ხელმძღვანელმა მალხაზ გულაშვილმა.

25 მარტს მალხაზ გულაშვილმა სწორედ პათოლოგიზაციის ხერხს მიმართა პირველი არხის სტუდიაში, რათა მის მიმართ დასმული კითხვებისათვის აერიდებინა თავი. სულ ახლახან კი ოკუპირებულ ტერიტორიებს მიაშურა, და რომ არ დასმულიყო კითხვა, თუ როგორ არის, რომ ოკუპანტმა რეჟიმმა ასე მარტივად შეიფარა, მოსაწინააღმდეგო ინფორმაცია გადმოაგდო იმის თაობაზე, თუ როგორ უპირებდნენ გაუპატიურებას მის შვილს. ჰომოფობია ერთადერთი მოცემულობაა, რაც ამ ყველაფერს ხსნის. **█**

# მოსვლა და სია



გასულ კვირაში პოლიტიკურმა ამბებმა მაინც გადაჩრდილა ბრიტანეთის სპორტული ამბები.

გიორგი აბულაძე, ლონდონი

იმის მიუხედავად, რომ ფაბიო კაპელომ ნაკრების კანდიდატთა ოცდაათკაციანი სია გამოაქვეყნა, ლონდონურ „ფულემს“ კი ევროპის თასის ფინალი ჰქონდა ჰამბურგში მადრიდის „ათლეტიკოს“ წინააღმდეგ, მთავარი მაინც ის იყო, რომ სამშაბათს საღამოდან ბრიტანეთს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს, კონსერვატორი დევიდ კამერონი.

კამერონი გახლავთ არისტოკრატი, ყველაზე ახლაგაზრდა პრემიერი 1812 წლის შემდეგ და მგონი, მეოცე იტონის სკოლა-დამთავრებული, ვინც ეს პოსტი მიიღო. მას ქვეყნის მართვა ლიბერალ-დემოკრატებთან ერთად მოუწევს, რომელთაც ასევე არისტოკრატი ნიკ ქლევი უდგას სათავეში.

რალა თქმა უნდა, ამ ამბავმა აჯობა კაპელოს ერთგვარად სენსაციურ სიას და იმ პირველ ინგლისურ სკანდალსაც, ორი წლის მანძილზე რომ მისწვდა მრავალნაცად იტალიელ მწვრთნელს.

ინგლისი მაინც საოცარი ქვეყანაა. როდესაც კამერონი როგორც იქნა მოელაპარაკა ქლეგს კოალიციის შესახებ, რასაკვირველია, ბუკინგემის სასახლისკენ გასწია, სადაც, ადათის მიხედვით, მისთვის დედოფალს უნდა ეთხოვა მთავრობის შედგენა.

ამ შეხვედრისა გამოქვეყნდა ერთადერთი ფოტო, სადაც აღბეჭდილია, როგორ ართმევს კამერონი ხელს დედოფალს, და იქვე, ბიბისის პირდაპირ ეთერში ატყდა ნამდვილი ინგლისური მსჯელობა: კი მაგრამ, ამ ფოტოზე რომ მხოლოდ ხელის ჩამორთმევა აღბეჭდილი, ტრადიციის თანახმად, დალოცვილმა პრემიერმა ხომ ორივე ხელზე უნდა აკოცოს დედოფალს და ნუთუ ეს ძველი წესი უგულებელყოფილი იქნა? სანამ ამაზე მსჯელობა კარგად გახურდებოდა, ბუკინგემის სასახლის ეზოდან კორესპონდენტი ჩაერთო და შეხვედრის ოქმი დაანახა ერს და ბერს, სადაც ეწერა, – ბატონი კამერონი ორივე ხელზე ემთხვია მის უდიდებულესობას.

ეს, რა თქმა უნდა, დიდად განსხვავდება იმისგან, ბერლუსკონიმ რომ კადაფის აკოცა ხელზე.

ფაბიო კაპელოს სკანდალი კი ასეთია, რომ სამსოფლიოთასოდ ამოქმედდა ახალი ვებგვერდი, სადაც სხვა ათასთა შორის კაპელო, უშუალოდ მატჩების შემდეგ დაუსვამს სარეიტინგო ნიშნებს ინგლისელ ფეხბურთელებს. ამან, რბილად რომ ვთქვათ, გაკვირვება გამოიწვია, სად გაგონილა, რომ ნაკრების მწვრთნელი სახალხოდ, თანაც ცხელ გულზე აქვეყნებდეს შეხედულებებს თავის ფეხბურთელებზე, ვიღაც მეფოსონების დასახმარებლად.

წელიწადში ექვს მილიონ გირვანქას უხდიან და რომელიც მოსწონთ.

მოკლედ, ასეთი ამბავია, მისი ოცდაათკაციანი სია კი საინტერესო გამოდგა, რადგან იქ ისეთი ბიჭებიც მოხვდნენ, რომლებსაც ნაკრებში არასდროს უთამაშიათ, ისეთი ბიჭებიც, რომლებსაც თავიანთი საკლუბო მწვრთნელები არცთუ ხშირად ათამაშებენ ძირითადში და ისეთებიც, რომლებიც ნაკრებში, წლებია, არ გამოჩენილან.

თვითონ იცის, ინგლისი კი უკვე მზადაა საქონაგოდ. მართალია, სამხრეთი აფრიკა შორსაა, მაგრამ იქ ათათასობით ადამიანი გაემგზავრება და ქვეყნის პაბებსაც ნელ-ნელა რთავენ ეროვნული დროშებით.



ფაბიო კაპელო

ცხადია, უვარგისი რამეა. არც გუნდზე იმოქმედებს კარგად და არც საქმეზე, იმიტომ, რომ კაპელო აცხადებს, – ჩემი მიზანი ფინალში გასვლაა.

კაპელო ისეთი პროფესორია, რომ მისი ინგლისში ძალიან სჯერათ, მაგრამ ეს ამბავი მაინც არ მოეწონათ. მან კი თქვა, – ეს ფულისთვის არ გამიკეთებიაო, – მაგრამ აბა, მთლად უფულოდ რა საქმე იქნებოდა. ცოტა გაუკვირდათ კაცისგან, რომელსაც

ამასობაში ისლანდიური ვულკანის ღრუბელი კვლავ მოსწვდა ბრიტანეთის ჩრდილოეთს. ჰო, და კიდევ, როგორც კი დევიდ კამერონი დაუნინგ სტრიტის 10 ნომერში შევიდა, იქვე გაისმა ტელეფონის ზარი ამერიკიდან. გამზადებული ამბავი იყო, პირველმა იმან მიულოცა, ვისაც ბრიტანეთი ყველაზე მტკიცედ უდგას მხარში.


„ფულემმა“ კი წააგო, დასანანად და გრძელი მატჩის სულ ბოლო ნუთებზე. **□**

# მე ამისთან ბავახეთებ...



კაბა თოლორდავა

რამდენიმე დღის წინ გუგა კოტეტიშვილი და მე დიდხანს ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორ და რატომ აკლია თბილისის კრეატიული თბილისელების ხელი და არტისტიული ინიციატივა. იმ ადამიანებთან, ჩვენს მეგობრებთან თუ ნაცნობებთან საუბრებში, ვისაც ქალაქისთვის რაღაცის შეთავაზება შეუძლია, იდეების ნაკლებობა თითქოს არ იგრძნობა, მაგრამ ყველაფერი აქ სრულდება; როგორც წესი, ასეთი საუბრები სახსრების არქონაზე ან მუნიციპალური სამსახურების მუშაკების საქმისადმი არაკრეატიულ და უგემოვნო მიდგომაზე წუნუნით სრულდება, რაც ხშირ შემთხვევაში ფაქტია, თუმცა არავითარ შემთხვევაში არ ამართლებს გამეფებულ კრეატიულ აპათიას და მხოლოდ „არ გადამიხდინა, არაფერს გავაკეთებ“ მიდგომას. არადა, ერთი ასეთი ადამიანის ინტერესმა შეიძლება ქალაქის სახე შეცვალოს. ამის კარგი ადგილობრივი მაგალითი თვითონ გუგაა, ვინც ლერმონტოვის ქუჩაზე ჰო ნო რ ა რ ი ს გარეშე (მერამ მხოლოდ მასალის ფული გამოყო) მოაწყო პატარა სკვერი და ასე ააცილა იქაურობას თბილისური სკვერების უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ერზაცული სახე. იქ ჯდომა და, ვთქვათ, წიგნის კითხვა უბრალოდ სასიამოვნოა. ასეთი თბილისური მაგალითები ცოცხაა, ამიტომაც უფრო კარგად რომ ვთქვა სათქმელი, ერთ ნიუ-იორკულ ძალისხმევაზეც მოგიყვებით. მას შემდეგ, რაც დევიდ ბირნმა, ლეგენდარული Talking Heads-ის ლიდერმა და ველო-ენთუზიასტმა (დევიდ ბირნი ქალაქში მხოლოდ ველოსიპედით გადაადგილდება) ნიუ-იორკის ქუჩებში ველოსიპედების დასამაგრებლები დააყენა, უამრავი ნიუ-იორკელის და ჩამოსულისთვის ლამის აუცილებლობად იქცა იმ ქუჩების ნახვა, სადაც ეს დასამაგრებლებია ინსტალირებული. ყველაფერი კი ნიუ-იორკის ტ რ ა ნ ს პ ო რ ტ ი ს სამინისტროს ინიციატივით დაიწყო, რომელმაც ქალაქში ველოსიპედების დასამაგრებლების ინსტალირება გადაწყვიტა და ბირნი შემოსული პროექტების განსახილველ ყოფილა მიიწვია. ბირნს იმდენად მოეწონა ეს იდეა, რომ უარი თქვა ყოფილი ნევრობაზე და თვითონ გაუგზავნა სამინისტროს თავისი ჩანახატები. სამინისტროს რეაქცია მისთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა, – თუ ამ დასამაგრებლების დამზადებაზე თვითონ იზრუნებ, მათი ქალაქში ინსტალირება ჩვენზე იქნებაო. ბირნმა ახლა ფულიან ადამიანებს მიმართა და მათგანაც თანხმობა მიიღო. დანარჩენი კი, როგორც ამბობენ, უკვე ისტორიაა. სამი მოთამაშის, ტრანსპორტის სამინისტროს, ნიუ-იორკელი დევიდ ბირნის და ფულიანი ხალხის მშვეობით, ვისთვისაც ქალაქის განვითარება მხოლოდ საცხოვრებელი და სავაჭრო პროექტების შენება არაა, დღეს ნიუ-იორკის ქუჩებს ირონიულად დახვეწილი და სასაცილო ველოსიპედების დასამაგრებლები ამშვენებს, უოლ-სთრითზე დოლარის ფორმის, თაიმზ-სკვერზე ქალის და ასე შემდეგ ქალაქის უბნების და ქუჩების სპეციფიკის შესაბამისად. აი, რა აკლია თბილისის ყველა უბანს, ყველა ქუჩას! თბილისელები და ქალაქის მათებური



ხედვა, რამდენადაც გიჟური არ უნდა იყოს ის (მხედველობაში თუ მივიღებთ სპორტის სასახლის წინ მდგარი მზეჭაბუკის ან, მაგალითად, ყოფილი საგზაო სამინისტროს ზედმეტ სახელებს, მარტო ის რად ეღირება, თუ რას დაარქმევენ თბილისელები ქალაქში განხორციელებულ ამა თუ იმ პროექტს?). როგორც ამას ბირნის მაგალითი გვიჩვენებს, ამისთვის მხოლოდ თბილისელების ინიციატივა საკმარისი არაა. ვალიარებ, რომ მერიის შესაბამის სამსახურებს უდავოდ აქვთ იმის სურვილი, რომ თბილისმა უკეთესობისკენ იცვალოს სახე, მაგრამ ხშირად, ძალიან ხშირად მათ პროექტებს ერზაცული სახე და ნაჩქარევად შესრულების დალი ატყვიათ. რაც მთავარია, ისინი არ გამოირჩევიან ინდივიდუალობით, არადა ესაა სწორედ ის, რაც დღეს თბილისს ესაჭიროება, თუნდაც თბილისის გარეუბნებს, მის ცენტრალურ ნაწილზე რომ არაფერი ვთქვათ (რატომ არ შეიძლება, მაგალითად, რომ ქალაქის გარკვეული სექციები გრაფიტის არტისტებს გადაეცეთ მოსახატავად, სანამ ქალაქი გადანყვეტს, თუ როგორ საბოლოო სახეს მიიღებს ქალაქის ესა თუ ის სექცია?). ჰო, თბილისელებს უნდა გაგვიჩნდეს იმის სურვილი, რომ რამე საინტერესო, ქ ა რ თ ვ ე ლ ი არტისტის თბილისისთვის (ბათუმისთვის, ქუთაისისთვის, თელავისთვის, რა მნიშვნელობა აქვს?) შექმნილი პროექტის სანახავად ქალაქის/ქვეყნის ყველაზე შორეულ ნაწილშიც კი წავიდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ თუნდაც თბილისელებისთვის თბილისის დაბრუნების პროცესი მხოლოდ მაშინ დაიწყება, როდესაც მათ საკუთარი კრეატიული იდეების განხორციელების საშუალება მიეცემათ. ნებისმიერ ქალაქს იქაური მაცხოვრებლების ხელი უნდა ეტყობოდეს, არა? გუგას დეფიციტები. მას უნდა, რომ დაახლოებით ოცამდე არტისტს ქალაქის რომელიმე პარკში მათ მიერ შექმნილი პარკის სკამების გაკეთება და ჩადგმა სთხოვოს. ნებისმიერი ფორმის, ნებისმიერი სიდიდის, ნებისმიერი დიზაინის, ნებისმიერი მასალის, ნებისმიერი ფერის. წარმოიდგინეთ როგორი სხვანაირი გახდება, ვთქვათ, ვაკის პარკი, ეს პროექტი რომ განხორციელდეს. **■**



რადიო „ნაცნობი“ გევატიშებათ  
კლუბი „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული საზარაულო
- სოცხალი მუსიკა





**WWW.LIBERALI.GE**

